პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ლა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- სირიაში დაიწყო აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ.
- პარტიზანულ რაზმების მოქმედება ჩინეთში ძლიერდება.
- მარტის პროცესი.—განაჩენი გამოცხადებული იქნება ორი კვირის შემდეგ.
- „ფორდ"-ის მოლაპარაკება სპარსეთის მთავრობასთან.
- დაიწყო მაღარო „მარია"-ში მომხდარ კატასტროფაში დამნაშავეთა გასამართლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 27 აპრილი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 95 (2441)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა მაისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამა

მე-16 საკავშირო პარტკონფერენციამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გამო ერთხმად მიიღო საკ. კომპარტიის ცეკას პლენუმის მიერ წარდგენილი თეზისები. ეს თეზისები, ამას წინეთ მოწონებული ცეკას პოლიტბიუროს მიერ, ჩვენ უკვე გვქონდა გამოქვეყნებული (იხ. „კომუნისტი" №86).

ხსენებული გეგმა, ერთი მხრით, გამოდის იმ დებულებიდან, რომ ჩვენ შედარებით მოკლე ხანში არამც თუ უნდა დავეწიოთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს სამრეწველო განვითარების მხრივ, არამედ კიდეც უნდა გავუსწროთ მათ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი შეიცავს სწრაფი და ფართო სოციალისტური შეტევის პროგრამას.

კაპიტალისტურ გარემოცვისაგან ეკონომიურ დამოკიდებულების მოსასპობად და სოციალიზმის გამარჯვებისათვის, პირველ რიგში და უმთავრესად აუცილებელია მძიმე მრეწველობის როლის გადიდება მთელ სახალხო მეურნეობაში და მისი ზრდის ტემპის დაჩქარება. ესაა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ის გენერალური ხაზი, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხაზი, რომელიც მე-15 პარტყრილობამ დასახა და ცეკას შემდგომმა პლენუმმა უფრო კონკრეტულად ჩამოაყალიბა. გეგმა მთლიანად ამ დირექტივაზეა აგებული.

ამის მიხედვით ხდება კაპიტალური ხარჯების დაბანდება და მათი განაწილება. მაგ.: გასულ 5 წელს მრეწველობაში მოთავსებული კაპიტალური დაბანდებები შეადგენდნენ 4 მილიარდ მანეთს, ხოლო დაწყებულ 5 წლედში ამ მხრივ გათვალისწინებულია 16,4 მილიარდ მანეთი. აქედან უდიდესი ნაწილი, 78 პროც. ხმარდება წარმოების საშუალებათა შექმნას და დანარჩენი მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. ამის შედეგად მძიმე ინდუსტრიის საერთო პროდუქცია 3,25-ჯერ გაიზრდება, საერთოდ მთელი მრეწველობის კი 2,8-ჯერ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ზოგიერთი ციფრი: ლითონის მრეწველობაში ახალ ქარხნების აგების და არსებულთა რეკონსტრუქციის საშუალებით თუჯის პროდუქცია 1926-27 წ. 3,5 მილიონ ტონიდან 1932-33 წლისათვის 10 მილიონ ტონამდე აიწევს; ქვანახშირის რაოდენობა 35 მილიონ ტონიდან ხუთწლედის ბოლოს 75 მილიონ ტონამდე მიაღწევს; დიდად გაძლიერდება სახალხო მეურნეობის ენერგეტული ბაზა: ხუთწლედში ელექტრო-ენერგიის წარმოება 5 მილიარდ კილოვატ საათიდან 22 მილიარდ კილოვატ-საათამდე ავა; გაყვანილი იქნება ახალი რკინის გზები 17 ათას კილომეტრის მანძილზე და სხ.

აქვე აღსანიშნავია, რომ მრეწველობის ასეთი განვითარების შედეგად საგრძნობლად გადიდდება საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა მრავალ წარმოებაში. მაგ., თუჯის წარმოებაში 5 წლის დასასრულს იგი, მეექვსე ადგილის ნაცვლად, მესამეს დაიკავებს (გერმანიის და ჩრდ.-ამერიკის შემდეგ); ქვანახშირის დარგში—მეოთხეს მეხუთის მაგივრად (ამერიკის, ინგლისის და გერმანიის შემდეგ).

გეგმაში, ცხადია, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომელნიც ემსახურებიან სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციას, მის მაღალ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანას. ხუთი წლის ბოლოს საბჭოთა ქარხნები ყოველწლიურად დაამზადებენ 50.000 ტრაქტორს. ქიმიური სასუქის დამზადება 1927-28 წლის 175.000 ტონიდან 1932-33 წლისათვის გაიზრდება 10 მილიონ ტონაზე მეტად. ყოველივე ეს, სხვა ღონისძიებასთან ერთად, შესაძლებლობას მოგვცემს მოსავლიანობა გავადიდოთ 35 პროცენტით, ხოლო ნათესის სივრცე გავაფართოვოთ 22 პროცენტით.

ზოგიერთებს მრეწველობის განვითარების ასეთი ჩქარი ტემპი საეჭვოდ მიაჩნიათ. თვით პარტიაშიაც არიან ელემენტები, რომელნიც ამ მხრივ მერყეობას იჩენენ (მემარჯვენე გადახრა). მათ აფრთხობენ სოციალისტური ზრდის სიძნელენი; ეს ელემენტები განიცდიან წვრილბურჟუაზიულ და კულაკურ გავლენას და ობიექტიურად ხდებიან კაპიტალისტური ფენების ტენდენციების მატარებლებად, იმ ფენების, რომელთა არსებობას ნიადაგს აცლის ჩვენი გაშლილი სოციალისტური შეტევა. მაგრამ მემარჯვენეთა „სკეპტიციზმს" ამსხვრევს უტყუარი სინამდვილე. ფაქტია, რომ ჩვენი ზრდა გეგმებით ნავარაუდევ ტემპსაც აღემატება. მაგ., ნავარაუდევი იყო 1926-27 წლისათვის მრეწველობის ზრდა 17 პროცენტით, ნამდვილად კი მივიღეთ 19 პროცენტი. 1927-28 წ. გათვალისწინებულ 13 პროცენტის მაგივრად გვაქვს 23 პროცენტი. 1928-29 წელსაც, უკვე არსებულ მასალების მიხედვით, ჩვენ გეგმას გადავაჭარბებთ. არ გამართლდა მოსაზრება, რომ აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ, როცა საერთოდ ამოწურულ იქნა ძველი ტექნიკური და სხვა შესაძლებლობანი, ზრდის ტემპი საგრძნობლად შენელდებაო. ეს ასე არ მოხდა. ჩვენი განვითარების ტემპი ზევრად აღემატება ამერიკისასაც, რომ არ ვილაპარაკოთ დანარჩენ, თუნდაც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ჩვენ მეტი შესაძლებლობანი აღმოგვაჩნდა, ვიდრე გვეგონა. აქ მკაფიოდ გამოჩნდა საბჭოთა სისტემის უპირატესობანი და მუშათა მასების შემოქმედებითი ენერგია, რომელსაც უფართოესი გასაქანი აქვს პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

მაგრამ ჩვენი განვითარების ზრდის მაღალი ტემპი თავის-თავად არ არის საკმარისი. მთავარია—საით ვიზრდებით. ხუთწლიანი გეგმა ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა. სოციალისტური სექტორის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა: მრეწველობაში 1927-28 წელს უდრიდა 80 პროცენტს, 1932-33 წელს კი იქნება 99 პრ.. სოფლის მეურნეობაში სათანადო პროცენტებია: 2 და 15; საცალო ბრუნვაში: 75 და 91. არსებითი გარდატეხა ხდება სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში. კოლექტიური მეურნეობანი თვალსაჩინოდ ძლიერდებიან რიცხვობრივად, აფართოვებენ ნათესის სივრცეს და ადიდებენ საბაზრო პროდუქციას. გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება სწრაფად ვითარდება და სხვ. კაპიტალისტური სექტორი იძულებულია თავისი პოზიციები დასთმოს.

ასეთია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მთავარი მომენტები. მე-16 პარტკონფერენციამ, როგორც აღვნიშნეთ, ერთხმად მიიღო პოლიტბიუროს თეზისები ამ გეგმის შესახებ. მემარჯვენე ელემენტებმა ვერ გაბედეს მათ წინააღმდეგ გალაშქრება: ჩვენი ზრდის და მის შესაძლებლობათა ურყევი საბუთები და რეალური შესაძლებლობანი, რომელნიც გადაშლილი იქნა როგორც კონფერენციამდე, ისე თვით კონფერენციაზე, ერთი მხრივ, ხოლო მეორეთი—მთელი პარტიის და მასთან მუშათა მასების მტკიცე ნებისყოფა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, საერთოდ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში—ყოველივე ეს სერიოზული გაფრთხილება იყო მერყევ პირების და ჯგუფებისათვის. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი განიკურნენ მემარჯვენე გადახრისაგან და კვლავ არ შეეცდებიან ჩვენს რიგებში უიმედობის თესვას. ამიტომ წინანდებურად სასტიკი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს ამ გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, ვინაიდან სოციალისტური შეტევის ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, რომელიც ხუთწლიან გეგმაშია მოცემული, შეიძლება პირველ ყოვლისა მხოლოდ პარტიის რიგების სრული მთლიანობის და დარაზმულობის საფუძველზე, ყოველგვარი პანიკიორობის და ქანაობის გადაჭრით აღმოფხვრის საფუძველზე.

ახალი სესხი

1 და 2 ინდუსტრიალიზაციის სესხები გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთათვის, არამედ სახალხო მეურნეობის კერძო სექტორისათვისაც. სამწუხაროდ, კერძო სექტორმა ამ სესხებში სრულებით უმნიშვნელო მონაწილეობა მიიღო.

ინდუსტრიალიზაციის სესხი გათვალისწინებული იყო უმთავრესად მუშა-მოსამსახურეთათვის, ფართო მასებისათვის. ეს მომენტი განსაზღვრავდა მათი სტრუქტურასაც: ამ სესხებს ახასიათებს მცირე კუპიურები, მცირე თანხიანი მოგებები, ობლიგაციის ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდა, კოლექტიური ხელის მოწერა, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო მათი მასიური გავრცელება. უნდა ვიფიქროთ,რომ ასეთი სტრუქტურის სესხი არ აკმაყოფილებს კერძო სექტორს. კერძო სექტორს არ აინტერესებს რამოდენიმე მანეთი მიღებული პროცენტების სახით, რამოდენიმე ათეული მანეთი მიღებული მოგების სახით, მას აინტერესებს დიდი მოგება. და ამიტომ უკანაც არ დაიხევს ერთდროულად შეიძინოს დიდფასიანი ობლიგაციები, რომლებიც უფრო ძნელი მისაწვდომია მასისათვის. მართალაც, 1926 წლის უპროცენტო სესხი, რომელშიც დიდი მოგებებია (100 ათასი მ.) და მოგების შანსიც დიდია, სულ მოკლე ხანში იყო განაღდებული კერძო სექტორში. ამ სესხზე დღესაც დიდი მოთხოვნაა, იგი არც მოიპოვება ჩვენს საფონდო ბაზარზე და მისი საბირჟო კურსი შეადგენს 125 მანეთს, ხოლო ნომინალური კი მხოლოდ 100 მანეთს.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო სექტორმა არ მიიღო მონაწილეობა მასიურ სესხებში, მაგრამ მან მიიღო მონაწილეობა 1926 წლ. სესხში. ხოლო კერძო სექტორის თანხების გამოყენება ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო არის. ამ თანხების მოზიდვაც შესაძლებელია, როგორც ჩანს, თუ იქნა გამოშვებული ისეთი სესხი, რომელიც აკმაყოფილებს კერძო სექტორის მოთხოვნას.

საკავშირო მთავრობამ მიზანშეწონილად დაინახა კერძო სექტორისათვის სპეციალური სესხის გამოშვება და ასეთი სესხი კიდეკაც გამოვიდა უკვე. ესაა 1929 წ. უპროცენტო მომგებიანი სესხი. ამ სესხის დანიშნულებაა ერთის მხრივ ამ სექტორის გამოყენება, რომლის მონაწილეობა სესხებში დღემდე სუსტი იყო და მეორე მხრივ ჩვენი საფონდო ბაზრის შევსება ისეთი ფასიანი ქაღალდებით, რომლებზედაც დიდი მოთხოვნა არსებობს.

ეს ახალი სესხი თითქმის იგივე სტრუქტურის არის, როგორც 1926 წლის სესხი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მოგების თანხაში არ შედის ტირაჟში გასულ ობლიგაციის ფასი; მეტია მოგების შანსიც.

სესხი გამოდის ათი წლის ვადით და მხოლოდ 50 მილიონი მანეთის რაოდენობით. მოგებები 100 მანეთიდან 100 ათას მანეთამდეა. სესხი გათვალისწინებულია ვიწრო ჯგუფისათვის და ამიტომ მისი განაღდების მეთოდებიც განსხვავდება მასიური სესხების განაღდების მეთოდისაგან—არ იწარმოებს არც კოლექტიური ხელის მოწერა, არც ობლიგაციის ღირებულების ვადა-განაწილებით გადახდა. სესხის რეალიზაცია იწარმოებს მხოლოდ ქალაქებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სესხი გათვალისწინებულია არა მხოლოდ კერძო სექტორისათვის, არამედ შინამრეწველთა და იმ პირთათვისაც, რომელთაც შედარებით დიდი შემოსავალი აქვთ, როგორიც არიან ექიმები, ინჟინრები, სამეცნიერო მუშაკები და სხვ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სესხი დიდ გამოხმაურებას იპოვის კერძო სექტორში, რომლისთვისაც იგი დანიშნულია. პირიქით, ეს სესხი თავისი სტრუქტურით არ არის გათვალისწინებული მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთათვის. თუ, მიუხედავად ამისა, მათ შორის იქნებიან ამ სესხის ხელისმომწერნი, მასიური სესხების არც ერთი ობლიგაცია არ უნდა გაიღონ ამ ახალი სესხის ობლიგაციების შესაძენად.

ვ. მესხი.

კიდევ ერთი წინადადების დასამარება ჟენევაში

განიარაღების კომისიამ უარყო გერმანიის წინადადება საჰაერო-ქიმიური ომის აკრძალვის შესახებ

ჩაიშალა რეპარაციების ექსპერტთა კონფერენცია

განიარაღების კომისიის სესია

კამათი საჰაერო-ქიმიური ომის საკითხზე

ჟენევა, 25 აპრილი. გერმანიის დელეგატის მიერ საჰაერო-ქიმიური ომის შესახებ აღძრული საკითხის გარშემო გამართული კამათის დროს სიტყვით გამოვიდა პოლონეთის დელეგატი სოკალი.

მან აღიარა ბერნსტორფის მიერ აღწერილი საჰაერო-ქიმიური ომის საშინელებათა საფუძლიანობა (ბერნსტორფმა მოიყვანა სპეციალისტების აზრი, რომლის თანახმადაც ევროპის დიდი ქალაქისათვის ავია-ქიმიური ყუმბარების დაშენას შედეგად მოჰყვება ნახევარ მილ. მსხვერპლი რამდენიმე საათ. განმავლობაში), მაგრამ მიზანშეუწონლად ჩასთვალა ომის ერთ-ერთი საშუალების აკრძალვა, რამდენადაც კელოგის პაქტით აკრძალულია ყოველგვარი ომი (სიცილი დამსწრე საზოგადოების ერთ ნაწილში).

სოკალის წინააღმდეგ გაილაშქრა ლიტვინოვმა, რომელმაც განაცხადა:

„პოლონეთის დელეგატი სოკალი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ თუმცა ყველა სახელმწიფომ მოაწერა ხელი კელოგის პაქტს ომზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ მოსამზადებელი კომისია მაინც ომის წარმოების მეთოდებს იხილავს. სოკალმა ამჯერბინა არ მოიხსენებია ეს მოსაზრებები გუშინ, როცა ქიმიური ომის აკრძალვის საკითხი ირჩეოდა და იგი თავს იკავებს აგრეთვე ამ თვალსაზრისის გამოყენებისაგან შეიარაღებათა შემცირების საკითხში. საბჭოთა დელეგაცია კელოგის პაქტიდან აკეთებს დასკვნას, რომ ყოველგვარი შეიარაღებანი მოსპობილ უნდა იქნეს. ჯერ კიდევ წარსულ წელს საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა სრული და საყოველთაო განიარაღების წინადადება. სამწუხაროდ, ჩვენი მეზობელი პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა საკმაოდ შეუწყვეს ხელი საყოველთაო განიარაღების საბჭოთა პროექტის უარყოფას. მოსამზადებელმა კომისიამ უარჰყო ახალი საბჭოთა წინადადებებიც და განაცხადა, რომ მიუხედავად კელოგის პაქტიდან გამომდინარე ვალდებულებებისა, ჩვენ კვლავ ანგარიში უნდა გაუწიოთ ახალი ომების შესაძლებლობას. ამიტომ ჩვენ ბუნებრივად უნდა დაუბრუნდეთ ღონისძიებებს, რომლებიც შეამცირებენ ომების ამ შესაძლებლობას ან ყოველ შემთხვევაში შეარბილებენ მის საშინელებათ. საბჭოთა დელეგაცია, რასაკვირველია, მაილიანად უჭერს მხარს გერმანიის წინადადებას".

საფრანგეთის დელეგატი მასილი ილაშქრებს ბერნსტორფის წინადადების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ კომისიის ამოცანებს არ შეადგენს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა.

გერმანიის დელეგატი ბერნსტორფი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გერმანიის წინადადება სავსებით ეთანხმება კომისიის ამოცანებს და აცხადებს: „გერმანიის მთავრობა თვლის, რომ კელოგის პაქტი კი არ უარყოფს, არამედ მოითხოვს შეიარაღების შემცირების საკითხის განხილვას და პირველ რიგში ომის ისეთ საშუალებათა მოსპობას, რომლებიც თავდასხმას საშუალებას წარმოადგენენ და ყველაზე მეტად ემუქრებიან მშვიდობიან მოსახლეობას".

პოლონეთის დელეგატი სოკალი „განმარტავს", რომ რამდენადაც კელოგის პაქტი არ უზრუნველყოფს სრულ უშიშროებას, ამიტომ იგი ღირს განსაზღვრულ ფარგლებში და სიფრთხილით იქნეს განხილული საკითხი შეიარაღებათა შემცირების შესახებ, თითეული ქვეყნის უშიშროების ხარისხის გათვალისწინებით. სოკალის ეს განცხადება აშკარად ეწინააღმდეგება მის პირვანდელ განცხადებას.

შეერთებული შტატების დელეგაცია ილაშქრებს გერმანიის წინადადების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ნაადრევათ მიაჩნია სამხედრო ავიაციის რთული პრობლემის განხილვა.

კვლავ სიტყვით გამოდის ლიტვინოვი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს მკაცრ წინააღმდეგობას სოკალის პირველ და მეორე გამოსვლის შორის. უპასუხებს რა მასილის, ლიტვინოვი ამბობს, რომ ქიმიური ომის აკრძალვა ლოღიკურად მოითხოვს აგრეთვე საჰაერო-ქიმიური ომის აკრძალვას. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი დელეგატები მოუთითებდნენ „საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევის საჭიროებაზე", ლიტვინოვი აცხადებს, რომ ერთა ლიგის წევრებს უკვე მოუხდათ საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევა, რამდენადაც ერთა ლიგის წესდების მერვე მუხლი და განიარაღების კონფერენციის მოწვევის ინიციატივა წარმოადგენს არა მთავრობათა ნებისყოფის გამოხატულებას, არამედ დათმობას საზოგადოებრივი აზრისათვის (ერთა ლიგის წესდების მერვე მუხლში ლაპარაკია შეიარაღებათა შეზღუდვის საჭიროებაზე და ერთა ლიგის საბჭოს ევალება შეიარაღების შეზღუდვის პროექტების მომზადება). ეს უკანასკნელი გარემოება არ უნდა იქნეს დავიწყებული კონკრეტულ წინადადებათა განხილვის დროს. ლიტვინოვი აღნიშნავს, რომ მოსამზადებელ კომისიას სესიის ათი დღის განმავლობაში არ მიუღია არც ერთი დადებითი გადაწყვეტილება, თანამიმდევრობით უარჰყოფდა საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებულ განიარაღების ძირითად პრინციპებს, აგრეთვე კონკრეტულ წინადადებებს ქიმიური ომის საშვალებათა ლიკვიდაციის შესახებ და ახლა აპირებს გერმანიის დელეგაციის მიერ საჰაერო-ქიმიური ომის აკრძალვის შესახებ წამოყენებული წინადადების უარყოფას, რომელ წინადადებასაც მხარს უჭერს საბჭოთა დელეგაცია. ამრიგად, შესაძლებელია, მოსამზადებელი კომისია გადაიქცეს მსგავსი ხასიათის ყოველგვარ წინადადებათა დასაფლავების ადგილად.

პოლონეთის დელეგატი ლიტვინოვის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში ამაოდ ცდილობს მიაფუჩეჩოს წინააღმდეგობა თავის პირველ და მეორე გამოსვლის შორის.

გერმანიის წინადადების გარშემო იმართება ხანგრძლივი დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ კუშენდენი და სხვ. მიუხედავად სხვადასხვა მანევრებისა ლოუდონი იძულებული ხდება კენჭი უყაროს გერმანიის წინადადებას, რომელიც უარყოფილ იქნა ყველა ხმებით—გერმანიის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ჰოლანდიის და შვეციის ხმების წინააღმდეგ. სკანდალურ მდგომარეობაში ჩავარდნილ კომისიის ამ მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით საბერძნეთის დელეგატი პოლიტისი წინადადებას აძლევს დელეგატებს, რომლებმაც გერმანიის წინადადების წინააღმდეგ მისცეს ხმა, მიიღონ შემდეგი რეზოლიუცია: „გერმანიის წინადადების წინააღმდეგ გამოსულნი არ ფიქრობენ დაეთანხმონ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ყუმბარების დაშენას ჰაეროპლანებიდან".

ლიტვინოვი გადაჭრით ილაშქრებს ამგვარ მანევრების წინააღმდეგ სახელმწიფოთა პოლიტიკური წარმომადგენლების მხრივ, რომლებიც კომისიაში მონაწილეობას იღებენ არა პირად გრძნობების და სიმპატიების გამოსახატავად, არამედ განსაზღვრულ ვალდებულებათა მისაღებად. ლიტვინოვი თვლის, რომ კენჭის ყრის შედეგებით ცხადყოფილია მთავრობათა სურვილი — არ იკისრონ ვალდებულებები საჰაერო თავდასხმების დარგში.

პოლიტისის წინადადება მიღებულ იქნა ყველა იმ დელეგაციების ხმებით, რომლებმაც ხმა მისცეს გერმანიის წინადადების წინააღმდეგ (ადს).

სამი წინადადება

ჟენევა, 25 აპრილი. 25 აპრილს სესიაზე გრძელდებოდა კამათი საჰაერო შეიარაღებათა შესახებ.

განხილულ იქნა სამი წინადადება:

გერმანიის წინადადება, რომელიც მომქმედ და სარეზერვო საჰაერო შეიარაღებას ჰყოფს ოთხ კატეგორიათ (გამანადგურებელი, დამზვერავი, ბომბების გადმოსაყრელი და სხვ.).

საფრანგეთის წინადადება, რომელიც ცალკე სახელმწიფოებს უფლებას უტოვებს თავისი საჰაერო შეიარაღებანი გაჰყონ ორ ნაწილად, იმისდამიხედვით, მეტროპოლიაში მოიპოვება ისინი, თუ კოლონიებში და, დაბოლოს

საბჭოთა წინადადება, რომელიც მოითხოვს რომ საჰაერო შეიარაღების მაქსიმალური რაოდენობა 1929 წ. 1-ლ იანვრისათვის არსებულ დონეზე დაბალი იყოს.

გერმანიის წინადადებას მხარი დაუჭირა მხოლოდ საბჭოთა დელეგაციამ. გერმანიის დელეგატმა ბერნსტორფმა თვით მოხსნა თავისი წინადადება (ადს).

ჟენევა, 25 აპრილი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში გაგრძელდა კამათი საჰაერო შეიარაღების საკითხის ირგვლივ.

საფრანგეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა—მიეცეთ ცალკე სახელმწიფოებს უფლება, საკუთარი სურვილის მიხედვით, გაჰყონ თავიანთი საჰაერო ძალები ორ კატეგორიათ, იმისდა მიხედვით, სად იმყოფება ისინი—მეტროპოლიაში თუ კოლონიებში.

საბჭოთა წინადადების სათანადო პუნქტი კი მოითხოვს, რომ სავალდებულოდ იქნას მიჩნეული საჰაერო შეიარაღების ყველა იმ ელემენტის ფიქსაცია, რომელიც უნდა განაწილდეს მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის. საბჭოთა წინადადების გამო, რომელსაც მხედველობაში აქვს კოლონიების მოსახლეობის უშიშროების ინტერესები, კომისია ერთსულოვნად ილაშქრებს კოლონიებში შეიარაღების შეზღუდვის წინააღმდეგ.

იტალიის დელეგატმა მარინისმა გაილაშქრა საჰაერო შეიარაღების ისეთი დანაწილების წინააღმდეგ, რომელსაც ითვალისწინებს საფრანგეთის დელეგაციის წინადადება. ამის დასასაბუთებლად მარინისი აცხადებს, რომ საჭიროა განვასხვავოთ მეტროპოლიისაგან დაშორებული და მასთან უფრო ახლო მყოფი კოლონიები, რამდენადაც სამხედრო ძალებს, რომლებიც განაწილებულნი არიან ამ ახლო მყოფ კოლონიებში, უფრო ადვილად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მეტროპოლიის სამხედრო მოქმედებაში.

ინგლისის დელეგატი კუშენდენი უერთდება საფრანგეთის წინადადებას, მაგრამ საჭიროდ სთვლის კომპრომისს მარინისის წინადადების მიმართ. კუშენდენი ეთანხმება იმას, რომ განისაზღვროს კოლონიების მაქსიმალური მანძილი მეტროპოლიიდან და მეტროპოლიის და კოლონიების შეიარაღების დანაწილება დასაშვებად იქნას ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანძილი აღემატება ამ მაქსიმალურ რაოდენობას. (ადს).

ექსპერტთა კონფერენციის ჩაშლა

საფრანგეთის პრესა უკმაყოფილოა შახტით

პარიზი, 25 აპრილი. საფრანგეთის პრესა გერმანიის ექსპერტს შახტს ბრალს სდებს იმაში, რომ მან შეგნებულად ჩაშალა ექსპერტთა კონფერენცია და რომ იგი განზრახ ამზადებს ახალ ფინანსიურ კრიზისს გერმანიაში, რათა ამით დაამტკიცოს დაუესის გეგმის ძალაში დატოვების შეუძლებლობა.

პრესის ცნობით, შახტს იმედი აქვს—აიძულოს მოკავშირენი ან წავიდნენ შემდგომ დათმობებზე ამერიკის ზეგავლენის გამო, რომელიც დაინტერესებულია გერმანიის ვალიუტის სიმტკიცით და ამიტომ არ შეუძლია გულგრილად უყუროს ფინანსიური კრიზისის საფრთხეს გერმანიაში, ან დაასახელონ დროებით დათმობაზე სარეპარაციო საკითხებში, დათმობაზე, რომელიც ფორმალურად გასწევს დაუესის გეგმის მაგივრობას მხოლოდ დროებით და რომელიც ფაქტიურად მოსპობს მას საბოლოოდ.

პრესა გადაჭრით აცხადებს პროტესტს როგორც ახალ დათმობათა წინააღმდეგ, ისე ყოველგვარი დროებითი შეთანხმების წინააღმდეგ. (ადს)

ბრალდება რეიხსბანკის წინააღმდეგ

ბერლინი, 25 აპრილი. იმ დისკუსიის გამო, რომელიც გაიმართა სარეპარაციო მოლაპარაკების ჩაშლისათვის პასუხისმგებლობის საკითხის ირგვლივ, საფრანგეთმა რეიხსბანკის წინააღმდეგ წამოაყენა ბრალდება, თითქოს სატრანსფერო კომისიამ რეიხსბანკი აიძულა გაედიდებია გასანაღდებელი პროცენტი, რეიხსბანკმა კი წინასწარი განზრახვით დახარჯა თავისი ვალიუტის რეზერვები, რათა აუცილებელი გახადა დაუესის გეგმის იმ პუნქტის შესვლა ძალაში, რომელიც ითვალისწინებს ტრანსფერის დაცვას.

ამის გამო გერმანიის საქმის მცოდნე წრეები აღნიშნავენ, რომ რეიხსბანკის ვალიუტის რეზერვების მარაგის შემცირება აიხსნება იმით, რომ პირველი შვიდი თვის განმავლობაში მიმდინარე წლისა (ამ წელს დაუესის გეგმის თანახმად, გერმანიამ პირველად უნდა გადაიხადოს სრული 2.5 მილიარდი ოქროს მარკა) გერმანიამ უკვე გადაიხადა 733 მილიონი მაშინ, როდესაც შარშან იმავე პერიოდში მან გადაიხადა სულ 422 მილიონი. (ადს)

მარტის პროცესი

პარიზი, 25 აპრილი. 24 აპრილს სააპელაციო სასამართლოში ირჩეოდა მარტის საქმე. მარტის დაპატიმრება აქვს მისჯილი იმის გამო, თითქოს იგი „მოუწოდებდა მკვლელობისაკენ". ეს ბრალდება მარტის წაუყენეს იმ ღია წერილის დაბეჭდვის გამო, რომელიც შეეხება მარშალ ფოშის ინტერვიუს ინგლისურ ჟურნალ „რეფერი"-ის თანამშრომელთან. ამ ინტერვიუში, როგორც ცნობილია, ფოში მოუწოდებდა—მოეწყოთ ახალი ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მარტის პროცესზე მრავალი მუშა გამოცხადდა. დარბაზი სავსე იყო მუშებით.

სასამართლოს თავმჯდომარის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ, მარტიმ მოაგონა სასამართლოს, თავისი საქმის ისტორია. მარტი აღნიშნავს ფოშის ინტერვიუს უეჭველ სინამდვილეს, რაიც აღიარებულ იქნა თვით სამხედრო მინისტრის პენლევეს მიერ და დამოწმებულ იქნა „რეფერ"-ის რედაქტორის პრესტონის მიერ მის ჩვენებაში. ამ ინტერვიუს სინამდვილეს ამტკიცებს აგრეთვე ის, რომ საფრანგეთის საელჩომ ლონდონში არავითარი უარყოფა არ გამოაქვეყნა ამ ინტერვიუს გამო.

მარტი აცხადებს, რომ პროცესის ნამდვილ აზრს შეადგენს კომუნისტების დევნა, რადგან მხოლოდ კომუნისტები მოუწოდებენ მშრომელთ—იბრძოლონ ომის წინააღმდეგ. სოციალისტები ყოველგვარი საშუალებით უწყობენ ხელს მთავრობის რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ. მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ ამას.

კომპარტია მოვალეა მუშათა წინაშე ამხილოს მუშათა კლასის მტრები და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების მსგავსად (1919 წ.) მოუწოდოს მუშებს—დაიცვან რევოლიუცია და დაუძმობილდნენ იმათ, ვის წინააღმდეგაც სურს ბურჟუაზიას გაგზავნოს ისინი.

„გვდევნეთ, რამდენიც გნებავთ, თქვენი სოციალისტების დახმარებით,—განაცხადა მარტიმ,— დაგვგმეთ, ჩაგვსვით საპატიმროებში, თქვენ ვერაფრით ვერ შეაჩერებთ რევოლიუციის გამარჯვებას და ვერავითარი საშუალებით ვერ შეარყევთ რევოლიუციონური პროლეტარიატის ძალას".

მარტის იცავდა კომუნისტი ბერტონი, რომელიც ამტკიცებდა ფოშის ინტერვიუს სინამდვილეს და აღნიშნავდა, რომ უკანონოა სისხლის სამართლის რეჟიმის გამოყენება მარტის მიმართ.

სასამართლომ დაადგინა—განაჩენის გამოცხადება გადასდოს ორი კვირით.

„ლიუმანიტე" ამ გადადებას ხსნის იმით, რომ სასამართლოს შეეშინდა ხალხის რისხვის გამოწვევისა 1 მაისის წინ. გაზეთი მოუწოდებს მუშებს—გამოიყენონ განაჩენის გამოტანის გადადება და მთელი ძალ-ღონით დაიცვან მარტი. (ადს)

მღელვარება სირიაში

სტამბოლი, 25 აპრილი. ანგორიდან მიღებული ცნობებით, სირიის ქალაქ ჰომში მღელვარება დაიწყო. მღელვარება გამოიწვია რამდენიმე სირიელი ნაციონალისტის დაპატიმრებამ საფრანგეთის ხელისუფლების მიერ.

საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა სამხედრო წესები და ქალაქს დაუშინა ზარბაზნები. მღელვარების ჩასაქრობად ფრანგებმა გაგზავნეს ჩერქეზთა რაზმები. (ადს)

სპარსეთში

სპარსეთის პრესის ტენდენციურობა

თეირანი, 25 აპრილი. გაზეთებმა „ირან"-მა და „სეტარე ირან"-მა მოათავსეს მოწინავე წერილები შემდეგი სათაურით: „ავღანისტანის ბანდიტების ექსცესები". ამ წერილების დანიშნულებას შეადგენს დაამტკიცონ, თითქოს უკანასკნელ დროს გაძლიერდა ავღანისტანის ბანდების თავდასხმა სპარსეთის ტერიტორიაზე, ვითომ ისინი შიშის ზარს სცემენ სპარსეთის ადგილობრივ მოსახლეობას.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ რამდენადაც ავღანისტანში ამჟამად არ არსებობს ცენტრალური მთავრობა, სპარსეთის მთავრობამ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც დაიცავენ სპარსეთის მოსახლეობის ინტერესებს. ეს წერილები ტენდენციურ ხასიათს ატარებენ. (ადს)

კელოგის პაქტი

თეირანი, 25 აპრილი. როგორც „სეტარე ირან"-ი იუწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე შეადგინა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთი უერთდება კელოგის პაქტს. ამ ცნობას ხელს აწერს შაჰი. ცნობა გაეგზავნა სპარსეთის ელჩს ვაშინგტონში. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადასაცემად. (ადს)

„პერსრიბა"-ს გამგეობის შემადგენლობა

თეირანი, 25 აპრილი. „პერსრიბა"-ს გამგეობის წევრთა რწმუნებულების წლიური ვადის გასვლის გამო სპარსეთის მთავრობამ დანიშნა ახალი წარმომადგენლები გამგეობის სპარსულ ნაწილში: გამგეობის თავმჯდომარედ—სეიდ მუსტაფა ხან კაზემი და გამგეობის წევრებად: ფაზლულა - ხან ხატემი და ჰამიდ-ხან სეიახი (ეს უკანასკნელი იყო სპარსეთის საელჩოს კომერციული მრჩეველი მოსკოვში).

გამგეობის საბჭოთა ნაწილი ძველი დარჩა: ამხ. ობრაზცოვი, სოკოლოვი და ზალკიდი, ამასთან „პერსრიბა"-ს დირექტორ-განმანაწილებლად დარჩა ამხ. ობრაზცოვი. (ადს)

„ფორდ"-ს მოლაპარაკება აქვს სპარსეთის მთავრობასთან

თეირანი, 25 აპრილი. გაზეთი „შაფაგ"-ის ცნობით მესოპოტამიის გაზეთის „ნეხზეტ"-ის ერთ-ერთ ნომერში არის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ფორდ"-ს სპარსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება აქვს ავტომობილის ქარხნის აგების შესახებ სპარსეთში.. „ფორდი" კისრულობს ადგილების უდიდესი რაოდენობა ამ ქარხანაში დაუთმოს სპარსელებს. გარდა ამისა, „ფორდი" კისრულობს ყოველწლიურად თავისი ხარჯზე გაგზავნოს ამერიკაში 10 სპარსელი ტექნიკური განათლების მისაღებად. (ადს)

პოლიციის თარეში

პარიზი, 25 აპრილი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, პოლიციამ ალყა შემოარტყა რემედასის შენობას და დააპატიმრა ყველა ვინც იქიდან გამოვიდა. სულ დაპატიმრებულ იქნა 80 კაცი. მათ შორის ნაწილი გაანთავისუფლეს.

„ლიუმანიტე" ფიქრობს, რომ პოლიცია მიზნად ისახავდა იმ კომუნისტ მოღვაწეთა დაპატიმრებას, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ რემედასის და საფრანგეთის კომპარტიის მიერ გამართულ საპროტესტო მიტინგებზე. (ადს)

ვოიცეხოვსკის საქმე

ვარშავა, 25 აპრილი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

25 აპრილს სააპელაციო სასამართლოში დაიწყება ვოიცეხოვსკის საქმის გარჩევა. ვოიცეხოვსკი თავს დაესხა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ვარშავაში ლიზარევს.

ვოიცეხოვსკიმ, ისევე, როგორც პროკურორმა, განასაჩივრა პირველი ინსტანციის განაჩენი. (ადს)

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საკ. კომპარტიის (ბ) XVI პარტკონფერენცია

(ტელეფონით მოსკოვიდან)

ამხ. კალინინის მოხსენება

26 აპრილის დილის სხდომაზე ამხ. კალინინმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „სოფლის მეურნეობის აღორძინების გზები და საშუალო გლეხობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება".

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ,— ამბობს ამხ. კალინინი,—მოისპო მემამულეთა მეურნეობანი და კულაკურ მეურნეობათა საგრძნობი ნაწილი. რევოლიუციამ გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებს გადასცა თითქმის მთელი მიწის სივრცე. ამან შექმნა უდიდესი ცვლილებანი გლეხურ მეურნეობაში. რევოლიუციამდე მიწები დაგროვილი იყო მიწათმფლობელთა კლასის და კულაკების ხელში. ოქტომბრის შემდეგ ეს მდგომარეობა ძირიანფესვიანად შეიცვალა. გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა რევოლიუციის განმავლობაში გაიზარდა 16-დან 25 მილიონამდე. ამჟამად იხვნება მიწის თითქმის იმდენივე სივრცე, რამდენიც ძველად იხვნებოდა. ამასთან ერთად გვაქვს პროგრესი მთელ სოფლის მეურნეობაში: სოფლისშორისო მიწათმოწყობა განხორციელებულია მიწის მთელი სივრცის ერთ მესამედზე, ხოლო შინა-სასოფლო მიწათმოწყობა —დაახლოებით ერთ მეხუთედზე.

მრავალმინდვრიანი თესლცვლის სივრცე გაიზარდა და იგი ამჟამად აღწევს 10 მილიონ ჰექტარამდე.

გლეხურ მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ ტექნიკურ კულტურებს, რომლებიც წინედ მსხვილ მიწათმფლობელთა პრივილეგიას შეადგენდა. იზრდება გლეხთა უზრუნველყოფა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით.

რევოლიუციამდე ჩვენს სოფელს წარმოდგენა არ ჰქონდა ტრაქტორზე, ეხლა კი სოფლად მუშაობს 37.000 ტრაქტორი. 1929 წლის დამლევს გვექნება 45.000 ტრაქტორი. ეს ციფრები მოწმობენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ მარცვლეული კულტურების ზრდის ტემპის ერთგვარი შენელება.

წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა საქონლიანობის შემცირება აიხსნება მათი დაქუცმაცებით და მათი ტექნიკის უკიდურესი პრიმიტიულობით.

სოფლის მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობა აყენებს საკითხს მტკიცე და გეგმაშეწონილი მუშაობის შესახებ, რომელმაც მისი რეკონსტრუქცია უნდა მოახდინოს და დააყენოს იგი კოლექტივიზაციის გზაზე. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, რომლებიც იბრძვიან მძლავრი განსაზოგადოებული სექტორის შესაქმნელად სოფლის მეურნეობაში, ხელს შეუწყობენ ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათა გაძლიერებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გადიდდა კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი, 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის უკვე 37.000 კოლექტიური მეურნეობა იყო. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხაზით თვალსაჩინო წარმატებას მივაღწიეთ; საქონლიანობის მხრით ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი დაეწიენ მემამულეთა მეურნეობებს და ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა მეურნეობებს დიდი მექანიკური ძალა აქვთ. უეჭველია, უახლოესი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობების საქონლიანობა 60-70 პროცენტს მიაღწევს. კულაკურ მეურნეობათა საქონლიანობა 30 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე.

საქონლიანობის შემცირებას ჩვენ ვამჩნევთ აგრეთვე ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობებშიაც: ომამდე მათი საქონლიანობა უდრიდა 14 პროცენტს, ახლა — 11 პროცენტს.

ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობების საქონლიანობის შემცირება უმთავრესად აიხსნება საკუთარი მოხმარების გაძლიერებით.

ჩვენი სოფლის წინაშე განვითარების ორი გზაა: კაპიტალისტური გზა და სოციალისტური გზა. კაპიტალისტური გზა ჩვენთვის არ არსებობს; სოფლის მეურნეობის გაძლიერება ინდივიდუალური და ბარბაროსული მოვლა - გაძღოლის საფუძველზე — შეუძლებელია. სოფლის წინაშე ერთად ერთი სწორი გზაა — ეს არის კოლექტივიზაცია; კოლექტიურ საფუძვლებზე გადასვლის გარეშე ფართო პერსპექტივები არ არსებობს, უამისოდ შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის თანდათან გადიდებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი მრეწველობა ყოველწლიურად იზრდება 20 პროცენტზე მეტით, ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპმა გეზი უნდა აიღოს ინდუსტრიის განვითარების ტემპზე.

სოციალისტური მიწადმოქმედების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლას ჩვენ ამავე დროს ვუკავშირებთ ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობების ზრდისა და აღორძინებისათვის ხელის შეწყობას. იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ 25 მილიონი ინდივიდუალური მეურნეობის სოციალისტურ ლიანდაგზე გადასაყვანად, ჩვენ უფრო რთული ამოცანები გვექნება, ვიდრე მრეწველობაში გვაქვს.

ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებული ტემპი — ეს არის მატერიალური ბაზის შექმნა კოლექტიურ მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსავითარებლად. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის წარმოებულ მუშაობაში ჩვენ ვხედავთ ისეთ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ გარემოებასთანაც, რომ ჩვენ პირველად უნდა შევქმნათ სოციალისტური სამეურნეო საქმიანობის ნიმუშები.

მუშათა კლასის წინაშე სდგას გადაუდებელი ამოცანა — გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებს კავშირის ყველა ფორმის გაძლიერება, მეტადრე საწარმოო ხაზით. ამ კავშირის გაძლიერებასა და განმტკიცებას ხელი უნდა შეუწყოს იმ საგადასახადო გამრუდებათა ლიკვიდაციამ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ შარშან. შარშან სასოფლო - სამეურნეო გადასახადი დააწვა საშუალო გლეხს, ისეთ მეურნეობებს, რომლებთაც ბევრი მჭამელი ჰყავთ.

სწორ საგადასახადო პოლიტიკასთან ერთად ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებას. ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციის სწორ გამოყენებას. კონტრაქტაცია, მუშაობის სხვა დარგებზე მეტად, მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, ნამდვილად კი ამ დარგში პარტიული ორგანოები ზოგჯერ შეუფერებელ დირექტივებს იძლევიან: შეუძლებელია კონტრაქტაციის გადაქცევა სოციალური უზრუნველყოფის საქმედ, კონტრაქტაცია დაკავშირებული უნდა იყოს საერთო ღონისძიებებთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს, რომლებიც სერიოზულ ბაზას ჰქმნიან მეურნეობათა გაერთიანებისათვის. მართალია, ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ საკითხის წარმატებით გადაჭრა ბრწყინვალე პერსპექტივებს გვიშლის.

შემდეგ ამხ. კალინინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ პარტიამ უნდა გაგზავნოს თავისი საუკეთესო მუშაკები.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სრულებით არ სწარმოებს იმ პროცესების შესწავლა, რომლებიც სოფლად ხდება. უნდა შევქმნათ მთელი რიგი სამეცნიერო გამომკვლევი ინსტიტუტები იმ ღრმა სოციალ-ეკონომიური პროცესების შესასწავლად, რომლებიც ხდება სოფლად.

დასასრულ, ამხ. კალინინი ეხება მემარჯვენე გადახრის სოციალ-ეკონომიურ ფესვებს. მემარჯვენე გადახრას ასაზრდოებს ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, კაპიტალისტური გარემოცვა, წვრილი ბურჟუაზიის სიჭარბე, სოციალიზმის მშენებლობის სიძნელენი; არა ნაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს მყუდრო ცხოვრების ფსიქოლოგიას, რაიც ემჩნევა ზოგიერთ პარტიულებს, რომლებმაც დაჰკარგეს რევოლიუციონური პერსპექტივები.

რევოლიუციონური გრძნობის დაკარგვა განსაკუთრებით საშიში მოვლენაა, რადგან იგი შეუმჩნევლად ხდება. გარდა ამისა, ერთნაირი არ არის პარტიის შემადგენლობა. ამგვარად, მემარჯვენე სულისკვეთება აუცილებლად იჭრება პარტიაში. მემარჯვენეობა იწყება დამახასიათებელი ნიშნებით: საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის შეფერხება, კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის შემცირება, წინადადებანი კოლექტივიზაციის გზიდან გადახვევის შესახებ, ღარიბთა ფართო მასების შეკავშირების მნიშვნელობის მიფუჩეჩება და სხ.

ყოველ კომუნისტში უნდა დარჩეს რევოლიუციონური შეგნება, რომელიც მოწმობს იმას, რომ იგი დიდი რევოლიუციონური არმიის ჯარისკაცია, ამიტომ მთელი ჩვენი ბოლშევიკური სიმტკიცით უნდა ვებრძოლოთ მემარჯვენე გადახრას.

როცა მთავარ იერიშებს მივმართავთ მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა ბრძოლა ტროცკიზმთანაც.

ამხ. კალინინის მოხსენების შემდეგ გაიმართა ფართო კამათი.

საღამოს სხდომაზე კონფერენციას მიესალმნენ აკადემიკოსი **პავლოვი** და პროფესორი **ტუპოლევი**, რომლებსაც გულთბილად შეხვდა კონფერენცია.

კამათი ამხ. კალინინის მოხსენების ირგვლივ გაგრძელდება ხვალაც.

კონფერენციის დღიური

მოსკოვი, 26 აპრილი. მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის 26 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კალინინის მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარების გზების და საშუალო გლეხობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების შესახებ. მოხსენება გაგრძელდა 3 ნახევარი საათი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში სხდომის შეწყვეტამდე გამოვიდნენ ამხ. შლიხტერი (უკრაინა), ლომინაძე (მოსკოვი), სირცოვი (ციმბირი).

საღამოს სხდომაზე გაგრძელდება კამათი ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო (ადს).

სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წ. გეგმა

ამხ. რიკოვის მოხსენება

ხუთწლიანი გეგმის აზრი და მნიშვნელობა

მოსკოვი, 26 აპრილი. დღევანდელი დღე, როდესაც საკავშირო პარტიულ კონფერენციას საშუალება აქვს განიხილოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის მუშაობის გეგმას, არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დღე.

ჩვენ დღემდე ვეწეოდით მეტად ინტენსიურ ნაყოფიერ სამეურნეო და კულტურულ მუშაობას, მაგრამ სულ რაღაც სამი-ოთხი წლის წინად „საკონტროლო ციფრებიც" კი არ გვქონდა, ე.ი. არ გვქონდა ძირითადი ნაწილებში შეთანხმებული წლიური სამეურნეო გეგმა. ამ რამდენიმე წლის წინად მტკიცე წლიური ბიუჯეტიც კი არ გვქონდა და სახელმწიფო ფინანსებს კვარტალობით ვაწესრიგებდით.

სიმართლე რომ ვსთქვათ, მხოლოდ ხუთწლიანი გეგმის შემუშავების შემდეგ ვიწყებთ ნამდვილ გაღრმავებულ გეგმიან მუშაობას. დღემდე ჩვენ გვქონდა საერთო გეზი, რომელიც დასახული იყო ელექტროფიკაციის გეგმაში და დამტკიცებული საბჭოების მე-VIII ყრილობის მიერ. ჩვენ გვქონდა სამეურნეო მუშაობის წლიური ვარაუდები, ზოგჯერ ვადგენდით რამდენიმე წლის გეგმას მრეწველობის ცალკე დარგებისათვის.

მთელი ამ მუშაობის ნაკლი, უწინარეს ყოვლისა, ის იყო, რომ ჩვენ არ შეგვეძლო საკმაოდ მკაფიოდ შეგვეფარდებია ჩვენი მუშაობა დროისათვის. ყოველი წელი შემდგომ წელს განსაზღვრავს, ჩვენ კი ძალიან ხშირად მოკლებულნი ვიყავით იმის საშუალებას, რომ ნამდვილად გვეგეთვალისწინებია იგი. განვითარების ყოველი წელი თვალსაჩინო გადაჯგუფებას ახდენდა ეკონომიურ და კლასობრივ ძალთა შეფარდებაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო სწორად გამოანგარიშებული ხანგრძლივი გეზის თვალსაზრისით მივდგომოდით ამ გადაჯგუფებას, შეგვეფასებინა მისი მნიშვნელობა და საუკეთესოდ გამოგვეყენებია იგი ახალი საზოგადოების შესაქმნელად. ხუთწლიანი გეგმის მეოხებით, ეს ნაკლი თავიდან აცილებულია.

ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობის დახასიათებისას განსაკუთრებით მივაპყრობ თქვენს ყურადღებას იმ როლზე, რომელიც უნდა ითამაშოს ამ გეგმამ მასების დარაზმვაში სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისათვის. ახალი საზოგადოების ორგანიზაცია ხომ ამავე დროს არის მუშათა კლასისა და ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების დარაზმვა შეგნებული, აქტიური და უშუალო მონაწილეობისათვის უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

რაც უკეთ იქნებიან დარაზმულნი უფართოესი მუშურ - გლეხური მასები, მით უფრო წარმატებით იწარმოებს სოციალისტური მშენებლობა, მით უფრო სწრაფად ვიმოძრავებთ ინდუსტრიის გზით, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ქვეყნად გარდაქმნის გზით. ხუთწლიან გეგმას მუშათა კლასისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვის თვალსაზრისით ის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი კონკრეტულად და თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა ნაყოფს მოიმკიან შემდეგ წელს ან 2-3 წ. შემდეგ მუშათა კლასი და ღარიბი და საშუალო გლეხები მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად. 5 წლ. გეგმა, თავისი კონკრეტული და კალენდარული ხასიათისა და მუშაობის შედეგების ყოველწლიურად განსაზღვრის გამო, წარმოადგენს საუცხოვო იარაღს ხალხის უფართოესი მასების დარაზმვისათვის ახალი საზოგადოების შესაქმნელად.

როდესაც ჩვენ თავის დროზე ვარჩევდით ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმას, ვლადიმირ ილიჩი მოითხოვდა, რომ გამოგვეცა ელექტროფიკაციის გეგმის პოპულიარული და ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი განმარტება. ეს გეგმა მას მიაჩნდა მძლავრ იარაღად ხალხის უფართოესი მასების დარაზმვისათვის.

ხუთწლიანი გეგმა იძლევა ბევრად მეტ შესაძლებლობას ასეთი დარაზმვისათვის, ვიდრე რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის („გოელრო"-ს) გეგმა, რომელსაც, მთელი თავისი განსაკუთრებული ღირსებების მიუხედავად, ის ნაკლი ჰქონდა, რომ ელექტროფიკაციის საფუძველზე საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ახალი პერსპექტივა ჩასმული არ იყო დროისა და განსაზღვრული ვადების მტკიცე ჩარჩოში.

ხუთწლიანი გეგმა საშუალებას აძლევს ყველას, ვინც მას გაეცნობა, ყოველ სახალხო კრებაზე აღნიშნოს, რამდენად ვითარდება სოციალისტური მშენებლობა ხუთი წლის მანძილზე, რამდენად უმჯობესდება მუშათა კლასის მდგომარეობა, უმჯობესდება გლეხობის მდგომარეობა და რამდენად ფართოდ და ძლევამოსილად ვითარდება ამ წლების მანძილზე ბრძოლა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნაშთების გადალახვისა და ლიკვიდაციისათვის.

მაგრამ ეს მიღწევები შეიძლება მეტ-ნაკლები იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებულად შევსძლებთ დავრაზმოთ სამეცნიერო - ტექნიკური ძალები და გადავჭრათ უდიდესი, რევოლიუციონური მასშტაბის, ტექნიკური ამოცანები, რამდენად წარმატებით დავრაზმავთ სოფელს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში, სხვანაირად, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაიზრდებიან მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებელნი.

ეს საკითხები გეგმაში დამალული არ არის, როგორც საერთო თეორიული ხასიათის დირექტივები, ეს საკითხები ჩამოყალიბებულია კონკრეტულ ციფრობრივ ფორმებში, იმ შეფარდების აღნიშვნით, რომელიც არსებობს, ერთის მხრივ, შრომითი ღონისძიებებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების, ხოლო მეორეს მხრივ — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის, მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების შორის.

საჭიროა კარგად შევაგნებინოთ მუშებსა და გლეხებს ხუთწლიანი გეგმის ყველა ძირითადი ელემენტი, რათა ყოველი მათგანი ნათლად ხედავდეს დამოკიდებულებას თავის ღონისძიებათა დაჭიმვისა და ამ ღონისძიებათა შედეგებს შორის.

მუშათა კლასს, როგორც მშენებლობის პროცესში მყოფი სოციალისტური მეურნეობის ბატონ-პატრონს და ახალი საზოგადოების ორგანიზატორს, შეუძლია განიხილოს და მან კიდეც უნდა განიხილოს, შეისწავლოს და აწონ - დაწონოს ის, თუ რამდენად და როგორ წაიწევს წინ ამ უდიდესი მეურნეობის მშენებლობა და გაუმჯობესდება მახლობელი ხუთი წლის მანძილზე, და გადააქციოს ეს ანგარიში ჩვენი ქვეყნის პროლეტარული და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვის საფუძვლად.

დავეწიოთ და გავასწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს

მე არ შემიძლია რეგლამენტის ფარგლებიდან გამოუსვლელად დაგისახელოთ თუნდაც უმნიშვნელოვანესი ციფრები. ეს ციფრები მოყვანილია ცეკას თეზისებში, რომლებიც თქვენ მიღებული გაქვთ. მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ იმას, რომ, თუ ჩვენ განვახორციელებთ გეგმაში დასახულ ამოცანებს, ჩვენს შეჯიბრებაში ბურჟუაზიულ ქვეყნებთან განვითარების ტემპის მხრივ მოხდება თვალსაჩინო გადაჯგუფება და საბჭოთა კავშირი თავის საწარმოო ძალთა განვითარების დონით დაიჭერს უფრო მაღალ ადგილს სხვა ქვეყნებს შორის.

თუჯი

მაგალითად, თუჯის წარმოებაში, რომელიც წარმოადგენს მეურნეობის ინდუსტრიალური განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ მაჩვენებელს, ჩვენ ამჟამად ვართ მეექვსე ადგილზე, ხუთწლედის დამლევისათვის კი ვიქნებით მესამე ადგილზე და ჩვენზე წინ იქნებიან მხოლოდ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია. ქვანახშირის წარმოებაში მეხუთე ადგილიდან ხუთწლედის დამლევისათვის გადავალთ მეოთხე ადგილზე და ჩვენზე წინ იქნებიან, მხოლოდ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და გერმანია.

ამ უდიდეს წარმატებას ჩვენს წინაშე მდგომი იმ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში, რომ დავეწიოთ და გავასწროთ ტექნიკურ - ეკონომიურად მოწინავე ქვეყნებს, საფუძვლად უდევს იმ კაპიტალური ხარჯების უდიდესი ზრდა, რომლებიც განზრახული გვაქვს დავაბანდოთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში მახლობელ ხუთი წლის მანძილზე.

გეგმით მოწესრიგებულ მრეწველობაში განზრახულია ხუთი წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნას 16,5 მილიარდი მანეთი, განვლილ ხუთწლედში დაბანდებული 4,4 მილიარდის ნაცვლად. ამასთან ერთად უდიდესად იზრდებიან ეგრედწოდებული ძირითადი ფონდები მთელ სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით სოციალისტურ სექტორში.

მრეწველობის ძირითადი ფონდები

მრეწველობაში ძირითადი ფონდები მიაღწევენ 25,8 მილიარდ მანეთს, ეხლანდელი 8,6 მილიარდის ნაცვლად, ელექტროფიკაციაში — დაახლოვებით 5 მილიარდს, ეხლანდელი 930 მილიონის ნაცვლად; რკინის გზის ტრანსპორტში — 18,2 მილიარდს, ეხლანდელი 10,8 მილიარდის ნაცვლად. სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდები გაიზრდებიან 38,9 მილიარდამდე, 28,7 მილიარდის ნაცვლად. მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ფონდები ამჟამად სამჯერ ნაკლებია სოფლის მეურნეობის ფონდებზე. ხუთწლედის დამლევისათვის ეს შეფარდება თვალსაჩინოდ იცვლება და მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ფონდები (დაახლოვებით 31 მილიარდი) მხოლოდ უმნიშვნელოდ იქნება ნაკლები სოფლის მეურნეობის ფონდებზე (38,9 მილიარდი მანეთი).

ამასთან შეფარდებით მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქცია გაიზრდება ორჯერ მეტად, განსაკუთრებით მრეწველობის პროდუქცია, რომელიც ხუთი წლის მანძილზე იზრდება ორნახევარჯერ მეტად. ამრიგად, ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საწარმოო ძალთა არა უბრალო ზრდას, არამედ ისეთ ზრდას, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის გარდაქმნისაკენ აგრარულ ინდუსტრიალური ქვეყნიდან ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად.

ამ მატერიალურ ცვლილებებს მოჰყვება არსებითი სოციალური ცვლილებები, რაც კერძოდ იმაში გამოიხატება, რომ სოციალისტური სექტორის ძირითადი ფონდების ხვედრითი წონა, რომელიც ამჟამად 52,7 პროცენტს უდრის, 1932-33 წელს მიაღწევს 68,9 პროცენტამდე.

აი, საერთოდ, ის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროგრამა, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წარმოადგინა ორ ვარიანტად — ეგრედწოდებულ სავარაუდო და ოპტიმალურ ვარიანტებად. ეს ორი ვარიანტი მთავრობის თანხმობით გამომუშავდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უფრო სწორად გათვალისწინება გეგმის შესრულების პირობებისა და იმის განსაზღვრა, თუ რამდე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად შეიძლება ამ პირობების უზრუნველყოფა. როდესაც ხუთწლიან გეგმას ვიხილავდით სახალხო კომისართა საბჭოში და ცეკას პოლიტბიუროში, ერთხმად იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა დამტკიცება არა ორის, არამედ ერთი ოპტიმალური ვარიანტისა, რომელიც უფრო მეტ მიღწევებს ითვალისწინებს. ამას გარდა, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ოპტიმალური ვარიანტის რამდენადმე გაფართოვება როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის ზოგიერთი დარგის ხაზით.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ წავაწყდით შემდეგ მოვლენას: აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონში ამჟამად ნათესი სივრცე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ომის წინა დროის რაოდენობას —15 და მეტი პროცენტით. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ნათესი სივრცის ზრდის ისეთი ტემპი, რომ 1932-33 წელს ეს სივრცე ზოგიერთ რაიონში, მხოლოდ ომის წინა დროის დონეს ძლივს მიაღწევს. სახალხო კომისართა საბჭოში ამ საკითხის განხილვის დროს იმ დასკვნამდე მივედით, რომ შესაძლებელია და, მაშასადამე, საჭიროც, მივაღწიოთ ნათესი სივრცის გაფართოვების უფრო სწრაფ ტემპს. ამის მიხედვით გავადიდეთ გეგმითი დავალებანი. მეორე არსებითი შესწორება ეხება საბჭოთა მარცვლეული მეურნეობების პროდუქციის ზრდას. ჩვენ საჭიროდ ვცანით, რომ „ზერნოტრესტ“-ის საბჭოთა მეურნეობებში გადიდებულ იქნას პურეულის წარმოება. სოფლის მეურნეობის გარდა, ჩვენ გადავსწყვიტეთ ხუთწლიანი გეგმის პირველი წლების განმავლობაში გავაძლიეროთ მინერალური სასუქებისა და სასოფლო - სამეურნეო მანქანების წარმოება. კერძოდ, საჭიროდ ვცანით 1929-30 წლისათვის 500.000 ტონამდე გადიდდეს ისეთი სასუქის წარმოება, როგორიც არის ფოსფორიტი. სწორედ ასევე გავაფართოვეთ დავალება ელექტროფიკაციის დარგში, კერძოდ, ნიჟნი-ნოვგოროდის რაიონის ელექტროფიკაციის საქმეში. ეს უკანასკნელი გარემოება დაკავშირებულია იმასთან, რომ უდიდესი საავტომობილო ქარხნის ასაგებ ადგილად ჩვენ მივიჩნიეთ ნიჟნი-ნოვგოროდი. ამ ქარხნის აგებას შევუდგებით დაუყოვნებლივ, როგორც კი მზად იქნება მისი პროექტი.

სათბობი მასალა

შემდეგ გავადიდეთ დავალება სათბობი მასალის წარმოების დარგში. ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ იგი აგებულია სათბობის მოხმარების ინტენსიურ რაციონალიზაციაზე, ისეთ რაციონალიზაციაზე, რომლის მიხედვითაც სათბობის ხარჯი პროდუქციის ერთეულზე, დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებული იქნება 30 პრ. მაგრამ არც ეს გარემოება იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენი სათბობი მასალის ბალანსი მტკიცე იქნება. საჭიროდ ვცანით სათბობი მასალის ამოღების პროგრამის გადიდება, კერძოდ, კუზნეცკის რაიონში უნდა მივაღწიოთ დიდ წარმატებას ადგილობრივი სათბობი მასალის გამოყენების საქმეში. საბჭოთა კავშირის სათბობი მასალის მეურნეობა უმთავრესად დონეცისა და კუზნეცკის რაიონებს ემყარება. ეს რაიონები კი, როგორც ვიცით, ძალიან დაშორებულნი არიან ჩვენი მრეწველობის ისეთ ცენტრებს, როგორიც არის ლენინგრადი და ცენტრალური სამრეწველო ოლქი. შორ მანძილზე სათბობი მასალის გადატანა დიდ ხარჯს იწვევს. ამიტომ ადგილობრივი სათბობი მასალის გამოყენების საკითხს, განსაკუთრებით ელექტროფიკაციის საშუალებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, უფრო ისეთი რაიონებისათვის, როგორიც ცენტრალური სამრეწველო ოლქია. მიუხედავათ იმ დიდი მიღწევისა, რომელიც დღეს გვაქვს ადგილობრივი სათბობი მასალის გამოყენების საქმეში, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს დონბასიდან ცენტრალურ - სამრეწველო რაიონში სათბობი მასალის გადატანის თითქმის გაორკეცებას. ამის გამო ჩვენ გამოვიტანეთ გადაწყვეტილება მოსკოვის მახლობელი რაიონების ნახშირის გამოყენების უფრო გადიდებისა და ტორფის ამოღების საქმის უფრო გაფართოვების შესახებ. ჩვენი მითითების თანახმად, მოსკოვის მახლობელ რაიონებში ნახშირის ამოღება ხუთი წლის მანძილზე მიმდინარე წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს ხუთჯერ, ხოლო ტორფის ამოღება — სამჯერ. ჩვენ გვეშინია, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სათბობი მასალის გადატანის დიდი ზრდა მოითხოვს ჩვენგან უფრო მეტ ხარჯს რკინის გზის იმ დამატებითი მაგისტრალების გასაყვანად, რომლებიც სამრეწველო რაიონებს სამხრეთის სათბობი მასალის ადგილებს დაუკავშირებს. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც დამატებით შეტანილ იქნა ხუთწლიან გეგმაში. მე არ ჩამოვთვლი სხვა დამატებებსა და შესწორებებს, რომლებიც, მაგ., შეეხება დავალების გადიდებას ნავთის დარგში, სამეცნიერო - საგამომკვლევო საქმის გაფართოვებას და სხვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველა ამ შესწორებასა და დამატებას არ შეაქვს რაიმე არსებითი ცვლილება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილ ხუთწლიანი გეგმის პროექტში. ძირითადი საფუძვლები, ძირითადი შეფარდება გეგმის სხვადასხვა ელემენტებს შორის დატოვებულია ისე, როგორც ისინი გათვალისწინებული იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ.

ზრდის ტემპი

შესაძლებელია თუ არა და რეალურია თუ არა ჩვენი მეურნეობის განვითარების ასეთი მაღალი ტემპები, რომლებიც სჭარბობენ სხვა ქვეყნების განვითარების ისტორიიდან ცნობილ ყველა ტემპს? კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ძალიან მაღალ ტემპად ითვლება სამრეწველო წარმოების ზრდა წლიურად 7—10 პროცენტი. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, დაგეგმილი მრეწველობის წლიური ზრდა, იმ მრეწველობისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელი მეურნეობის განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, დაახლოვებით 20 პროცენტამდე აღწევს. კაპიტალური დაბანდებანი დაგეგმილ მრეწველობაში, ხუთწლიანი გეგმით, წლების მიხედვით შემდეგნაირად არის გათვალისწინებული: პირველ წელს მომატება უდრის 26 პროც., შემდეგ წლებში — 25 პროც-ს, 15 პროც., 12 პროც., 19 პროც. ეს დაბანდებული კაპიტალი 1932-33 წელს ორჯერ და მეტადაც გადააჭარბებს 1927-28 წელს დაბანდებულ კაპიტალს.

მე ვფიქრობ, შევძლებთ ასეთი ტემპის გატარებას. ჩვენ მიმდინარე წელსვე ვაბანდებთ მრეწველობასა და ელექტროფიკაციაში 2 მილიარდამდე მანეთს. თუ წარმოვიდგენთ, რომ ყოველ წლობით იმდენსავე დავაბანდებთ, რამდენიც წელს დავაბანდეთ, ხუთი წლის განმავლობაში ეს 10 მილიარდ მანეთს შეადგენს. ამასთან ჩვენი მეურნეობა წლითი-წლობით მაგრდება და, მაშასადამე, იზრდება შესაძლებლობაც, რომ მიღებულ იქნას სახსრები კაპიტალური მშენებლობის საჭიროებათათვის.

სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა

ბევრი ჩვენგანი სცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ ეგრედწოდებული აღდგენის პერიოდიდან რეკონსტრუქციის პერიოდში გადასვლის დროს ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპი გადაჭრით შემცირდებოდა. ეგონათ, ეს ტემპი გაცილებით იმაზე დაბალი იქნებოდა, როგორიც სინამდვილეში გვაქვს უკანასკნელი წლების განმავლობაში. აღდგენის პერიოდში წარმოების გაფართოვების ამოცანა განისაზღვრებოდა არსებული მოწყობილებისა და ფაბრიკების გამოყენებით და რაიმე სერიოზულ კაპიტალურ ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული. ამიტომაც იმ წლების განმავლობაში, როდესაც მოქმედებდნენ აღდგენითი პროცესის ძალები, ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქციის ყოველ წლიური მომატება 30—40 პროც. და მეტს აღწევდა. მაგრამ როდესაც მრეწველობის განვითარების პროცესში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ არსებული მოწყობილება და არსებული ფაბრიკები სავსებით აღდგენილი აღმოჩნდა, მაშინ მრეწველობის შემდგომი ზრდა შესაძლებელი გახდა ახალი ფაბრიკა - ქარხნების მშენებლობით და არსებული ფაბრიკა-ქარხნების ახალ ნიადაგზე მოწყობით. როდესაც ვუახლოვდებით ამ გარდატეხის მომენტს, ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ჩვენ არა თუ ვერ ვივლით ისეთი დიდი ნაბიჯებით, როგორც წინად, არამედ საეჭვოა ისიც, რომ, მაგალითად, უზრუნველვჰყოთ ყოველწლიური მომატების 20 პროცენტიანი ტემპი. ბევრ ჩვენგანს მაშინ საორიენტაციოდ 10-12 პროცენტი ჰქონდა გათვალისწინებული. მაგრამ წელს, როგორც შარშან, ჩვენი მრეწველობა გვიჩვენებს, რომ მისმა პროდუქციამ 20 პროცენტით იმატა. მე ვფიქრობ, შემდგომი წლები ამ მხრით მოგვცემენ არა ნაკლებს, არამედ უფრო მეტ შესაძლებლობას. იქონიეთ მხედველობაში, რომ მიმდინარე და წარსული წლების განმავლობაში ჩვენ უდიდესი საამშენებლო მუშაობა ჩავატარეთ მრეწველობის ახალ ნიადაგზე მოწყობისა და ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგების საქმეში. და ეს მოწყობილებანი, ეს ფაბრიკები ნაწილობრივ წელს დაიწყებენ მუშაობას, ხოლო მათი უფრო მეტი რიცხვი მომავალ წელს ამუშავდება. ამასთან თანდათან იზრდება მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპებისა და კაპიტალის უფრო სწრაფი ბრუნვის შესაძლებლობა. ცნობილია, რომ მშენებლობაში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი შეცდომა, ნაკლი და დეფექტი გვაქვს. მაგრამ ამასთან ჩვენ იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ამჟამად, ყოველს შემთხვევაში, ჩვენ უკეთესად ვაშენებთ, ვიდრე ორი-სამი წლის წინად ვაშენებდით, ვაშენებთ უფრო იაფად და უფრო სწრაფად.

ეს ჰქმნის წინასწარ პირობას კაპიტალის ბრუნვის დასაჩქარებლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხუთწლიან გეგმაში შესაძლებლად ვსცნობთ სამი წლის განმავლობაში აგებულ იქნას ისეთი უდიდესი მეტალურგიული ქარხნები, როგორიცაა მაგნიტოგორის და ტელბესის ქარხნები. მშენებლობის ასეთი ტემპი ევროპისაზე ნაკლები არ არის, მაგრამ, ვემყარებით რა ეხლანდელი მომენტისათვის დაგროვილ უდიდეს გამოცდილებას ახალ მშენებლობაში, ჩვენ უფლება გვაქვს ეს მოთხოვნა წარუდგინოთ ჩვენ სამეურნეო ორგანოებს. ხუთწლიანი გეგმა გამომდინარეობს მშენებლობის ასეთი სწრაფი ტემპისაგან, რომ, მაგალითად, სარაიონო ორთქლის სადგურის აგება უნდა მოხდეს ორ სეზონში. ეს სავსებით შესაძლებელია. მისი შესრულება შეიძლება საამშენებლო სამუშაოთა კარგად მოწყობით და თანამედროვე ტექნიკის მიღწევათა გამოყენებით მშენებლობის საქმეში.

შრომის ნაყოფიერების ზრდა

ხუთწლიანი გეგმა არა მარტო დიდ მოთხოვნებს უყენებს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას, არამედ ემყარება შრომის ნაყოფიერების გადიდებასაც ორჯერ მეტად. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ შრომის ინტენსიობა, ე. ი. ადამიანის მიერ მუშაობაში დახარჯული ენერგიის რაოდენობა უნდა გაიზარდოს ერთი ორად. მაგრამ არც ის იქნება სწორი, ვითომ შრომის ასეთ ნაყოფიერებას მოგვცემენ ახალი მანქანები თავის-თავად, შრომის დისციპლინის ისეთი მდგომარეობის დროსაც, როგორიც არის დღეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული იქნება მთავრობის ახალი კანონი შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწრაფად დავსძლევთ იმ დეფექტებს, რომლებსაც ეხლა ადგილი აქვს ამ დარგში (სამუშაოს გაცდენის შედარებით დიდი პროცენტი და სხვ.), შევსძლებთ მივაღწიოთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდის კოეფიციენტებს და, ამ ნაყოფიერების მიხედვით, წარმოების გაფართოების დასახულ ტემპებს. მუშათა რეალური ხელფასის მომატება გათვალისწინებულია 70 პროცენტით, მაგრამ საჭიროა ნათლად შევიგნოთ, რომ ეს მომატება პირდაპირ დამოკიდებულია მთელი გეგმის შესრულებაზე, კერძოდ, ისეთ გადამწყვეტ ფაქტორზე, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების გადიდება. მუშათა კლასი ბატონ-პატრონია საბჭოთა სახელმწიფოში. ჩვენი სახელმწიფო მუშურია დამუშათა კლასის და გლეხობის ღარიბი ფენების, საერთოდ, მთელი მშრომელი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე თვით მუშათა კლასის და ღარიბ-საშუალო მასების საქმეა. მათი ფართო მონაწილეობით უზრუნველყოფილ უნდა იქნას შრომის მეტი ნაყოფიერება, მუშაობის უკეთესად დაყენება და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდება.

ხუთწლიანი გეგმის შედეგები

ხუთი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს საგრძნობი გარდატეხა: მრეწველობა უფრო დიდ ადგილს დაიჭერს მთელ სახალხო მეურნეობაში. ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და წმინდა პროდუქციის ხვედრითი წონა უცვლელ ციფრებში გაიზრდება 32,7 პროცენტიდან (1927—28 წელს) 38,2 პროცენტამდე (1932—33 წელს).

ხვედრითი წონა მის ძირითად ფონდებში გაიზრდება 14 პროცენტიდან (1927—28 წელს) 22,8 პროცენტამდე (1932—33 წელს), ხოლო ელექტროფიკაციასთან ერთად—15,4 პროცენტიდან 27,1 პროცენტამდე. ეს ნიშნავს უდიდეს კლასობრივ ცვლილებებს ჩვენს ქვეყანაში. სათანადოდ შეიცვლება მუშათა კლასის ხვედრითი წონა და როლი. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ცენზიანი მრეწველობის მუშათა რიცხვი, რომელიც 1927—28 წელს 2.750.000 კაცს უდრიდა, ხუთი წლის დამლევს 3.681,000 კაცამდე უნდა ავიდეს. დაქირავებული შრომის პირთა საერთო რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში გაიზრდება 11.350.000 კაციდან (1927—28 წელს) 15.724.000 კაცამდე (1932—33 წელს).

უმუშევრობა

მრეწველობის ასეთ ზრდასთან და სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებასთან დაკავშირებით, ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს უმუშევრობის საგრძნობლად შემცირებას. მე არ მომყავს აქ ციფრობრივი ცნობები უმუშევართა რაოდენობის შემცირების შესახებ, რადგან ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე წარმოდგენილი გამოანგარიშებანი ძალზე პირობითია, მაგრამ ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შესრულების შემდეგ უნდა მოხდეს უმუშევრობის საგრძნობი შემცირება.

კულტურულ ფრონტზე

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასის და გლეხური მოსახლეობის ძირითადი მასის უდიდესი კულტურული ზრდის ნიადაგზე. ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია უდიდესი დაბანდებანი სოციალ-კულტურული მშენებლობის ხაზით. ეს დაბანდებანი საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასის კულტურული ზრდის საკმაო ტემპი. როგორც გათვალისწინებულია, ხუთი წლის განმავლობაში ხარჯები სოციალ-კულტურული საჭიროებისათვის გაიზრდება 2,4 მილიარდ მანეთიდან (1928—29 წელს) 5,9 მილიარდ მანეთამდე (1928—1933 წელს). ხუთი წლის განმავლობაში სოციალ-კულტურული სექტორით სულ დაიხარჯება 21,4 მილიარდი მანეთი.

ასეთი დიდი ხარჯები კულტურულ საჭიროებებზე უზრუნველჰყოფენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს კულტურული რევოლუციის განვითარებაში. შემდგომი მუშაობა სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად უფრო და უფრო მეტად იქნება დამოკიდებული სოციალისტური კულტურის ზრდაზე, ხალხთა ფართო მასების უფრო მეტ კულტურულ განვითარებაზე. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის კულტურული ზრდა უდიდეს პირობას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტურ ნიადაგზე გარდასაქმნელად სახელმწიფო აპარატის მუშაობაში არსებულ დეფექტებთან—ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან—გადამჭრელი ბრძოლისათვის, უდიდეს პირობას წარმოადგენს ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. ამიტომ ხარჯები კულტურულ საჭიროებებზე შეადგენენ ხუთწლიანი გეგმის და გარდამავალ პერიოდში მთელი ჩვენი მუშაობის ორგანიულ ნაწილს.

გვყავს თუ არა სათანადო კადრები?

მე არ ვეჭვობ, რომ ჩვენ წარმატებით შევიძლია გადავსწყვიტოთ ეროვნული შემოსავლის ხელახალი განაწილების ამოცანა და უზრუნველვყოთ დაბანდებანი მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში იმ რაოდენობით, როგორც ეს ნავარაუდევია ხუთწლიან გეგმაში. შიშს ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში იწვევენ ჩემში ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენს ტექნიკასთან და ტექნიკურ კადრებთან. შევძლებთ თუ არა ამ სახსრების გამოყენებას სათანადო ეფექტით და იმ მუშაობის ჩატარებას, რომელიც ხუთწლიან გეგმაშია აღნიშნული, სხვა სიტყვებით— შევძლებთ თუ არა ადამიანების ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტას, სამეცნიერო - ტექნიკური კადრების და კვალიფიციური მუშახელის ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტას, შევძლებთ თუ არა განვითარების იმ უდიდეს შესაძლებლობების გამოყენებას, რომელსაც თანამედროვე ტექნიკამ მიაღწია. ეს არის მთავარი. ხუთწლიანი გეგმა უდიდეს ძალას წარმოადგენს. ეს არის რევოლუციონური გეგმა არა მარტო იმ მხრივ, რომ გამოხატავს უდიდეს ნახტომს სოციალისტური საზოგადოების მოწყობის გზაზე, არამედ იმ მხრივაც, რომ უახლოესი ტექნიკის გამოყენების დარგში იგი გამოიწვევს მთელ რევოლუციას. წარმოების მრავალი დარგი თითქმის ხელახლა უნდა შეიქმნას. ახალი მშენებლობისათვის საკმაო არ არის ფულადი სახსრების გადადება, საკმაო არ არის საამშენებლო მასალა. საჭირონი არიან ადამიანებიც— ტექნიკური და ორგანიზატორული კადრები, რომლებიც შესძლებენ შეასრულონ უდიდესი საამშენებლო პროგრამა, შესძლებენ მოაწყონ ახალი წარმოებანი, ახალი საწარმონი. ამიტომ კადრების საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ ჯეროვნად მოვამზადოთ სათანადო რაოდენობა ადამიანებისა, დაწყებული კვალიფიციური მუშა-ხელიდან და გათავებული მაღალი კვალიფიკაციის ინჟენერებით, არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია მივიჩნიოთ რაღაც „დამატებად“ ხუთწლიანი გეგმისათვის ან მეორე ხარისხოვან საკითხად. პირიქით, კადრების პრობლემა ხუთწლიანი გეგმის განუყრელ, ორგანიულ ნაწილს შეადგენს და მისი გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროა, იგი პირველხარისხოვანი ამოცანაა. უამისოდ ვერ გადავწყვეტთ წარმატებით იმ უდიდეს სამეურნეო ამოცანებს, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით არის დასახული.

გადმოვნერგოთ უცხოეთის ტექნიკა

თუ ეხლა დიდ ენერგიას ვხარჯავთ დასავლეთ-ევროპის და ამერიკის ტექნიკის შესათვისებლად, მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გამოყენებამ ხუთი წლის განმავლობაში მეტად დიდ მასშტაბს უნდა მიაღწიოს. აქ ძალიან ხშირად არ ესმით, უცხოეთის ტექნიკის გამოყენების რანაირ მასშტაბზეა ლაპარაკი. ცხადია, როცა ვქმნით ახალი კადრებს,—მათი მომზადების საქმე ყოველგვარი საშუალებით უნდა დავაჩქაროთ და გავაუმჯობესოთ,—ამით ვამცირებთ უცხოელი სპეციალისტების მოწვევის საჭიროებას. მაგრამ ეხლა, როცა გვსურს ჩვენს ტექნიკაში გადატრიალება მოვახდინოთ უდიდესი მასშტაბით, ისეთი ზომა, როგორიც არის ასი-ორასი უცხოელი სპეციალისტის მოწვევა, ვერ გადასწყვეტს საქმეს. აიღეთ, მაგალითად, ისეთი დარგი როგორიცაა ხელოვნური აბრეშუმის წარმოება, მრეწველობის იმ დარგის წარმოება, რომელსაც უეჭველად ფართო პერსპექტივები აქვს განვითარებისათვის. აქ თავს ვიმტვრევთ დაუსრულებლად, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ვერც რიგიანი პროექტის შედგენა, და ვერც დასკვნების გამოტანა პროექტების გამო. საზღვარ - გარედ კი ეს დარგი, იმ დაბრკოლებების მიუხედავად, რომლებიც იქ დაკავშირებულია კერძო საკუთრებაზე დამყარებულ სამეურნეო ცხოვრების წყობილებასთან, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება. ჩვენში ამ დარგის განვითარება უდიდესად შეიძლება, მაგრამ ჩვენ აქ ბავშებივით უსუსურნი აღმოვჩნდით. ბევრის გაკეთება მარტო ჩვენს კადრებზე დაყრდნობით შეუძლებელია. ეს ზედმეტად ადასტურებს, რომ ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიპყრია საჭირო პოზიციები.

პერსპექტივები სოფლად

ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი თავისებური ნიშანი, რომელიც თვალში გვეცემა, როცა ამ პროექტს ვადარებთ ყველა წინანდელ პროექტს, არის ის, რომ იგი სისწორით და მეტად მკაფიოდ სახავს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის პერსპექტივას. სოფლის მეურნეობისათვის ხუთწლიანი გეგმა პრინციპიალურის მხრით წარმოადგენს იმავეს, რასაც თავის დროზე წარმოადგენდა „გოელრო“-ს გეგმა მთელი სახალხო მეურნეობისათვის, რადგან იგი პრაქტიკულად სვამს ახალი ენერგეტიკის ნიადაგზე სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების პრობლემას (საბჭ. მეურნეობების, კოლმეურნეობების და კოოპერაციაში შეკავშირების საშუალებით).

მაგონდება, თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევდა ვლადიმირ ილიჩი სოფლის მეურნეობაში ელექტრონის გუთნის გამოყენების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოგონება ახალი და საეჭვო იყო და არ შემოწმებულა მასიური გამოცდილებით, ილიჩმა მაინც ჩასჭიდა მას ხელი. მას სურდა ამ გამოგონების სახით ეპოვნა ის ტექნიკ.-საწარმოო ბერკეტი, რომლის საშუალებითაც შევძლებდით პრაქტიკულ საფუძვლებზე დაგვეყენებია სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების საქმე. ელექტრონის გუთნიდან არაფერი გამოვიდა. შეიძლება შემდეგში ახალი გამოგონებანი ელექტრონის სფეროში და ელექტრონის ფართოდ გამოყენება სოფლის მეურნეობაში ახალ მოულოდნელ ჰორიზონტებს გადაშლიან ჩვენს წინაშე. ეხლანდელ პირობებში ბერკეტს სოფლის ტექნიკურ-ეკონომიური წყობილების შესაცვლელად უნდა ვეძებდეთ წევის ძალის პრობლემის გადაჭრაში. ხუთწლიანი გეგმის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ამ გეგმამ პირველად დასახა მთავარი გზები ამ პრობლემის გადასაჭრელად და მოგვცა „გოელრო“-ს თავისებური გეგმა სოფლის მეურნეობისათვის. ცოცხალი წევის ძალის ავტომატიური მამოძრავებლით შეცვლა ტექნიკურ გადატრიალებას მოახდენს თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და ამასთან ერთად გამოდგება საფუძვლად უდიდესი ცვლილებებისათვის სოფლის სოციალურ ურთიერთობაში.

ჩვენ პირველად ვუდგებით პირისპირ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ ნიადაგზე, ჩვენს პრინციპიალურს ხაზს ვამაგრებთ ისეთი ტექნიკური ღონისძიებებით, რომლებიც ამ მუშაობას სოფლად ხდიან მეტად მტკიცედ, ნაყოფიერად და არაჩვეულებრივად გასაგებად გლეხობისათვის. განსაკუთრებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებაში და უნდა გადაიქცნენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ინდივიდუალურ სექტორთან დაკავშირებისათვის. დასასრულ, ტრაქტორების მშენებლობის გარდა, უმნიშვნელოვანესი ელემენტი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის იქნება ქიმიური სასუქის წარმოება. ხუთწლიანი გეგმაში ამას უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული. ამასთან, ჩვენ გამოვიტანეთ გადაწყვეტილება, რომ, სტალინგრადის ქარხნის გარდა, აგებულ იქნას ახალი სატრაქტორო ქარხანა.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მოგვცემს იმ შედეგს, რომ 20 მილიონი გლეხი შეკავშირებული იქნება კოლექტიურ მეურნეობებში და 1 მილიონი სასოფლო-სამეურნეო მუშა ჩაებმება საბჭოთა მეურნეობაში— ეს არის უდიდესი გარდატეხა სოფლის სოციალურ სტრუქტურაში და დიდი ნაბიჯი სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის.

განვავითაროთ შეტევა კულაკის წინააღმდეგ

ხუთწლიანი გეგმის ეს გენერალური ხაზი— სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის სოციალური და ტექნიკური საფუძვლის შექმნა —ვერავითარ შემთხვევაში ვერ გვაიძულებს დავივიწყოთ, ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის მნიშვნელობა. მიუხედავად მთელი იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც დასახულია ამ დარგში, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ხუთწლედის დამლევისათვის მოგვცემენ ბაზარზე გამოსატანი პურის მთელი მასის მხოლოდ 40 პროცენტს, დანარჩენი 60 პროცენტი მოდის ინდივიდუალურ სექტორზე. არ შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების ამოცანა და ზრუნვა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარებაზე ერთმანეთს უარჰყოფენ. პირიქით, სოფლის მეურნეობის განვითარების და რეკონსტრუქციის მთელი პრობლემა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ ამ ორი ამოცანის სწორი შეგუებით.

ამიტომ სრულ ძალაში რჩება ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყოველნაირი სტიმულის შექმნა ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობის განვითარებისათვის, ამავე დროს კულაკის ექსპლოატატორული ტენდენციების ყოველნაირი შეზღუდვა და შემდგომი შეტევა მის წინააღმდეგ. როდესაც პარტია ხუთწლიან გეგმაში სახავს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მთავარ ხაზებს, მან, ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან შეფარდებით, ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ მატერიალურ - ტექნიკური წინასწარი პირობების შექმნას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარდაქმნისათვის ყველა აღნიშნული მიმართულებით ხელი შეუწყოს თვით ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობების სამეურნეო დაინტერესების მძლავრმა ტალღამ. ამ მეურნეობების განვითარებისათვის სტიმულის შექმნის პოლიტიკა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმ მილიარდების ნამდვილად ეფექტიურად გამოყენებისათვის, რომლებსაც მანქანების, ტრაქტორების, სასუქის და სხვ. სახით დაბანდებენ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო და სოციალისტური მრეწველობა.

უნაკლო არის თუ არა წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმა ყველა თავისი ნაწილით? ყველაფერი საკმაოდ გათვალისწინებული და სწორად გადაჭრილი არის თუ არა ამ გეგმაში?

დღემდე ჩვენ არა გვქონია ისეთი შემთხვევა, რომ ჩვენი საბიუჯეტო და სამეურნეო გეგმების შესრულების დროს არ აღგვენიშნა მთელი რიგი დეფექტები და შეცდომები. ყოველ წელს თავს იჩენდნენ თვალსაჩინო სამეურნეო და კულტურული ამოცანები, რომელთა გადაჭრა გათვალიწინებული არ იყო წლიური გეგმებით.

რა თქმა უნდა, რაიმე ამგვარი ამ ხუთწლიან გეგმაშიაც განმეორდება. იგი ხომ ასეთი დაგეგმვის პირველ ცდას წარმოადგენს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ამ მიზეზების გამო მისი განხილვა და დამტკიცება გადაგვედო. საერთოდ და უმთავრესად, თავისი მთავარი ხაზებით, მეურნეობის გადამწყვეტი დარგების—მძიმე ინდუსტრიის, მსუბუქი ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის განვითარების შეფარდების მხრივ ეს გეგმა სწორია. იგი სწორია სოციალურ-კლასობრივი თვალსაზრისითაც, ვინაიდან უზრუნველჰყოფს განსაზოგადოებული სექტორის სწრაფ ზრდას მეურნეობის მთელ სისტემაში და არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც.

ეს გეგმა იმდენად დამუშავებულია, რომ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს და უნდა დაედოს კიდეც მთელ ჩვენ პრაქტიკულ მუშაობას. გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რა და როგორ უნდა შესწორდეს ამ გეგმაში და დაემატოს მას. თვით გეგმა კი შედგენილია ისე, რომ იძლევა ამ შესწორებებისა და დამატებების შესაძლებლობას არა მარტო ძალებისა და სახსრების გადაჯგუფების საშუალებით, არამედ იმ რეზერვების ხარჯზედაც, რომლებიც აუცილებლად უნდა შეიქმნას გეგმასთან შეფარდებით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმის პროექტის განხილვის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიმდინარე სამეურნეო წელი წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს და შეადგენს იმ პერიოდის მეხუთედს, რომელსაც ეს გეგმა ეხება. ჩვენს მუშაობას მიმდინარე წლის განმავლობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც იმ გავლენის თვალსაზრისით, რომელსაც მოახდენს ამ წლის კონიუნქტურა შემდგომ წლებზე, ისე იმ თვალსაზრისითაც, თუ რამდენად არის შესაძლებელი ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ამიტომ შევეცდები სრულიად მოკლედ დავახასიათოთ მიმდინარე წლის სამეურნეო მუშაობის პროცესში გამორკვეული მომენტები.

აქტუალური სადღეისო საკითხი

ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური საკითხი, რომელიც დასახულია ჩვენს წინაშე და ხაზგასმულია პარტიის ცეკას გადაწყვეტილებებში, არის შემდეგი საკითხი: ისე გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის განვითარება, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — განვითარების განსხვავების საფრთხე, რომელმაც ამ ბოლო დროს იჩინა თავი, დაძლეულ იქნას უმოკლეს დროში. ჩვენ ყველანი იქიდან გამოვდივართ, რომ მომავალში მრეწველობა სოფლის მეურნეობაზე სწრაფად უნდა ვითარდებოდეს, ვინაიდან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების წინააღმდეგი შეფარდება იქნება ჩვენი ქვეყნის არა ინდუსტრიალიზაციის, არამედ აგრარიზაციის მომასწავებელი. საქმის არსებითი მხარე ის კი არ არის, რომ სოფლის მეურნეობა საერთოდ ჩამორჩება განვითარების ტემპით მრეწველობას, არამედ ის, რომ ჩამორჩენა ამჟამად მეტის-მეტია. სოფლის მეურნეობამ იმდენად იწყო ჩამორჩენა თავისი განვითარებით, რომ ეს ხიფათში აყენებს უქმნის თვით მრეწველობის განვითარებასაც. მსხვილი სახელმწიფო მრეწველობა აღდგენის პერიოდიდან რეკონსტრუქციის პერიოდზე გადასვლის დროსაც წლითი - წლობით გვიჩვენებს გამოუშვების განვითარების კარგ ტემპს — დაახლოვებით 20 პროცენტს ყოველწლიურად. ხოლო სოფლის მეურნეობის (მეთევზეობის, მონადირეობისა და სატყეო მეურნეობის გარდა), საერთო პროდუქცია ამ უკანასკნელ წლებში, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით, ასე იზრდებოდა: 1926—27 წელს — 5,4 პროც., 1927—28 წელს — 1,1 პროც., 1928— 29 წელს — ვარაუდით — 4,4 პროც. ეს ზრდა ხწარმოებდა უმთავრესად ტექნიკური კულტურების განვითარების ხარჯზე. ტექნიკური კულტურების ნათესი სივრცე ამჟამად ერთნახევარჯერ აღემატება ომის წინა დროინდელ სივრცეს, თუმცა ისეთი კულტურების, როგორიც არის სელის ბოჭკო და შაქრის ჭარხალი, საერთო მოსავალი ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ომის წინადროინდელ დონეს. ტექნიკური კულტურების ასეთი ზრდა ფრიად დადებითი ფაქტია. ჩვენ შემდეგშიაც უნდა ვაწარმოოთ ტექნიკური კულტურების გაძლიერებული განვითარების პოლიტიკა, მაგრამ ამასთან ერთად ბევრად მეტად უნდა მივაქციოთ ყურადღება მარცვლეულ საფუძველს, რომლის დაშლა და დაქვეითება აუცილებლად ზიანს მიაყენებს ტექნიკურ კულტურებსაც, მთელ სოფლის მეურნეობასაც და, საერთოდ, სახალხო მეურნეობასაც. ხოლო მარცვლეული კულტურების წარმოების მხრივ ჩვენ საქმე უფრო ცუდად გვაქვს, ვიდრე ტექნიკური კულტურების წარმოების მხრივ. მოსახლეობის ერთ სულზე გამოანგარიშებით, მარცვლეული კულტურების ნათესი სივრცე ამჟამად შეადგენს ომის წინადროინდელ დონის 83,8 პროცენტს, ამასთან შეფარდებულია პურის საერთო მოსავლის სურათიც.

მარცვლეული კულტურის მნიშვნელობა

სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მის მარცვლეულ დარგებში, შექმნილმა მდგომარეობამ გვაიძულა მთელი ძალღონე მოგვეკრიფა მიმდინარე წლის ნათესი სივრცის გასაფართოვებლად. მაგრამ შემოდგომის თესვის კამპანიამ ვერ მოგვიტანა მოსალოდნელი წარმატება: შემოდგომის ნათესი სივრცის ნავარაუდევი გაფართოვების ნაცვლად, მთელ საბჭოთა კავშირში მოხდა ამ სივრცის შემცირება დაახლოვებით სამი პროცენტით, რაც ნაწილობრივ არა ხელსაყრელი კლიმატიური პირობებით აიხსნება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შემოდგომის ნათესი კულტურების ყველაზე უფრო დამახასიათებელი კულტურები არიან სასურსათო კულტურები (ჭვავი და ხორბალი), რომლებიც სწორედ ყველაზე უფრო სუსტ ადგილს წარმოადგენენ ჩვენი პურისა და საქონლის საკვების ბალანსში. ამხანაგებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს პარტიის საკავშირო კონფერენციაზე, ნათლად უნდა შეიგნონ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამ ფაქტების მიხედვით გაზაფხულის თესვის კამპანიას.

რათა ავანაზღაუროთ შემოდგომის ნათესის დანაკლისი და შევასრულოთ საკონტროლო ციფრების გეგმა ნათესი სივრცის 7 პროცენტით გაფართოების შესახებ, საჭიროა, რომ გაზაფხულის ნათესი სივრცე გავაფართოვოთ ბევრად უფრო მეტად, ვიდრე 7 პროცენტით. ყოველი პროცენტი, რომელსაც მოვიპოვებთ ჩვენ როგორც ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობების, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (რომელთა მნიშვნელობა თანდათან იზრდება) ნათესი სივრცის გაფართოვებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში, ეხლანდელ პირობებში დიდი პლიუსი იქნება ჩვენთვის. პურის დამზადება მიმდინარე წელს დაკავშირებულია როგორც პურის მოსავლის საერთო შემცირებასთან და მოსავლიანობის ზრდასთან, ისე მოსავლის არა ხელსაყრელ გეოგრაფიულ განაწილებასთან, მისი ნაწილის დაღუპვასთან უკრაინისა და ჩრდილოეთ - კავკასიის ზოგიერთ რაიონებში. აქედან გამომდინარეობს დაჭიმული მდგომარეობა პურის მიწოდების საქმეში.

პურის დამზადება-განაწილება

პურის მიწოდების საქმეში არსებულ ზოგიერთ სიძნელეზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ განსხვავების მიხედვით, რომელსაც ადგილი აქვს თავისუფალ და დასამზადებელ ფასებს შორის პურის ბაზარზე, რასაც თან სდევს სპეკულიაცია, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს პურის დამზადებაზე. ამიტომ პურის დასამზადებელ უმთავრეს რაიონებში ჩვენ მივმართეთ საზოგადოებრივი ზეგავლენის მეთოდებს სოფლის იმ კულაკური ფენების მიმართ, რომლებიც პურს არ იძლევიან. პურის მიწოდების საქმეში შექმნილი მდგომარეობის გამო ჩვენ იძულებულნი გავხდით წავსულიყავით პურის წიგნაკების შემოღებაზე. პურის ნაკლებობამ შექმნა ნიადაგი სპეკულიაციისათვის არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქშიაც. მომარაგების ისეთი გეგმის პირობებში, როდესაც სურსათს პირველ რიგში მსხვილ სამრეწველო რაიონებს ვაწვდით, პურის განუსაზღვრელად გაყიდვა ქალაქებში არ შეიძლებოდა სპეკულიაციის შემდგომი ზრდის წყაროდ არ გამხდარიყო. ისეთი ცენტრები, როგორც მოსკოვი და ლენინგრადია, თანდათან ასეთი სპეკულიაციის ცენტრებად გადაიქცნენ, პირველ რიგში, მუშათა კლასის საზარალოდ. ამიტომ იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ეკონომია პურის ხარჯვაში, ჩვენ შემოვიღეთ ეგრედწოდებული პურის წიგნაკები, რომლებსაც, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ მივიჩნევთ საერთოდ რაიმე სიკეთედ. შექმნილ პირობებში ეს წიგნაკები უმცირეს ბოროტებას წარმოადგენენ.

სასურსათო საკითხის სიმწვავეს, თუ ვერ მოვაგვარებთ მას, არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს ჩვენი მეურნეობის სხვა მხარეებზედაც.

მიმდინარე წლის უდიდეს დადებით ფაქტს წარმოადგენს მრეწველობის საერთო პროდუქციის მეტად მაღალი (დაახლოვებით 20 პროცენტამდე) ზრდა და წარსულ წელზე უფრო წარმატებით მომზადება მრეწველობისა ძალზე გაზრდილი კაპიტალური სამუშაოებისათვის და ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულება. მრეწველობის განვითარების ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ვერ არის მთლიანად შესრულებული დავალება სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. დავალებაა — თვითღირებულება შემცირებულ იქნას შვიდი პროცენტით, დღემდე კი შემცირებულია მხოლოდ ორი პროცენტით. ეს არ არის საკმარისი წარმატება. დავალების მიხედვით, შრომის ნაყოფიერება 17 პროცენტით უნდა აწეულიყო, მაგრამ იგი აწეულ იქნა მხოლოდ 10 პროცენტით.

ჩვენი ბიუჯეტი

დადებითი შედეგები გვაქვს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში. წლის პირველ - ნახევარში შემოვიდა წლიური გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის — 48,6 პროცენტი, რაც რამდენადმე აღემატება შესრულების იმ პროცენტს, რომელიც ჩვენ მივიღეთ იმავე პერიოდის განმავლობაში შარშან. მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ ბიუჯეტის დაჭიმვას. ამ დაჭიმვაზე გავლენა მოახდინა მრეწველობის თვითღირებულების შემცირების არა საკმარისმა ტემპმა. თუ თვითღირებულება უფრო ნაკლებ მცირდება, ვიდრე გათვალისწინებულია, და თუ თვითღირებულების შემცირების რაოდენობაზე დაყრდნობილი შინაგანი დაგროვება უფრო ნაკლებია, ხოლო სამუშაოთა რაოდენობა ისევ ძველ ფარგლებში რჩება, თავისთავად ცხადია, უფრო ხშირად მივმართავთ საბიუჯეტო ასიგნობებსა და საკრედიტო სისტემას. ბიუჯეტის დაჭიმვის შესანელებლად ჩვენ გავადიდეთ აქციზი არაყზე და არყის ნაწარმზე. ჩვენ წავართვით კიდეც, ან უფრო სწორად, ვართმევთ ტრანსპორტს მოგებას, რომელიც რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთს აღწევს. ჩვენი ტრანსპორტის მუშაკები ამას ძლიერ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ეს ზომა აუცილებელია. გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ დადგენილება რესურსების მობილიზაციის შესახებ მრეწველობაში და ტრანსპორტზე. ამ ზომამ წელს დაახლოვებით 250 მილ. მანეთი უნდა მოგვცეს. აქ მხედველობაში გვაქვს რეალიზაცია იმ გამოუსადეგარი მასალებისა და ნახევარ - ფაბრიკატების, რომლებიც ტრანსპორტსა და მრეწველობაში მოიპოვება „მკვდარი კაპიტალი“-ს სახით. ასეთი მდგომარეობით აიხსნება ადგილობრივი რესპუბლიკანური ბიუჯეტების რამდენადმე შევიწროვება.

აი ყველაზე უფრო სუსტი მხარეები, რომლებიც ახასიათებენ ამ მხრით ჩვენ სამეურნეო მდგომარეობას ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველ წელს. საერთოდ, ამ სიძნელეთა პირობებშიაც, თუმცა გეგმასა და მის შესრულებას თვალსაჩინო დაბრკოლებები ეღობება, დღემდე არსებითად ეს გეგმა წარმატებით სრულდება ყველა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ჩვენი მეურნეობის გადამწყვეტი ფაქტორის —მრეწველობის — განვითარებას, ასევე წარმატებით მიმდინარეობს ტრანსპორტის მუშაობა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. ჩვენ თავიდან ავიცილებთ თანამედროვე სამეურნეო მდგომარეობის სუსტ მხარეთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც პურის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული, თუ მოვახერხებთ გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას და თუ ამით წინასწარ გავაუმჯობესებთ ჩვენი ქვეყნის პურით მომარაგების საქმეს მომავალი წლისათვის. მაგრამ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სოფლის მეურნეობის მიმართ ჩვენი ამოცანა არ განისაზღვრება მარტო იმით, რომ გავაფართოვოთ გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში ნათესი სივრცეები. ეს ამოცანა გაცილებით უფრო ფართოა. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ამ ამოცანის გადაწყვეტას სისტემატიურად, წლითი-წლობით, და გამოდის იქიდან, რომ ხუთი წლის მეორე ნახევარში პურით მომარაგების მხრით ჩვენ არა მარტო უზრუნველვჰყოფთ ჩვენი ქვეყნის შინაურ ინტერესებს, არამედ პური მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩვენს ექსპორტშიაც. როგორც მიმდინარე წლის სიძნელეები გვიჩვენებენ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხუთწლიანი გეგმის ამ ნაწილის განხორციელებას, რომელიც, რასაკვირველია, დაკავშირებულია მთელ ხუთწლიან გეგმასთან და რომელიც დამყარებულია მძიმე ინდუსტრიის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებაზე.

საჭიროა ცვლილებები სამეურნეო მმართველობის სისტემაში

შევეხები კიდევ ერთს, ჩემის აზრით, მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომელსაც დიდი კავშირი აქვს ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებასთან. როდესაც მე ვკითხულობდი მასალას ხუთწლიანი გეგმის შესახებ რაიონების მიხედვით და სამეურნეო მუშაობის სხვადასხვა დარგის შესახებ, მე ვფიქრობდი, სწორად მოვიქცევით თუ არა იმ შემთხვევაში, თუ ხუთწლიან გეგმას გავატარებთ ორგანიზაციის იმავე სისტემით და მუშაობის იმავე მეთოდებით, რომლებიც დღემდე არსებობდნენ. მე მგონია ეს შეცდომა იქნებოდა. ორმა უდიდესმა ფაქტორმა—ხუთწლიანი გეგმის შედგენამ და დარაიონების დასრულებამ—არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ჩვენ ორგანიზაციულ სისტემაზე და მუშაობის მეთოდებზე. დღემდე ადგილობრივი ორგანოები, ხშირად სამართლიანად, უკმაყოფილებას აცხადებდნენ მეურნეობის მართვა-გამგეობის საქმის მეტისმეტი ცენტრალიზაციის გამო, რომლის დროსაც ხშირად რესპუბლიკური ან სხვა ორგანოების კონსტიტუციონური უფლებებიც კი ილახებოდა. დღემდე ჩვენს შეცდომას შეადგენდა ის, რომ დიდ სახელმწიფოში, 140 მილიონზე მეტი მოსახლეობით და უდიდესი ტერიტორიით, ადმინისტრატიულ-ოპერატიულ მუშაობას ვაწარმოებდით „მწვერვალიდან“, ამ მუშაობას ვანდობდით ცენტრალურ ორგანოთა მცირე რიცხვს. ამ ორგანოების ხელმძღვანელთა მცირე რიცხვი სცდილობდა ხელში ჩაეგდო ადმინისტრატიულ-ოპერატიული ხასიათის აუარებელი სამუშაო. ხუთწლიანი გეგმის დამტკიცებისა და სათანადო ორგანოების შექმნის შემდეგ, ვფიქრობ, შესაძლებელი გახდება დიდი ცვლილებების შეტანა მეურნეობის მართვა-გამგეობის სისტემაში.

ოპერატიული მუშაობის სფეროში ცენტრალიზმი მეტის-მეტად განვითარდა, რადგან ადგილობრივ ორგანიზაციებს, რაკი მათ არ ჰქონდათ მუშაობის საპერსპექტივო გეგმა, ცხადია, თანხების დახარჯვა შეეძლოთ ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც პირველი რიგის სამუშაოებს არ წარმოადგენდნენ მთელი მეურნეობის საერთო ინტერესების თვალსაზრისით. მე შემიძლია მრავალი მაგალითი დავასახელოთ იმის დასამტკიცებლად, რომ საქმე მართლაც ასე იყო. ასეთ შემთხვევებს მოსკოვშიაც ჰქონდა ადგილი. ასეთია მაგალითად, ტყავის ქარხნის აგება მოსკოვში იმ დროს, როდესაც სხვა რაიონებში არსებული ტყავის ქარხნები მთლიანად ვერ იყვნენ დატვირთულნი ნედლეულის ნაკლებობის გამო. ან, მაგალითად, ავიღოთ თითქმის ყოველი ქალაქის მისწრაფება, რომ, საკუთარი საკერავი ფაბრიკები ჰქონდეს. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, მოითხოვს ისეთი თანხების დახარჯვას, რომლებიც, საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, უნდა მოხმარდეს მშენებლობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ობიექტებს. ეხლა ჩვენ გვაქვს დეტალურად დამუშავებული ხუთწლიანი გეგმა, რომელიც დაწვრილებით გვიჩვენებს, თუ სად, როდის და რა უნდა ავაშენოთ. ეს საშუალებას გვაძლევს შევასუსტოთ ოპერატიული ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია და გავაძლიეროთ ადგილობრივი ორგანოების უფლებანი იმ სამუშაოთა შესრულების საქმეში, რომლებსაც ითვალისწინებს ხუთწლიანი გეგმა. გეგმიანი ხელმძღვანელობა და ზოგადი მოწესრიგება ცენტრში უნდა დარჩეს, გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს. ოპერატიული მუშაობის თვალსაჩინო ნაწილი უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანოებს.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს უდიდეს მატერიალურ ღირებულებათა გიგანტურ გადანაცვლებას. გეგმაში გათვალისწინებულია სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობის დიდი ცვლილებანი, რომლებიც გამოიხატებიან სოციალისტური ელემენტების თვალსაჩინო გაძლიერებით; იგი გულისხმობს უდიდეს რევოლუციონურ პროცესს მთელი ჩვენი მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დარგში ქალაქადაც და სოფლადაც. მე მგონია, შეცდომა იქნება ვიფიქროთ, ვითომ მთელი ეს მუშაობა შეიძლება შესრულდეს ისე, რომ დღემდე შექმნილი აპარატი იმავე მდგომარეობაში დარჩება და იმუშავებს იმავე მეთოდებით, როგორც წინათ მუშაობდა.

გეგმის განხორციელება შესაძლებელია

ჩემი მოხსენების დასასრულ მინდა აღვნიშნო ის აზრი, რითაც ჩემი მოხსენება დავიწყე. დარწმუნებული ვარ, რომ ხუთწლიან გეგმას არა მარტო სამეურნეო მუშაობისათვის, არამედ საერთოდ პარტიის მთელი მუშაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს გეგმა სავსებით შესასრულებელია იმ სახსართა მობილიზაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომლებიც საჭიროა მისი განხორციელებისათვის და რომლებიც შეგვიძლია მოვნახოთ ჩვენი ქვეყნის შიგნით. იგი სავსებით შესასრულებელია ყველა სხვა მხრითაც, თუ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს მოვიკრებთ, თუ პროლეტარიატის, ტექნიკური კადრების და მთელი საბჭოთა ინტელიგენციის ძალების მობილიზაციას მოვახდენთ, შემოვიკრებთ ღარიბ და საშუალო გლეხობის მასებს და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შევამჭიდროვებთ კულაკთან საბრძოლველად.

ჩვენი მშენებლობა ყოველთვის მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომელიც ეხლანდელ საფეხურზე გამწვავებულ ფორმებს იღებს. ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს პროლეტარიატის დიდი შეტევის გეგმას ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიული კლასების ნაშთების წინააღმდეგ. ამასთან ერთად, იგი წარმოადგენს ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა სოციალისტური გარდაქმნის ფართო დასაწყისის გეგმას კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის გზით. ხუთწლიან გეგმაში მოცემული მატერიალური და ორგანიზაციული წინასწარი პირობები და ის პერსპექტივები, რომლებსაც უსახავს ეს გეგმა მუშათა და გლეხთა მასებს, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა გადაიქცნენ იმ სიძნელეებთან საბრძოლველად, რომლებიც წინ ეღობებიან სოციალისტურ მშენებლობას. ამან უნდა მოსპოს აგრეთვე ამ სიძნელეებით გამოწვეული ნერვიანობა და ზოგჯერ პანიკაც კი, რაც ხანდახან თავს იჩენს ხოლმე მუშათა კლასის და პარტიის რიგებში. ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ჩვენი პარტიის ბრწყინვალე მუშაობის შედეგია, ფართო პერსპექტივას უსახავს საბჭოთა რესპუბლიკის განვითარებას და მუშათა კლასის ბრძოლას სოციალისტური საზოგადოებისათვის. იგი საფუძველს უნდა წარმოადგენდეს პარტიისა და მუშათა კლასის ყველა ძალის შემჭიდროვებისათვის, ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების გზაზე.

კ ა მ ა თ ი

25 აპრილის დილის სხდომა

პარტიული კონფერენციის 25 აპრილის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოსმენილი მოხსენების გარშემო. პირველად გამოდის ამხ. კადაცკი.

ამხ. **კადაცკი** (ლენინგრადი) შეჩერდა ლენინგრადის, როგორც ინდუსტრიალური ბაზისის როლზე. სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო ლენინგრადი წარმოადგენს ყველაზე ძლიერ ინდუსტრიალურ ბაზისს. მთავრობა სისწორით მოქმედებს, როცა ლენინგრადს აძლევს შეკვეთას 15 ათას ტრაქტორზე, ხოლო უკრაინას—მარტო 8 ათას ტრაქტორზე. ამხ. პეტროვსკის საყვედური, ამხ კადაცკის აზრით, უსაფუძვლოა. შემდეგ ამხ. კადაცკი აღნიშნავს, რომ ავტო-მშენებლობაც არ უნდა ხდებოდეს ლენინგრადის მონაწილეობის გარეშე. ხუთწლიანი გეგმა მცირე ყურადღებას აქცევს ალიუმინის წარმოებას. ლენინგრადში ქარხნის მასშტაბით პირველად მოხერხდა ალიუმინის წარმოების ცდები. ამ მხრივ მიღებული ნაყოფიერი შედეგი აყენებს სპეციალური ქარხნის აგებისა და წარმატებით დაწყებული ცდების დამთავრების საკითხს. დასასრულ ამხ. კადაცკი ხაზს უსვამს ლენინგრადში ენერგეტიული ბაზისის შექმნის საჭიროებას.

ამხ. **კრინიცკი** (ს.კ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი). ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის საჭიროა ორი ღონისძიება. პირველი—სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო ფართო მასების მობილიზაცია. მეორე—დაუნდობელი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის გატარების დროს ყოველგვარი მერყეობის წინააღმდეგ. მეორე პირობა უკვე შესრულებულია ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებებით. ამ გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა შევაიარაღოთ მთელი პარტიული მასა, რომ მემარჯვენე გადახრა უკუგდებულ იქნას მთელი პარტიის მიერ. რაც შეეხება საკითხს მასების მობილიზაციის შესახებ, ამ მხრივ საქმე უფრო ცუდად არის. მასების მობილიზაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მთელ ჩვენ სოციალურ-კულტურულ მუშაობას, მიუხედავად ამისა, ამ მუშაობამ სუსტი გამოხატულება ჰპოვა ხუთწლიან გეგმაში. ჩვენ მხედავთ მასების მობილიზაციის ამოცანების არასაკმარის შეფასებას, ეს არშეფასება წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმის პირვანდელი პროექტის გამოხატულებას. იმ ბურჟუაზიული ეკონომისტების აზრით, რომლებმაც პირვანდელი პროექტის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს, ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ობიექტურ პირობების გამოხატვას და პარტიას არ შეუძლია მისი შეცვლა არავითარი ჩარევით. ამ თვალსაზრისს იზიარებს მემარჯვენე გადახრაც, რომელიც წინადადებას იძლევა „გეზი ავიღოთ მეურნ. ვიწრო ადგილებისაკენ“. პარტიამ გეზი აიღო სამეურნეო პროცესებში ჩარევისაკენ, მასების უდიდესი შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციისაკენ, ამ კურსის მშვენიერ დადასტურებას იძლევა ამჟამად ჩინებულად მიმდინარე სოციალისტური შეჯიბრება. მაგრამ ამ კურსს გარკვეული სახით ვერ ვხედავთ წარმოდგენილს ხუთწლიან გეგმაში. ეს იქიდან სჩანს, რომ ხუთი წლის დამლევს ჩვენ არ გვეყოლება ინჟენერთა, ტექნიკოსთა, აგრონომთა და მასწავლებელთა საკმაო რაოდენობა. ხუთწლიანი გეგმა უნდა გადამუშავდეს იმ მხრივ, რომ ხუთი წლის დამლევს ჩვენ არ გვეყოლონ წერა-კითხვის უცოდინარნი, არ დაგვაკლდნენ სპეციალისტები, არ განვიცადოთ ქაღალდის ნაკლებობა. ამის გარეშე ჩვენ ვერ ჩავატარებთ მასების ისეთ მობილიზაციას, რომელიც საჭიროა ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად.

ამხ. **სკრიპნიკი** (უკრაინა) აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის მასების მობილიზაციის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. ხუთწლიანი გეგმის გენერალური ხაზი გამოხატავს მუშათა კლასის გამწვავებულ ბრძოლას ბურჟუაზიასთან ქვეყნის შიგნით და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ პარტიის შიგნით. ხუთწლიანი ციფრები ფართოდ უნდა გავრცელდნენ საერთაშორისო პროლეტარიატს შორის, რათა იგი დარწმუნდეს, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი აშენებს სოციალიზმს. ამხ. სკრიპნიკი სასტიკად აკრიტიკებს საგეგმო კომისიის „მინიმალურ“ ხაზს კულტურულ მშენებლობის დარგში.

ამხ. **ხლოპლიანკინი** (ვოლგის ქვემო რაიონი) აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა საკმაოდ დამუშავებული არ არის ცალკე რაიონების მიხედვით. შემდეგ ორატორი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი ზედმოქმედების მეთოდის ცხოველმყოფელობას კულაკობის მიმართ, რომელმაც რამდენიმე მილიონით გაადიდა პურის დამზადება. საჭიროა შემდეგშიაც კულაკის სპეკულიაციას დაუპირისპიროთ საზოგადოებრივი ზედმოქმედების მეთოდები.

ამხ. **ციხონი** (მოსკოვი) ეხება მშენებლობის, კრედიტების თავის დროზე გაცემის საკითხს, მოითხოვს ბრძოლას მშენებელი მუშების ცვალებადობასთან და მუდმივი კვალიფიციური მუშა-ხელის შექმნას.

ამხ. **ანცელოვიჩი** (მოსკოვი) აყენებს სატყეო მეურნეობის პრობლემას, რომელსაც, მისი აზრით ხუთწლიან გეგმაში არ უჭირავს ისეთი ადგილი, როგორიც მას შეეფერება. ჩვენი ტყეები—უდიდესი სიმდიდრეა, მიუხედავად ამისა, სატყეო მეურნეობაში სხვა ქვეყნებს შორის ჩვენ მეორე ადგილი გვიჭირავს. ამხ. ანცელოვიჩის აზრით, ნაკლები ყურადღება იქცევა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, დროა, ამ საქმესაც ისე მოვკიდოთ ხელი, როგორც ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობას და ჩვეულებრივი საბანკო კრედიტი ამ დარგში შევცვალოთ მსხვილი კაპიტალური დაბანდებებით.

ამხ. **ლიუბიმოვი** (მოსკოვი) აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა საკმაოდ ვერ ითვალისწინებს კოოპერაციის მნიშვნელობას. ხუთი წლის დამლევს კოოპერაციის სადუქნო ქსელი ისევ ორჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე ომის წინა ხანებში იყო. საჭიროა გავაძლიეროთ კოოპერაციის თანხები, წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაციას გაუჭირდება თავისი ამოცანების შესრულება.

ამხ. **ნიკოლაევა** (ჩრდილოეთ კავკასია) აღნიშნავს, რომ სიძნელეები, რომლების გადალახვაც გვიხდება, წარმოადგენენ არა დაცემით, არამედ წინსვლით გამოწვეულ სიძნელეებს. გეგმის წინააღმდეგ მიმართული მემარჯვენე ოპოზიციის კრიტიკა უსაფუძვლოა და გამოხატავს პროლეტარიატის კლასობრივად მოწინააღმდეგე ელემენტების ინტერესებს, დახმარება, რომელსაც პარტიის პოლიტიკას უწევენ მუშათა მასები და სოფლის ღარიბი და საშუალო ფენები, მოწმობს, რომ პარტია სწორ ხაზს ახორციელებს. ჩვენ შევსძლებთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, თუ დავიცავთ რკინის დისციპლინას პარტიაში, თუ გეგმის განსახორციელებლად მოვიზიდავთ მშრომელთა ფართო ფენებს და სათანადო ყურადღებას მივაქცევთ კულტურულ ფრონტს.

ამხ. **სუხომლინი** (უკრაინა) ეხება იმ დაბრკოლებებს, რომელთა დაძლევაც საჭირო გახდა გეგმის შედგენის დროს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ დავსძლიოთ კაპიტალისტური ელემენტების გაავებული შემოტევა. ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდება მოითხოვს ტექნიკური და ორგანიზაციული აზროვნების განსაკუთრებულ დაჭიმვას. იმ 100 მილიონ მანეთს, რომელიც გათვალისწინებულია სამეცნიერო ინსტიტუტებზე დასახარჯავათ, არ შეუძლია დააკმაყოფილოს არსებული საჭიროება.

ამხ. **იაკოვლევა** (რ.ს.ფ.ს.რ. განსახკომი) მოაგონებს კონფერენციას ლენინის მითითებას იმ საფრთხეზე, რომელიც თან სდევს მშრომელი მასების ნაკლებ კულტურობას და ჩამორჩენილობას. ხუთწლიანი გეგმა არ ითვალისწინებს სათანადო გადაჯგუფებას ბიუჯეტში კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. იქნება საშიში შეუსაბამობა, რომელიც აუცილებლად გამოსწორებულ უნდა იქნას. ინჟენერთა, ტექნიკოსთა და კვალიფიციურ მუშათა ის კადრები, რომელნიც ხუთი წლის დამლევს გვეყოლებიან, ვერ დააკმაყოფილებენ ჩვენს საჭიროებას, ვერც რაოდენობით და, ნაწილობრივ, ვერც ხარისხით.

ამხ. **ურალოვი** (რ.ს.ფ.ს.რ. მიწსახკომი) ჩერდება იმ ხარისხობრივ გარდატეხაზე, რომელიც უნდა მოჰყვეს სოფლის მეურნეობაში ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ორატორი ხაზს უსვამს ქიმიური მრეწველობის განვითარებამდე, მინერალური სასუქების ორგანიზაციისა და გამოყენების საჭიროებას.

ამხ. **კოსარევი** (ს. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი) ხუთწლიანი გეგმის ყველაზე მტკივნეულ ადგილად სთვლის კვალიფიციურ მუშათა კადრის მომზადების საკითხს. ხუთი წლის დამლევს ჩვენთვის საჭირო იქნება 60 ათასი ახალი ინჟენერი. ჩვენი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები კი მოგვცემენ მხოლოდ 30 ათასს. ჩვენი მრეწველობის უზრუნველსაყოფად პერსონალით, საჭიროა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა ქსელის გაფართოება და მასში მრავალი ათასი პროლეტარის ჩაბმა. კომკავშირი ცდილობს საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ქსელის გაფართოვებას, რადგან მხოლოდ ამ ტიპის სასწავლებლებს შეუძლიათ მოგვცენ კულტურულ-პროლეტარული კადრები.

ამხ. **რიაზანოვი** (მოსკოვი) აღნიშნავს, რომ ზოგიერთ, ჩვენგან დამოუკიდებელ, ფაქტორს შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს ხუთწლიანი გეგმის ამა თუ იმ მაჩვენებლის შეცვლაზე. ასეთ ფაქტორთა რიცხვს ეკუთვნის სტიქიური და საერთაშორისო ხასიათის მოვლენები. ხუთწლიან გეგმაში დიდ როლს თამაშობენ ბიუჯეტით გადებული სახსრები. ეს გარემოება კი გვეკარნახებს სასტიკად დავიცვათ საბიუჯეტო დისციპლინა.

ამის შემდეგ დილის სხდომა დაიხურა. კამათის გაგრძელება გადაიდო საღამოს სხდომისათვის.

25 აპრილის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 26 აპრილი, გრძელდება კამათი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო.

ბერკავინოვმა (ჩრდილოეთ ოლქი) განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ოლქმა ხუთწლიან გეგმაში სწორედ ისეთი ადგილი დაიჭირა, რანაირიც დამსახურებული აქვს როგორც დიდ სავალუტო რეზერვუარს. ამ ფაქტში ის ხედავს ეხლანდელი ხუთწლიანი გეგმის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას ჰქმნის რაიონების მიხედვით. ჩრდილოეთ ოლქის სიმდიდრეს ტყე შეადგენს და სატყეო მშენებლობაში ხუთწლიანი გეგმით ბანდდება 800 მილ. მანეთი, რაც საბჭოთა სახელმწიფოს 850 მილ. მან. ვალუტას მისცემს.

მილიუტინი (მოსკოვი) კონფერენციის ყურადღებას აქცევს სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობის მოწესრიგებას იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებსაც მას უყენებს უდიდეს სამუშაოთა გაშლა-გაფართოება. შემდეგ ამხ. მილიუტინი ახასიათებს მემარჯვენეების დამოკიდებულებას ხუთწლიანი გეგმისადმი. თუ პარტიას ხუთწლიანი გეგმა მიაჩნია მთელი წინასწარი მშენებლობის და ყველა მისი მიღწევის ბუნებრივ დასკვნად, მემარჯვენეები, პირიქით, უპირველეს ყოვლისა, ხედავენ მხოლოდ სიძნელეებს, რომლებსაც ამჟამად ჩვენი მეურნეობა განიცდის. ამ სიძნელეების მოსასპობად პარტიას საჭიროდ მიაჩნია ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შეუნელებელი ტემპი, მემარჯვენეები კი ამ სიძნელეებისაგან განთავისუფლებას საბაზრო ურთიერთობაში ეძებენ. ეს მარქსისტული, ლენინური მიდგომა არ არის. ხუთწლიანი გეგმა ბოლოს და ბოლოს გულისხმობს უდიდეს გარდატეხას სოციალურ-კლასობრივ ურთიერთობაში. მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გარდატეხა ადვილად მოხდება. ხუთწლიანი გეგმის შესრულება წარმოადგენს კაპიტალისტურ ელემენტებთან დიდი კლასობრივი ბრძოლის შედეგს. ამასთან ერთად იგი მოგვცემს ახალ საფუძველს სოციალისტური მშენებლობისათვის.

მირზოიანის (ამიერ-კავკასია) აზრით, ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მოითხოვს ერთ აუცილებელ პირობას: პარტიის მტკიცე მთლიანობას.

შემდეგ იგი ეხება ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკულ ამოცანებს და კონფერენციის ყურადღებას აქცევს ორ საკითხზე: ბამბისა და ნავთის საკითხებზე. ხუთი წლის დამლევს ბამბის მეურნეობის უდიდესი განვითარების მიუხედავად, საბჭოთა კავშირს მაინც დასჭირდება ბამბის შემოტანა საზღვარგარეთიდან. ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ უდიდეს ამოცანას კი წარმოადგენს საზღვარგარეთისაგან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების მაქსიმალური შემცირება. ხუთწლიან გეგმაში უნდა გაფართოვდეს ბამბის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობა. ამხ. მირზოიანს მეტად სუსტ ტემპად მიაჩნია ჩვენი ნავთის მრეწველობის განვითარების ტემპი, რომელიც გეგმაშია მოცემული. თუმცა ეს ტემპი თავისთავად ძალიან თვალსაჩინოა, მაგრამ იგი არ შეეფერება იმ განვითარებას, რომელიც გეგმაში ნავთის საჭიროებას ახასიათებს. საავტომობილო მრეწველობის დიდი განვითარება და ტრაქტორების წარმოება უაღრესად აძლიერებს ნავთისა და ნავთის პროდუქტების მოხმარებას. ნავთის მრეწველობის განვითარების უფრო დიდი ტემპი უნდა აეღოთ, უნდა გვეთვალისწინებინა საზღვარგარეთის გამოცდილება და ნავთის მომავალი მომხმარებლების ზრდა.

ვლადიმირსკი (მოსკოვი) ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ამოცანას. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის წინსვლა თვალსაჩინოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ხუთწლიან გეგმაში აღნიშნულ ტემპს, რომელიც შეეხება გლეხობის გაერთიანებას საწარმოო კოოპერაციაში. გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების თავდაპირველი ფორმების გარდაქმნა უმაღლეს კოლექტივისტურ ფორმებად მით უფრო ნაყოფიერად მოხდება, რაც უფრო ფართოდ შევქმნით სოფლად ახალ ტექნიკურ ბაზას. ხუთწლიანი გეგმა უდიდეს შესაძლებლობას ჰქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური გარდაქმნისათვის. მემარჯვენეები ვერ ხედავენ ხუთწლიანი გეგმის ამ მხარეს. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა აუცილებლად იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებთან; მემარჯვენეებს არც ეს ესმით.

უნშლიხტი (მოსკოვი) ამბობს, რომ აქა-იქ მემარჯვენე ელემენტები სცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ ომის საფრთხე ახლა თვალსაჩინოდ იკლო, თუმცა ახლა შესვენებაა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალისტები მას შეიარაღების გასაძლიერებლად გამოიყენებენ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევანელოთ ყურადღება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმისადმი. საბჭოთა ქვეყნის ბრძოლის უნარიანობის საფუძველს წარმოადგენს ინდუსტრიალიზაცია. ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ საკუთარმა მრეწველობამ სოციალისტური მშენებლობის თავდაცვის შესაძლებლობა მოგვცეს.

პოკროვსკი (მოსკოვი) აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სრული ვერ იქნება, თუ საკუთარი მეცნიერება არ გვექნება. ჩვენში, რასაკვირველია, მეცნიერების მნიშვნელობა ესმით, მაგრამ ამ გაგებაში ძალიან შორს არ წავსულვართ წინა საუკუნის მემამულეებისაგან. ყოველი თავისი თავის პატივისმცემელი აზნაური მოვალედ სთვლიდა თავს საკუთარი დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონოდა. ეხლა ყოველი თავისი თავის პატივისმცემელი სახ. კომისარიატი მოვალედ სთვლის თავს საკუთარი მეცნიერება ჰქონდეს და საკუთარი მეცნიერები ჰყავდეს. აქედან წარმოსდგება უამრავი სამეცნიერო-დაწესებულება, რომლებიც ეწევიან პარალელურ და ამიტომ ნაკლებად სასარგებლო მუშაობას. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ძალების შესასწავლად არსებობს 60-მდე სამეცნიერო დაწესებულება. ეს არის წარმოუდგენლად მრავალი ფულისა და ძალის ხარჯვა. ჩვენ დიდ თანხებს ვხარჯავთ, მაგრამ ამ თანხების 30 ან 40 პროცენტი ამაოდ მიდის უსარგებლოდ, უნდა შესწყდეს ძალთა ასეთი ბარბაროსული დაქსაქსვა. უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება სრულიად საკავშირო ცენტრის შექმნის შესახებ სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად და როგორმე მოვახდინოთ იმის ფიქსაცია, რომ მეცნიერები — პარტიის წევრები გამოვიყენოთ მხოლოდ როგორც მეცნიერული ძალები და არა სხვა სამუშაოებზე. კომუნიზმს დაშორებული მეცნიერებიც კი იმ რწმენას ადგებიან, რომ საჭიროა გეგმიანობის შეტანა საბჭოთა კავშირის მეცნიერული ძალების შესაქმნელად და გასანაწილებლად.

არალოვი (მოსკოვი) შეეხო უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მდგომარეობას. საჭიროა მათი ჩაყენება სათანადო პირობებში, რომ შესძლონ თავიანთი ამოცანის შესრულება იმ ინჟენერ - ტექნიკოსების სათანადო კადრების მომზადებაში, რომლებსაც ასე მწვავედ საჭიროებს ჩვენი მრეწველობა. ამ ძალების საჭიროება თვალსაჩინოდ იზრდება ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული გრანდიოზული მშენებლობის გამო. მეცნიერულ - ტექნიკური კადრების შექმნის საქმე შეიძლება წინ წავწიოთ მხოლოდ მაშინ, თუ შეთანხმებულ მოქმედებას გამოიჩენენ პარტია, პროფკავშირები და საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ამხ. არალოვის შემდეგ ამხ. კალინინი კითხულობს ამხ. კუიბიშევის წინადადებას სამი მომხსენებლის შეთანხმების გამო საბოლოო სიტყვა მიეცეს მხოლოდ ამხ. კრჟიჟანოვსკის. წინადადება მიღებულია. კამათი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო დამთავრებულია. სხდომის დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კრჟიჟანოვსკიმ.

შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის თეზისები, რომლებიც შემუშავა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პლენუმმა.

უკანასკნელი ცნობები

ზირი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ბერლინი, 26 აპრილი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა აღმოსავლეთ - პრუსიის ობერ-პრეზიდენტი ზირი, რომელმაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „აღმოსავლეთ-პრუსიის დელეგაცია მეტად ხელსაყრელ მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა დაწესებულებებთან. მოგზაურობამ არაჩვეულებრივად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციაზე. უნდა აღინიშნოს ის ენერგია, რომელსაც საბჭოთა კავშირი იჩენს თავის სამეურნეო ცხოვრებაში ძირითადი ღონისძიებების განხორციელების დროს“ (ადს).

განაჩენი ვოიცეხოვსკის საქმეზე

ვარშავა, 25 აპრილი. სააპელაციო სასამართლომ გიორგი ვოიცეხოვსკის, რომელსაც ბრალად ედება საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ ლაზარევზე თავდასხმა, ათი წლით დაპატიმრება შეუცვალა ხუთი წლის პატიმრობით (ადს).

შეთანხმება საიდუმლოებით არის მოცული

ბერლინი, 25 აპრილი. „ფარბენ ინდუსტრი“-ს და „სტანდარტ ოილ“-ს ტრესტებს შორის დადებული შეთანხმების დაწვრილებითი პირობები საიდუმლოებით არის მოცული. მაგრამ ცნობილია, რომ შეთანხმება ეხება ქვანახშირის გაჟიჟვით ხელოვნური ბენზინის მოპოვებას. ჯერ კიდევ ორი წლის წინად ამ ტრესტებმა დასდეს შეთანხმება ამ დარგში ცდების ერთად მოხდენის შესახებ. ამ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო. (ადს).

პლეჩკაიტისტ - ტერორისტების აღიარება

კოვნო, 25 აპრილი. „ლეტუვოს აიდას“-ის ცნობით, ამ დღეებში დაპატიმრებულმა პლეჩკაიტისტ-ტერორისტებმა გამოძიების დროს აღიარეს, რომ ისინი [illegible] პლეჩკაიტისტების [illegible] რაკევიჩიუსის დავალებით. მათ ჰქონდათ სპეციალური დავალება—აეფეთქებიათ რკინის გზა, დაერღვიათ სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი და მოეკლათ ლიტვის პოლიციის ზოგიერთი მოხელე. (ადს).

პარტიზანული რაზმების მოქმედება

შანხაი, 25 აპრილი. რევოლიუციონური მოძრაობა ძიანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ვითარდება. უკანასკნელი ცნობებით, პარტიზანული რაზმი 1.000 მებრძოლის შემადგენლობით უახლოვდება ქალაქ ნანკინს, რომელიც 45 კილომეტრით არის დაშორებული ძიანსიდან და მდებარეობს გუანდუნის საზღვართან. ზოგიერთი ცნობებით, ნანკინი ხელთ იგდეს პარტიზანებმა. მეორე პარტიზანული რაზმი შეიჭრა ქალაქ ნინდუში, რომელიც 35 კილომეტრით არის დაშორებული ძიანსის და მდებარეობს ფუძიანის საზღვართან. (ადს)

მუშათა დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 26 აპრილი. გუშინ ბერლინში მიუხედავად პოლიციის აკრძალვისა, კვლავ გაიმართა მუშათა დემონსტრაციები.

ახალი დოკუმენტები გრიბოედოვის შესახებ

სამარა, 26 აპრილი. პენზაში აღმოაჩინეს ახალი დოკუმენტები გრიბოედოვის შესახებ. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ საგამომძიებლო კომისიის ნამდვილ საქმეს დეკაბრისტების შესახებ. (ადს).

მაღარო „მარია“-ში მომხდარ კატასტროფის გამო

დამნაშავეთა გასამართლება

გორლოვკა, 26 აპრილი. უკრაინის უმაღლეს სასამართლოს სესია შეუდგა „მარია“-ს მაღაროში მომხდარი კატასტროფის საქმის განხილვას.

ბრალდებულთა სკამზე სხედან სამთო ტექნიკოსი ბოშკო (მაღაროში ჩაშვებისა და ამოყვანის საქმის გამგე), მექანიკოსი წუხლევსკი, მონტიორი ნოსულია, ზეინკალი ზალენსკი, სამთო ინჟენერები ზელენსკი და ხრამცოვი. მათ ჰბრალდებათ დანაშაულებრივი უყურადღებობა სამსახურის მოვალეობისადმი. (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის თესვა

თესვის კამპანია ზუგდიდის მაზრაში

რომ კომუნისტური პარტია უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს შრომელ მოსახლეობაში, ამის უტყუარი დამამტკიცებელი ფაქტი ის მაგალითია, რომელიც ჩვენ გვქონდა ზუგდიდის მაზრაში სათესლე მასალის შემოწმების ათდღიურის ჩატარების სახით. ათდღიური სამაზრო თესვის ხუთეულის მიერ გამოცხადებული იყო 5-დან—15 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა გამოგვერკვია სათესლე მასალა მაზრის მასშტაბით როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის მიხედვით: რამდენი გვაკლია და, ხოლო რაც გვაქვს, ის რამდენად არის გამოსადეგი თავის დანიშნულებისათვის; სათესად გამზადებული ნიადაგის შემოწმება,—ე. ი. აპრილის მეორე ნახევრისათვის შევძლებთ თუ არა გეგმით გათვალისწინებულ მიწის ფართობის დათესვას.

გასულ წელს ხორბლეული კულტურით დათესილი ფართობის რაოდენობა ზუგდიდის მაზრაში უდრიდა 39 ათას ჰექტარს. მიმდინარე წლისათვის ჩვენი გეგმით განზრახული გვაქვს დავთესოთ 45 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

ათდღიურის ჩატარებით ჩვენ გამოვარკვიეთ: რომ გეგმით გათვალისწინებული რაოდენობიდან უკვე დათესილია დაახლოებით 7 პროცენტამდე, ე. ი. 3,1 ათასი ჰექტარი, მოხნული და დასათესად დამზადებულია 60 პროც., ე. ი. 27 ათასი ჰექტარი, სათესლე მასალით უზრუნველყოფილია მოსახლეობის 70 პროც. (ეს მას შემდეგ, რაც ცენტრიდან მიღებული 34 ათასი ფუთი გროზნოს სიმინდი განაწილდა მოსახლეობაში სათესლეზე გასაცვლელად), დანარჩენებზე სათესლის მისაწოდებლად სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან დაყოვნებას დრო ვერ ითმენს, სულ რაღაც ოცი დღე დაგვრჩენია თესვის დროის დამთავრებამდე. არსებული სათესლე მარაგის 50 პროც., ე. ი. 85.500 ფუთი სიმინდი დაახლოებით შერჩეული და შემოწმებულია, (მაზრას სათესლედ სულ სჭირია 165 ათასი ფ. სიმინდი).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულ ათდღიურს უაღრესად დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში გამოირკვა, თუ რამდენად შევასრულებთ ჩვენ მიერ დასახულ გეგმებს, როგორც მიმდინარე თესვის კამპანიის უმტკივნეულოდ ჩატარებას, მოსავლიანობის გადიდებას და საერთოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნას.

მაზრის მშრომელები მთელი ასი პროცენტით გამოეხმაურა ჩვენს გამოძახილს ათდღიურის ჩასატარებლად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წლის თესვის კამპანია კარგად მიმდინარეობდა, რომ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები არ გადაღობოდა წინ. ერთ-ერთ მიზეზზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი პირველ წერილში სათაურით: „რა უშლის ხელს თესვას ზუგდიდის მაზრაში", (გაზ. „კომუნისტი" № 83). არის მეორე, ახალი გარემოება, სრულებით მოულოდნელი—სტიქიის სახით, რომელმაც არა მარტო ხელი შეგვიშალა, არამედ დიდი ეკონომიური ზიანი მიაყენა მაზრას, ორმაგი ზიანი: თესვაზე ხელის შეშლა, ნათესების და ხეხილების განადგურება. ეს იყო 17, 18 და 19 აპრილს მოსული დიდი თოვლი. სამეგრელოში არავის ახსოვს, რომ აპრილის შუა რიცხვებში ასეთი დიდი თოვლი მოსულიყო. ორი დღე და ღამე თოვა, მთელი მაზრა თოვლით დაიფარა, ხოლო მაზრის მაღლობი ადგილები დღესაც დაფარულია. ამას მოყვა საშინელი ნიაღვრები, შემდეგ წყალდიდობა, რამაც ძალზე შეუშალა ხელი ხვნა-თესვას.

მაგრამ მშრომელი მოსახლეობის ენთუზიაზმს და ნებისყოფას ამ შემთხვევაში სტიქიაც ვერ დასძლევს, ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვით ხელის შემშლელ პირობებს ბოლოს მოუღებს და ათ მისამდე მაინც შესძლებს გეგმით გათვალისწინებულ ნორმის შესრულებას.

თოვლმა მთლიანად გააფუჭა ყვავილ გამოყრილი ხეხილები, როგორიცაა: ატამი, ბალი, ტყემალი, ალუჩა და ნაწილობრივ თხილი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი მაზრის გლეხის ბიუჯეტში. გაანადგურა აგრეთვე ახლად დათესილი ბოსტნეულობა. გააფუჭა ამოსული და გაღვივებული სიმინდი, ნაწილობრივ გააფუჭა სათბურების გარეშე მოყვანილი თამბაქოს ნერგი. ასეთები კი ბლომადაა ზუგდიდის მაზრაში, ვინაიდან არც აქაა სათანადო ყურადღება მიქცეული ცენტრალურ ორგანოების მიერ ამ მეტად ძვირფას კულტურაზე.

საშინელება მოელის აგრეთვე საინკუბაციო გადატვირთვილ აბრეშუმის ჭიის თესლს, რომლის ინკუბაცია მერვე დღეს რაც დაიწყო, ჭია კი გამოვა მეჩვიდმეტე დღეს. ჭიის გამოსვლამდე დარჩენილია სულ რამდენიმე დღე, ხოლო რაც შეეხება ბჟოლის ფოთოლს, ჯერ კვირტიც არ გამოუღია, არამც თუ ფოთოლი, რითაც იკვებება ჭია. თუ ცუდი ამინდები კიდევ გაგრძელდა ჭიის გამოყვანა ნაადრევი შეიქნება, რის გამო ცხადია ჭია დაიხოცება. ეს კი უბედურება იქნებოდა ჩვენი, ისედაც მოუსავლიანობით დაზარალებულ, მაზრისათვის, ვინაიდან ჩვენი გლეხის ბიუჯეტში აბრეშუმის მოსავალს 32 პროც. უჭირავს. სტიქიით მიყენებული ზარალის დაწვრილებით გამოსარკვევად მაზრის აღმასკომის მიერ გამოიყოფა სპეციალური კომისია.

ამას წინედ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" (№ 77), ცნობა იყო მოთავსებული „სოფლის კავშირის" „გამოკვლევის" თანახმად, თითქოს ცენტრიდან გადმოგზავნილი 95 ცალი რკინის გუთნებიდან, მხოლოდ 5 ცალი იყოს გლეხობაზე განაწილებული, დანარჩენი კი საწყობებში ეყაროს. ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება, ვინაიდან მიმდინარე წელს ჩვენს საწყობებში ერთ ცალ გამოსადეგ გუთანს ვერ იპოვით. ყველა განაწილებულია გლეხებს შორის. თუ ამას შარშან ქონდა ადგილი, წელს რა საჭიროა ამაზე წერა. შარშან, რომ ამას ადგილი ქონდა, ეს მაზრის საკრედიტო ამხანაგობების ბრალი როდი იყო, არამედ თვით „სოფლის კავშირის", რომელმაც გუთნები აპრილის დამლევს გადმოუგზავნა საკრედიტო ამხანაგობებს. ამ დროს კი თესვას ჩვენში ამთავრებენ, რის შემდეგ გლეხს გუთანი მეორე წლამდე არ ესაჭიროება, ეს უნდა სცოდნოდა გამომკვლევს და ინფორმატორსაც, რომელიც ასეთ ცნობას აწვდიდა გაზეთს.

წელს ძალიან კარგი პირი უჩანს ჭვავის მოსავალს. საშემოდგომო თესვის კამპანიას რომ ხელი არ შეშლოდა, (დაიმედებული ვიყავით თესლის მოცემაზე, ხოლო ვერ მივიღეთ) და საშუალება გვქონდა გათვალისწინებულ 4 ათასი ჰექტარი მიწის ფართობზე ჭვავის დათესვის, წრევანდელ შიმშილობას საკუთარი ხორბლეულით დავსძლევდით.

საჭიროა ამ გარემოებას აქედანვე მიექცეს სათანადო ყურადღება, საჭიროა სათესლე მასალის ამ თავიდანვე მომარაგება. დაახლოებით ას ჰექტარზე იქნება წელს კერძო მეურნეების მიერ ჭვავი დათესილი ზუგდიდის მაზრაში. ნათესების ეს ფართობი ეხლავე უნდა იქნას აღებული აღრიცხვაზე სამიწადმოქმედო ორგანოების მიერ და მომკისთანავე მეურნეებს მიეცეს ერთ ფუთ ჭვავზე ორი ფუთი სიმინდი. ჭვავი კი მთლიანად სახელმწიფო, ან კოოპერატიულმა ორგანოებმა უნდა აიღონ, რომ ამით შევქმნათ სამაზრო საშემოდგომო სათესლე ფონდი. მაგრამ არც ესაა საკმაო, დიდი რომ ვთქვათ ადგილობრივ შეიძლება დამზადდეს არა უმეტეს 5 ათასი ფუთი ჭვავისა, მაზრას კი ესაჭიროება სათესლედ 40 ათასი ფუთი. ამნაირად საჭიროა შემოვიტანოთ 35 ათასი ფუთი, ეს კი მთლად დამოკიდებულია ზემდგომ ორგანოებისაგან. მაზრა კი თავის მხრივ არაფერს დაზოგავს შესაძლებლობის ფარგლებში.

ამრიგად საჭიროა ამ თავიდანვე შევუდგეთ საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის სამზადისს. წარსულში დაშვებული შეცდომების გამოცდილების შემდეგ მომავალში არ უნდა ექნეს ადგილი ამ შეცდომებს. ამით შევასრულებთ პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დირექტივებს სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ი. ქვანია.

ავანსები ბამბის მოთესველებს

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება ბამბის ნათესებისათვის ფინანსების მიწოდების ნორმებისა და წესის შესახებ.

1929 წელს თვითეულ კონტრაქტაციაქმნილ კილოგრამ ნედლ ბამბაზე გაცემული უნდა იქნეს ავანსი 7,5 კაპეიკის რაოდენობით, ამასთანავე პირველი ავანსის დარიგების დროს—გაზაფხულზე გაცემული უნდა იქნეს 4 კაპ. კილოზე, ხოლო მეორეთ კი მაის-ივნისში—3,5 კაპ.

სახკომსაბჭომ დააწესა მოსავლიანობის ნორმებიც. აზერბეიჯანში თვითეულ ჰექტარის მოსავლიანობა განსაზღვრულია 590 კილოთი, ამის მიხედვით თითო ჰექტარზე ავანსი შეიძლება გაცემული იქნეს 44 მან. 25 კაპ. რაოდენობით. ნახიჩევანის მხარეში და სომხეთში მოსავლიანობის ნორმათ დაწესებულია 757 კილო (ავანსის რაოდენობა 55 მან. 27 კაპ.), საქართველოში—ბორჩალოს მაზრაში—592 კილო (44 მან. 25 კაპ.), ყარაიას რაიონში და კახეთში—492 კილო (36 მან. 90 კაპ.).

ბამბის მოთესველებს თესლი უნდა მიეცეს 4 კაპ. კილო. თესლის ნორმათ დაწესებულია აზერბეიჯანში 50 კილო ჰექტარზე, ნახიჩევანის მხარეში—75 კილო, სომხეთში—65 კილო და საქართველოში—50 კილო.

მეურნეობებს, რომლებიც ხმარობენ მიწის გასანოყიერებელ ნივთიერებებს, დამატებით მიეცემათ ჰექტარზე ავანსი 10 მანეთის რაოდენობით. ამავე რაოდენობით მიეცემათ ავანსი იმ მეურნეობებს, რომლებიც მიმართავენ მიწის დამუშავების მექანიკურ საშუალებებს.

55 ვაგონი სიმინდი

აჭარისტანის გლეხებისათვის

ბათომი, 26 აპრილი. აჭარისტანის „სოფლის კავშირმა" გლეხებს შორის გასანაწილებლად მიიღო 23 ვაგონი სიმინდი, რომელიც სასწრაფოდ იგზავნება მაზრებში, უმთავრესად ზემო-აჭარაში. სიმინდის განაწილების დასაჩქარებლად მოხდა ყველა გადასაზიდ საშუალებათა მობილიზაცია. ამ დღეებში მოელიან კიდევ 32 ვაგონ სიმინდს უღარიბეს გლეხებს შორის გასანაწილებლად (ადს).

ადგილებზე

ლტოლვა კოლექტივიზაციისაკენ იზრდება

ქუთაისი, 25 აპრილი. უკანასკნელ ხანებში მოეწყო 12 ახალი კოლმეურნეობა, რომლებიც 214 კომლს აერთიანებენ. გარდა ამისა, კონტრაქტაციის მიზნით მაზრაში მოეწყო 400-დე ჯგუფური გაერთიანება, რომლებიც 300-დე კომლს აერთიანებენ. ნათესების კონტრაქტაცია ჩატარებულია 3.461 ჰექტარზე. ამრიგად, კონტრაქტაციის გეგმა (4000 ჰექტარი) ჯერ-ჯერობით შესრულებულია 86,5 პროცენტით.

მაზრაში მოხნულია 30.000 ჰექტარი, რაც მთელი დასათესი სივრცის 40 პროცენტს შეადგენს. თესვა ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს მაზრის ქვიშიან-მსუბუქ ნიადაგზე. დათესილია 9.000 ჰექტარზე მეტი. მაზრაში ადგილი აქვს საქონლის საკვების ნაკლებობას. „სოფლის კავშირისაგან" ამ დღეებში მიღებული 98 ტონა საქონლის საკვები უვარგისი აღმოჩნდა. (ადს).

მუშათა ბრიგადების მუშაობა

ფოთი, 26 აპრილი. თესვის კამპანიის ჩასატარებლად მოეწყო მუშათა ბრიგადა 8 კაცის შემადგენლობით, რომლებმაც გაიარეს სპეციალური კურსები. მუშათა ბრიგადები გაიგზავნა სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში. ამხანაგების უკან დაბრუნების შემდეგ გაიმართა თათბირი, რომელზედაც გამოირკვა, რომ გლეხები ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ მუშების ჩასვლით და სთხოვეს მათ ჩამოვიდნენ და დაეხმარონ მათ რჩევით სხვა კამპანიების ჩატარების დროსაც.

ამასთან ერთად განხილულ იქნა გლეხების მიერ მუშათა ბრიგადებისათვის გადაცემული საჩივრები და შემუშავებულ იქნა ღონისძიებები გლეხების სამართლიანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ადს).

პურის წიგნაკების შემოღების შედეგები

პურის წიგნაკების განმანაწილებელ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ქ. ოდილავაძემ პურის წიგნაკების შემოღების შედეგების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი აცნობა.

პურის წიგნაკების გაცემა სავსებით დამთავრებულია. წიგნაკების გაცემის დროს დაშვებული იქნა ზოგიერთი შეცდომები, რაც გამოიწვია წარმოება-დაწესებულებების მიერ არა სწორი სიების წარმოდგენამ.

მაგალითად, ქალაქში ირიცხება 329.000 სული მცხოვრები, წიგნაკები კი გაცემულია 313.000 სულზე, გამოდის რომ არა მშრომელთა რაოდენობა არ აღემატება 16.000 კაცს. ნამდვილად კი მათი რიცხვი მეტია.

პურის წიგნაკები უკანონოთ გაცემულია დაახლოებით 5—10 ათას არამშრომელ ელემენტზე. მათმა უმრავლესობამ წიგნაკების მიღება შესძლო საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობებისაგან მიღებულ ყალბი მოწმობებით. არამშრომელი ელემენტების ნაწილი პურს იღებს თავიანთი ოჯახის იმ წევრთა საშუალებით, რომელნიც მსახურობენ და ირიცხებიან პროფკავშირის წევრებათ.

გარდა ამისა გამოირკვა, რომ წარმოება-დაწესებულებებს მიუღიათ ზედმეტი წიგნაკები. მაგალითად ინვალიდთა არტელების კავშირს წაუღია 800 ცალი ზედმეტი წიგნაკი, რომელიც დაბრუნებული იქნა სათანადო ზომების მიღების შემდეგ. არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ერთი ოჯახის რამდენიმე წევრს, რომელნიც სხვადასხვა ადგილას მუშაობენ, მიღებული აქვთ წიგნაკები, ამ წიგნაკებში შეტანილი ჰყავთ ოჯახის ყველა წევრები და პურს ზედმეტი რაოდენობით იღებენ.

ყველა ამ ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად ახლო ხანში ჩატარებული იქნება სპეციალური გამოკვლევა და წიგნაკების ხელახალი აღრიცხვა-შემოწმება.

მიუხედავად ამ დეფექტებისა, პურის წიგნაკების შემოღებამ დიდი დადებითი შედეგები მოგვცა. ჯერ ერთი, რაც უმთავრესია, სავსებით მოისპო რიგები საცხობების წინ, შედარებით გაუმჯობესდა პურის ხარისხი და შესაძლებელი გახდა დღიურათ 2011 ფუთი ფქვილის ეკონომია.

რაც შეეხება თბილისის მაზრის იმ სოფლებს, რომლებიც გამომცხვარ პურს იძენდნენ ქალაქში, დღემდე იქ განაწილებული იქნა 65 ვაგონი სიმინდი, ივნისის ბოლო რიცხვებამდე კიდევ განაწილებული იქნება 35 ვაგონი.

სიმინდის განაწილებას უღარიბეს გლეხთა შორის აწარმოებს ცეკავშირი, ხოლო იქ, სადაც კოოპერატივები არ არის, გლეხკომები, საგანგებო სამეულების დახმარებით.

ამავე გზით სწარმოებს პურის ფქვილის განაწილება მაზრაში მუშა-მოსამსახურეთა შორის. ყოველთვიურად მუშა-მოსამსახურეებისათვის მაზრას ეძლევა დაახლოებით 6 ვაგონი პურის ფქვილი, ხოლო საბავშვო დაწესებულებებისათვის—1 ნახ. ვაგონი.

აღსანიშნავია, რომ პირველ ხანებში სიმინდის განაწილება არ სწარმოებდა წესიერად და დირექტივების მიხედვით. მაგალითად, ცეკავშირის ადგილობრივი ორგანოები სიმინდს ურიგებდნენ მხოლოდ თავის წევრებს. ამჟამად კი სიმინდი ეძლევა ყველა ღარიბს გლეხს, გარეშე იმისა კოოპერატივის წევრია იგი თუ არა.

მიღებულია აგრეთვე წინასწარი ზომები მაზრის აგარაკების უზრუნველსაყოფად შაქრითა და პურით.

საკურორტო სეზონის წინ

მოთხოვნილება ადგილებზე

საქართველოს ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს მრავალი მოთხოვნილება მოსდის ადგილებზე სანატორიუმებში. სამმართველოს განზრახული აქვს აბასთუმნის სანატორიუმში საწოლების რიცხვი გაადიდოს 500-დე, ბორჯომში კი—140-დე.

წელს პატარა ცემში მუშაობას დაიწყებს ახალი საბავშვო სანატორიუმი 50 საწოლით და შოვში—80 საწოლით. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან, უმთავრესად კი მოსკოვიდან და უკრაინიდან, მიღებულია მოთხოვნილება 650 საწოლზე, რაც წარსულ წელთან შედარებით მომატებას იძლევა 30 პროცენტით. ბორჯომში ყველა ადგილები უკვე განაწილებულია ივნისისა და ივლისის განმავლობაში.

მიღებულია ზომები საქართველოს ყველა კურორტების უზრუნველსაყოფად სურსათ-სანოვაგით.

საკურორტო მშენებლობა

საკურორტო სამმართველო ბორჯომში შეუდგა დიდი სასტუმრო - პანსიონატის აგებას; სასტუმროს ექნება 250 ოთახი. სასტუმრო შენდება ევროპიული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

სასტუმრო დაჯდება 700.000 მანეთი და დამთავრებული იქნება ორი წლის განმავლობაში.

საქ. პროფსაბჭოში

დახმარება სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, თანახმად პროფკავშირთა მერვე საკავშირო ყრილობის დადგენილებისა და საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დირექტივებისა, დაადგინა აუცილებლად იქნას ცნობილი რეალური დახმარების გაწევა სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირისათვის პროფსაბჭოსა და ცალკე კავშირების მხრიდან.

ამ მიზნით პროფსაბჭოსთან უნდა დაარსდეს სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირისათვის დახმარების გაწევის ფონდი, რომელშიაც პროფსაბჭომ უნდა გადარიცხოს 2,000 მანეთი. საკუთრივ კავშირების დახმარების რაოდენობის შესახებ განხილული უნდა იქნეს ცენტრალური გამგეობის სხდომებზე. ეს ფონდი დახარჯული უნდა იქნეს მხოლოდ მიზნობრივ საჭიროებაზე, სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირის მოთხოვნის თანახმად.

ამასთანავე კავშირებს დაევალათ იდეური დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირს.

შეღავათი კურორტებზე მიმავალ მუშებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კურორტებზე თავისი ხარჯით მიმავალ მუშებისათვის შეღავათის მინიჭების შესახებ.

აუცილებლად იქნა ცნობილი შემოღებული იქნეს აბასთუმანში შეღავათიანი ტარიფი ოთახებზე იმ მუშებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სანატორიუმში გაგზავნას, მაგრამ ადგილების უქონლობის გამო ვერ იგზავნებიან.

შეღავათით სარგებლობენ ის მუშები, რომლებიც იღებენ არა უმეტეს 120 მანეთისა თვეში.

დეფიციტი, რომელიც მიღებული იქნება შეღავათიანი ტარიფის შემოღების გამო, გავრცელებული უნდა იქნეს კერძო პირებზე გასაქირავებელ ოთახებზე.

აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ პროფსაბჭომ და დაზღვევის კომიტეტმა მონაწილეობა მიიღონ ოთახების განაწილებაში როგორც აბასთუმანში, ისე სხვა საავარაკო ადგილებში (მანგლისი, კოჯორი და სხვა).

დასასრულ, პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვებლად სცნო ოთახის ქირის წინდაწინ აღება მუშებისაგან, როგორც ამას სჩადის თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება.

ახალი საბინაო ტარიფი

თბილისის აღმასკომმა მიიღო ახალი საბინაო ტარიფის პროექტი

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძვლებზე შედგენილი ახალი საბინაო ტარიფის პროექტი, რომელიც ამ დღეებში საბოლოოდ იქნება დამტკიცებული სათანადო უმაღლეს ორგანოების მიერ.

ახალ ტარიფის მიხედვით ყველა მოქალაქე, რომელსაც დაკავებული აქვს საცხოვრებელი ფართობი, როგორც მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაციაქმნილ სახლებში, ისე კერძო პირთა სახლებში, ვალდებულია საბინაო ქირა გადაიხადოს ამ დადგენილების თანახმად; საბინაო ქირა უნდა გადაეცეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხ-ბებს, სახლის მმართველებს, სახლის გამგეებს სახლის მეპატრონეებს და სხ.

ამავე დადგენილების მიხედვით საბინაო ქირას იხდიან აგრეთვე ის პირნი, რომელთაც სათანადო ნებართვით საცხოვრებლად უჭირავთ დარაზები.

საბინაო ქირაში არ შედის კომუნალური გადასახადი და ბინის წვრილმანი შეკეთება.

საბინაო ქირის გამოანგარიშება სწარმოებს მხოლოდ საცხოვრებლად გამოსადეგ ფართობის მიხედვით კვადრატულ მეტრობით. დერეფანი, აბაზანები, სამზარეულო, ფეხსადგილები, შუშაბანდი და სხ. ქირის გამოანგარიშების დროს, მხედველობაში არ მიიღება.

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საბინაო ქირა დაწესებულია შემდეგი რაოდენობით: ის მოქალაქე, რომელიც თვეში იღებს 20 მანეთამდე იხდის 5 ნახ. კ. კვ. მეტრზე,

21—30 მან-დე	იხდის	10 კ. კვ. მეტ.
31—40 მან-დე	იხდის	12 კაპ. კვ. მეტ.
41—50 მან-დე	იხდის	14 კაპ. კვ. მეტ.
51—60 მან-დე	იხდის	16 კაპ. კვ. მეტ.
61—70 მან-დე	იხდის	19 კაპ. კვ. მეტ.
71—80 მან-დე	იხდის	22 კაპ. კვ. მეტ.
81—90 მან-დე	იხდის	25 კაპ. კვ. მეტ.
91—100 მან-დე	იხდის	28 კაპ. კვ. მეტ.
101—110 მან-დე	იხდის	31 კაპ. კვ. მეტ.
111—125 მან-დე	იხდის	35 კაპ. კვ. მეტ.
125—145 მან-დე	იხდის	40 კაპ. კვ. მეტ.

ამრიგად მუშა-მოსამსახურენი, რომელთა საერთო ხელფასი თვეში შეადგენს 145 მანეთს, კვ. მეტრზე იხდიან საბინაო ქირის ძირითად განაკვეთს, ე. ი. 40 კ. ის მუშა-მოსამსახურენი კი, რომელნიც თვეში ღებულობენ 145 მანეთზე მეტს, კვ. მეტრზე გარდა 40 კაპეიკისა, იხდიან დამატებით 3 კ. ყოველ სრულ 10 მანეთზე. ხოლო ის პირნი, რომელთა თვიური ხელფასი შეადგენს 275 მანეთი და მეტი, ყოველ ზედმეტ 25 მანეთზე იხდიან 5,5 კაპ. კვ. მეტრზე, იმ ანგარიშით, რომ საბინაო ქირა კვ. მეტრზე არ უნდა აღემატებოდეს 1მან. 32 კაპ. კვ. მეტრზე.

საბინაო ქირის გამოანგარიშება ხდება მუშა-მოსამსახურის ნორმალურ სამუშაო დღის განმავლობაში მიღებულ მთელი ხელფასის მიხედვით.

საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება ზედმეტი საათების ნამუშევარი და სპეციალური დატვირთვისათვის მიღებული გასამრჯელო, რომელსაც ღებულობენ პასუხისმგებელ მუშაკთა განაკვეთით.

ნარდით მომუშავეთათვის საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება მთელი მათი ხელფასი, თუ ნარდათ მუშაობა სწარმოებს ნორმალურ სამუშაო დღის განმავლობაში.

დაქირავებულ შრომით მომუშავენი, რომელნიც მუშაობენ შეთავსებით და ღებულობენ სპეციალურ განაკვეთს, აგრეთვე ძირითად განაკვეთზე ეძლევათ დამატებით ტანტიემა, ან პროცენტული ჯილდო, ქირას იხდიან მთელი თვიური ხელფასის მიხედვით.

მუშა-მოსამსახურის ყოველთვიური ხელფასის გამოკვლევა ხდება მისი საანგარიშო წიგნაკის, ან მოწმობის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს ყოველთვიურად სათანადო დაწესებულებიდან—თანამდებობის, ძირითად ჯამაგირის და სხვა ყოველგვარ შრომის ხელფასის აღნიშვნით.

პროფკავშირში ჩარიცხული **მუშა-ერთეულები**, დღიურად მომუშავენი, მუსიკოსები, მრეცხავები, მზარეულები, სახლში მომუშავე მკერავები და სხ., რომელთაც არა აქვთ მუდმივი სამუშაო, ქირას იხდიან პროფკავშირის წევრთა თანაბრად, არა პროფკავშირის წევრები—სახლის მმართველობებთან, ან მეპატრონეებთან შეთანხმებით, იმ პირობით, რომ მათთვის საბინაო ქირა დაწესებული იქნეს არა ნაკლებ 25 კაპეიკისა და არა უმეტეს 64 კაპ. კვად. მეტრზე თვეში.

შინამრეწველები და ხელოსნები, რომელთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა-ხელი და შეგირდები და არც საშემოსავლო გადასახადი აქვთ შეწერილი, ქირას იხდიან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 22 კაპ. და არა უმეტეს 36 კაპ. კვ. მეტრზე. ამავე კატეგორიას ეკუთვნიან აგრეთვე ფეხსაცმელების მწმენდავები, წყლის მზიდველები, დროგებზე, ფურგუნებზე, ტაჩკებზე და სხ. მსუბუქ გადასაზიდ საშუალებებზე მომუშავენი, რომელნიც მუშაობას ეწევიან პირადათ და არ ითვლებიან გადასაზიდ საშუალებათა მეპატრონეებათ.

შინამრეწველებს და ხელოსნებს, რომელთაც ჰყავთ დაქირავებული 1 მუშა-ხელი, ან 2 შეგირდი და არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ქირა შეაქვთ 40 კ. რაოდენობით კვ. მეტრზე.

ისინი, რომელთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა-ხელი ან ჰყავთ დაქირავებული 1 მუშა-ხელი, ან 2 შეგირდი და ამავე დროს შეწერილი აქვთ საშემოსავლო გადასახადი, თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 1.000 მანეთს—კვ. მ. იხდიან 40 კაპ., ხოლო თუ მათი შემოსავალი აღემატება 1.000 მანეთს ყოველ 200 მანეთზე დამატებით იხდიან 5,5 კ., ისე რომ გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 1 მან. 10 კ. კვ. მ. თვეში.

შინამრეწველ-ხელოსანი, რომელსაც ჰყავს 2—3 დაქირავებული მუშა-ხელი, ან 6-მდე შეგირდი, გასული წლის შემოსავლის მიხედვით კვ. მეტრზე იხდის 88 კაპეიკიდან დაწყებული 1 მან. 98 კაპეიკამდე.

ის შინამრეწველ-ხელოსანი კი, რომელსაც ჰყავს დაქირავებული 3 მუშაზე, ან 6 შეგირდზე მეტი, საბინაო ქირას გადაიხდის როგორც არამშრომელი ელემენტი.

თავისუფალ კატეგორიას ეკუთვნიან ექიმები, ბეითლები, კბილის ექიმები, კბილის ტეხნიკები, ინჟინრები, დამცველთა კოლეგიის წევრები, კომპოზიტორები, ბირჟის მაკლერები, ფერშლები, ბებიები, ლიტერატორები, ჟურნალისტები, მხატვრები და სხ. თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 1.200 მ., ქირას იხდიან ძირითადი განაკვეთის მიხედვით, ე. ი. 40 კაპ., 1200 მანეთზე ზევით კი ყოველ 200 მანეთზე დამატებით იხდიან კვ. მეტრზე 5 კაპ., ისე რომ ქირა არ უნდა აღემატოს 1 მ. 98 კაპ. თვეში კვ. მ.

სახელ. სამსახურში მყოფნი თავისუფალი პროფესიის პირნი, ქირას იხდიან მოსამსახურეებისათვის დაწესებულ განაკვეთის მიხედვით, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ სამსახურის გარეშე შემოსავალი, იმ პირობით, რომ ეს შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს მათ წლიურ ხელფასს.

თავისუფალ პროფესიის პირნი, რომელთაც აქვთ საკუთარი სპეციალური დაწესებულება (კანტორა, სამკურნალო, იურიდიული ბიურო და სხვ.) ქირას იხდიან როგორც არა მშრომელი ელემენტები—1 მან. 98 კაპეიკიდან 4 მან. 40 კაპ. კვ. მეტრ. თვეში.

სამეცნიერო დარგის მუშაკები ლიტერატორები და სახვითი ხელოვნების მუშაკები, რომელთაც აქვთ ხელფასი, ან შემოსავალი თვიურად 400 მანეთამდე, ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურეთათვის შემოღებულ განაკვეთით.

რელიგიურ კულტის მსახურნი ქირას იხდიან როგორც არა მშრომელი ელემენტები.

პენსიონერები და სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფნი პირნი ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურეთათვის შემოღებულ განაკვეთით იმის მიხედვით, თუ რამდენს ღებულობენ პენსიის სახით.

შრომის გმირები და პერსონალური ხაზვით ხელ. მუშაკნი, ქირას იხდიან თავიანთი პენსიის 50 პროცენტის მიხედვით. თუ მათ პენსიის გარდა აქვთ სისტემატიურად სხვა სახის შემოსავალი, ამ შემთხვევაში საბინაო ქირის გამოანგარიშება სწარმოებს მხოლოდ მათი კერძო შემოსავლის მიხედვით.

მოწაფეები, რომელთაც ეძლევათ სახ. სტიპენდია არა უმეტეს 35 მ. თვეში, ან განთავისუფლებულნი არიან სწავლის გადასახადისაგან, კვ. მეტრზე იხდიან 5,5 კაპ.; ზედმეტ სტიპენდიის მქონენი კი მუშა-მოსამსახურეების თანაბრად.

არამშრომელი ელემენტები ქირას იხდიან კვ. მეტრზე 1 მან. 98 კაპეიკიდან 4 მან. 40 კაპ. თვეში, საფინანსო ორგანოების მიერ გამორკვეულ შემოსავლის კვალობაზე.

ბინის ქირის გამოანგარიშება ხდება ოჯახის იმ წევრის ხელფასის რაოდენობიდან, რომელიც ოჯახის წევრთა შორის იღებს ყველაზე მეტს.

ცუდათ მოწყობილ ბინებში, გასავალ ოთახებში, ნახევრად სარდაფებში და უკანალიზაციო და უწყალსადენო სახლებში, აგრეთვე ქალაქის ცენტრს დაშორებულ ბინებში მცხოვრებთათვის, არა მშრომელ ელემენტების გამოკლებით, ბინის ქირაში დაწესებულია შეღავათი 10—50 პროცენტამდე.

სულზე საცხოვრებელ ფართობის ნორმათ ითვლება 10 კვ. მეტრი, ზედმეტად დაკავებულ ფართობზე ქირას იხდიან ორკეცათ. არამშრომელი ელემენტები სამკეცად. 5 კვ. მეტრი ზედმეტი ფართობი, მუშა-მოსამსახურეთ არ ეთვლებათ ზედმეტათ.

ის პირები, რომელთაც თანახმად საქართველოს ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს დადგენილებისა, უფლება აქვთ იქონიონ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, ქირას ზედმეტ ფართობში იხდიან ერთმაგათ.

გარდა ამისა, არა მშრომელთა გამოკლებით, ყველა მობინადრეს, მის კმაყოფაზე მყოფ 3 სულზე ზევით ქირაში ეძლევა შეღავათი 10—30 პრ.

ახალი საბინაო ტარიფი შემოღებული იქნება მიმდინარე წლის 1-ლ ივნისიდან.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

დანიშვნები

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამხ. იაგნეტინსკი დანიშნულია ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრად; ამხ. აგრბა ა. კ. გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს კოლეგიის წევრად.

სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესება

ა. კ. სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ გამოყვეს სპეციალური კომისია ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის, ა. კ. ფინ. სახ. კომისარიატის, ა. კ. პროფსაბჭოს და რესპუბლიკანურ განათლების სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დაამუშაოს საკითხი ახალი სტიპენდიების დაწესების შესახებ. ეს სტიპენდიები სტუდენტებს მიეცემათ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების ხარჯზე.

ბათომის წყალსადენი

ა. კ. სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ საჭიროდ სცნეს ბათომის წყალსადენის გაფართოება. ა. კ. სამშენებლო კომიტეტს წინადადება მიეცა შეიმუშაოს ბათომის წყალსადენის გაფართოების პროექტი. პროექტი შედგენილი უნდა იქნეს იმ ვარაუდით, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნეს აზნავთის მოთხოვნილება წყალზე.

დამატებითი თანხები სატყეო მრეწველობას

ხე-ტყის ექსპორტის გადიდების და შინა ბაზრის ხე-ტყის მასალით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით ა. კ. სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ საჭიროდ სცნეს, რომ სატყეო მრეწველობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაეცეს დამატებითი თანხები. საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს საბრუნავი თანხების გასადიდებლად გადაეცემა 800.000 მანეთი, ბორჯომის სატკეჩე ქარხნის მოსაწყობად 390.000 მანეთი, ხოლო სომხეთის ტრესტს ხე-ტყის ქარხნის მოსაწყობად—25.000 მანეთი.

600 ბაქოელი მუშის ჩამოსვლა

ორი საექსკურსიო ჯგუფი

გუშინ, საღამოს 5 საათზე, სპეციალური მატარებლით ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა 600 ბაქოელი მუშა. 200 მუშა გუშინ საღამოსვე გაემგზავრა ერევანში, ხოლო დანარჩენები დარჩნენ აქ საპირველმაისო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ და თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის გასაცნობათ.

ბაქოელი მუშების ორივე საექსკურსიო ჯგუფში შედიან უმთავრესად ნავთის მრეწველობის მუშები. როგორც ერევანში წასულ, ისე თბილისში დარჩენილ ექსკურსანტთა ჯგუფებს ხელმძღვანელობენ სპეციალური კომისიები.

ბაქოელი მუშების შესახვედრათ საქ. პროფსაბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. ა. ფანცულაიას თავმჯდომარეობით.

შეხვედრა სადგურზე

ბაქოელი მუშების შესახვედრათ სადგურზე თავი მოიყარეს თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა და პროფკავშირების წარმომადგენლებმა. სადგურის ბაქანი გაიჭედა თბილისელი პროლეტარებით, რომლებიც დროშებითა და ორკესტრებით ხვდებოდენ თავის ბაქოელ მოძმეებს.

ნაშუადღევის 5 საათზე გამოჩნდა სპეციალური მატარებელიც. „ვაშას" ძახილითა და „ინტერნაციონალით" დახვდენ თბილისელი მუშები სტუმრებს.

მატარებლის ჩამოსვლა, თბილისელი მუშების დახვედრა და მიტინგი გადაღებულია კინო-ქრონიკისათვის.

მიტინგი

ბაქოელის მუშების ჩამოსვლის გამო თბილისის სადგურთან გამართული სახელდახელო მიტინგი გახსნა შეხვედრის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფანცულაიამ.—თბილისის პროლეტარიატის სახელით,—ამბობს ამხ. ფანცულაია,— მხურვალეთ მივესალმებით ბაქოელ მუშებს, თბილისში ჩამოსვლის გამო. სოციალისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ, რომ მტკიცე იყოს კავშირი საბჭოთა კავშირის ცალკე საწარმოო ცენტრების მუშებს შორის. საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორ მიმდინარეობს ეს სოციალისტური აღმშენებლობა მოძმე რესპუბლიკებში. საჭიროა ერთი რესპუბლიკის მუშათა კლასმა ნახოს ის, რაც კეთდება მეორე რესპუბლიკაში. ამით ჩვენს მუშათა კლასს უფრო გაუადვილდება ყველა იმ დაბრკოლებათა დაძლევა, რომლებიც თავს იჩენენ სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში. ამიერკავკასიის პირობებში განსაკუთრებით საჭიროა მტკიცე კავშირი ბაქოს, თბილისის და ერევნის მუშებს შორის. თქვენი აქ ჩამოსვლა ამ კავშირის განმტკიცებისაკენ გადადგმული ნაბიჯია. გაუმარჯოს ბაქოელი და თბილისელი მუშების კავშირის სიმტკიცეს.

ამხ. ფანცულაიას შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ბაქოელი მუშების სახელით ამხ. მეხტიევი, თბილისის დეპოს და მთავარი სახელოსნოების მუშების სახელით ამხ. მიჩიტაშვილი, ბაქოს მემადაროეთა სახელით ამხ. პეტკოვი, თბილისის მელითონეებისაგან — ამხ. კაშაევი, რკინის გზის მუშებიდან—ამხ. ლეონტიევი, თბილისის მბეჭდავ მუშა-ახალგაზრდობის სახელით—ამხ. ჩიქოვანი, ბაქოს მუშა-ახალგაზრდობის სახელით ამხ. კონსტანტინოვსკი და ბაქოს მკერავ მუშა-ქალთა სახელით—თურქი-ქალი ამხ. ბაგიროვა.

როგორც ბაქოელი, ისე თბილისელი მუშა ორატორები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა უფრო ხშირათ იმართებოდეს მუშათა ექსკურსიები ურთიერთის გასაცნობათ, რაც ხელს შეუწყობს მრეწველობაში არსებული დეფექტების თავიდან აცილებას და წარმოების გაუმჯობესებას.

გუშინ, საღამოს ბაქოელი მუშები დაესწრენ მელითონეთა კლუბში სპეციალურად მათთვის გამართულ საღამოს. დღეს ექსკურსანტები დაათვალიერებენ თბილისის ბოტანიკურ ბაღს და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

დღესვე, საღამოს, მუშათა ახალ კლუბის დარბაზში შესდგება ბაქოელი და თბილისელი მუშების შეხვედრა საკონცერტო განყოფილებით.

ნაოსნობა მდ. რიონზე

მგზავრობის და ტვირთზიდვის ახალი ტარიფი

საუწყებო სატარიფო თათბირის უკანასკნელ პლენუმზე განხილულ იქნა მდ. რიონზე მგზავრობისა და ტვირთზიდვის ახალი ტარიფის დაწესების საკითხი.

პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ მდ. რიონზე ნაოსნობის გახსნის პირველ წელში (1928 წ.) გადაზიდულ იქნა 2.670 ტონა ტვირთი და გადაყვანილი იყო 2.150 მგზავრი.

წელს მოსალოდნელია ტვირთზიდვის უფრო განვითარება. რიონით განზრახულია 2000 ტონა ტვირთის გადაზიდვა. მოსალოდნელია მგზავრთა რიცხვის გადიდებაც, რადგან რიონს დიდი უპირატესობა აქვს რკინის გზასთან შედარებით ექსკურსანტების გადაყვანის მხრივ.

პლენუმზე განიხილეს აგრეთვე „რიონნაოსნობის" საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ნაოსნობის შემოსავალი 1929 წელში ნავარაუდევია 28.786 მანეთის რაოდენობით, ხოლო გასავალი—36.740 მან. მაშასადამე მოსალოდნელია დეფიციტი—46.000 მანეთამდე.

დეფიციტის მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ნაოსნობა მდ. რიონზე ჯერ ახალი საქმეა და ამასთანავე დონ-ყუბანის სანაოსნო საზ-ბის მიერ გადმოგზავნილი სანაოსნო საშუალებები მოძველებულია და საჭიროებენ შეკეთებას.

თათბირმა გაითვალისწინა რიონის ნაოსნობის როლი, მნიშვნელობა და საჭიროდ სცნო ნაოსნობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

შესაძლებლად იქნა ცნობილი რიონზე ისეთივე ტარიფის დაწესება, როგორიც არსებობს დონზე და ყუბანზე.

ამ ტარიფის თანახმად, სამტრედიიდან-ფოთამდე მდინარით მგზავრობა ეღირება 1 მან 70 კაპეიკი.

ძვირფას ტვირთების გადაზიდვის ტარიფი ნაკლებია, ვინემ რკინის გზაზე. იაფ ტვირთების ტარიფი კი აღემატება რკინის გზისას.

ტარიფი დაწესებულია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი წლის ვადით (1929 წ.), მომავალში, ნაოსნობის უფრო განვითარების შემდეგ, იგი კიდევ უფრო შემცირდება.

სოციალისტური შეჯიბრება ფაბრიკა-ქარხნებს შორის

ქისატიბის ინფუზორიის მიწების სამადნეები სოციალისტურ შეჯიბრებაში

მოვსპოთ სამუშაო საათების უნაყოფოდ გაცდენა

როსტოვის ლენინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ თბილისის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშებს.— ანიის (სომხეთი) პემზის სამადნეები და ქუთაისის ბარიტის ფაბრიკა შეჯიბრებაში გამოიწვია ქისატიბის დიატომატის სამადნეებმა.

გავაუმჯობესოთ სამუშაო პირობები

შრომის დისციპლინის განმტკიცება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და საერთოდ წარმოების რაციონალიზაცია, მჭიდროთ არის დაკავშირებული საწარმოში შრომის დაცვის საკითხთან. შრომის პირობების გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია წარმოების გაუმჯობესება-გაფართოება.

ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკავშირო პროფკავშირთა მერვე ყრილობამ და თავის დადგენილებებში აღნიშნა, რომ შრომის დაცვა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება წარმოებაში, არის ნაწილი რაციონალიზაციისა. ყრილობამ მოუწოდა პროფკავშირებს რათა მეტი ყურადღება მიაქციონ საწარმოებში უბედურ შემთხვევების გამომწვევ მიზეზების გამომჟღავნებას და მიიღონ ყოველგვარი ზომები მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. უბედურ შემთხვევების გამომწვევ მიზეზების საფუძვლიანად შესწავლა ერთი მთავარი საშუალებათაგანია წარმოებაში უშიშროების ტეხნიკის განსავითარებლად.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრ საწარმოში არამც თუ უცვლელად ტარდება პროფკავშირთა ყრილობის დადგენილებები შრომის დაცვის შესახებ, არამედ ბევრგან არც კი არის ეს დადგენილებები საფუძვლიანად შესწავლილი მუშათა საერთო კრებების მიერ და არ არის კონკრეტული ღონისძიებები მიღებული ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად. თვით ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არ არსებობს განსაკუთრებული ფონდი შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად და ბევრგანაც, სადაც არის ეს ფონდი, არ ხმარდება თავის დანიშნულებას, მოწმობს იმას, რომ საკავშირო პროფკავშირთა მერვე ყრილობის დადგენილებები ბევრ საწარმოში არ არის დამუშავებული. ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ ბევრ ადგილას ისეთი საკითხებიც კი, როგორიც არის საწარმოში სასადილოების მოწყობა, არ არის მოწესრიგებული. იშვიათია ისეთი საწარმოო, სადაც არსებობს საკმაოდ კარგად მოწყობილი სასადილო. სადაც არის სასადილო, იმდენად პატარა და შეუფერებელია სასადილოსათვის, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს საწარმოში მომუშავე მუშათა რაოდენობას. მუშები იძულებული არიან თავიანთი დაზგებთან, ქუჩაში და მტვერში ისაუზმონ დასვენების დროს. ასეა მაგალითად 26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, პოლიგრაფტრესტის საწარმოებში და სხვა. რასაკვირველია ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნება შრომის დაცვის გაუმჯობესება და ამასთან დაკავშირებით საწარმოო დისციპლინის განტკიცება მუშებში.

როგორც ადმინისტრაცია, ისე შრომის ინსპექტორებიც ამ საკითხს არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას. ადგილობრივი შრომის დაცვის კომისიების დადგენილებებს ადმინისტრაცია ხშირად უყურადღებოდ სტოვებს. შრომის ინსპექტორები კი ამ გარემოებას სიჩუმით უვლიან. ისინი ძალიან იშვიათად ათვალიერებენ სამუშაოებს და როდესაც ათვალიერებენ, ზოგჯერ მხოლოდ სიტყვიერი წინადადებებით კმაყოფილდებიან.

შრომის დაცვის საკითხებისადმი ასე უყურადღებოდ მოქცევას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს. ადმინისტრაციამაც და შრომის ინსპექტორებმაც ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყონ ის გარემოება, რომ სამუშაო პირობების გაუმჯობესება, აუცილებელ საშუალებათაგანია წარმოების რაციონალიზაციისათვის.

პროფმუშაკი.

ქისატიბის სამადნეების მუშების ხმა

ქისატიბის ინფუზორიის მიწების სამადნეების მუშათა საერთო კრებამ ინჟინერ-ტეხნიკოსებთან ერთად მოისმინა ა. კ. სავაჭრო კომისარიატის წარმომადგენლის, ამხ. ბაბაიანის მოხსენება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების თვითღირებულების შემცირების შესახებ. მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენ, ქისატიბის ინფუზორიის მიწების სამადნეების მუშები და ინჟინერ-ტეხნიკოსები, უწევთ რა ანგარიშს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა ზრდას და ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ დამზადებული ნედლი მასალის თვითღირებულების შემცირების აუცილებლობას, ვადგენთ ერთხმად: მთელი ჩვენი წარმოების პროცესში შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 20 პროცენტით. სამადნეებისა და მთელი წარმოების მუშები ერთსულოვნად უცხადებთ მთელ მუშათა კლასს და მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომ ნაწარმოების თვითღირებულების დაკლებას მივაღწევთ მიმდინარე სამეურნეო წელსავე, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების სწრაფი გაზრდით. სამადნეების ადმინისტრაცია და ტეხნიკური პერსონალი აცხადებს, რომ მუშებთან ერთად ავწევთ შრომის ნაყოფიერებას, მტკიცეთ გავატარებთ წარმოების რაციონალიზაციას, გავაუმჯობესებთ სამადნეებიდან ნედლი მასალის ამოღებას და ამ გზით 20 პროცენტით შევამცირებთ ჩვენ მიერ დამზადებულ მასალის თვითღირებულებას.

სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეული

ზევითა რიგში (მარჯვნიდან მარცხნივ) ამხ. ანდისელოვი, გალუსტოვი. —ქვევით (მარჯვნიდან მარცხნივ) ამხ. მომაშარი არიოლლი, ავანოვი. —შუაში ამხ. ეგიაზაროვი.

ჩვენ, ქისატიბის დიატომატის სამადნეების მუშები და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი, ვიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ანიის პემზის (სომხეთი) სამადნოების და ქუთაისის ბარიტის ფაბრიკის მუშებსა და ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალს დაუყონებლივ შეამცირონ თავიანთი ნაწარმოების თვითღირებულება არა ნაკლებ 20 პროცენტისა შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და წარმოების რაციონალიზაციის გზით.

ანიის პემზის სამადნოებისა და ქუთაისის ბარიტის ქარხნის მუშებო, აჩვენეთ ყველას როგორ ვმუშაობთ სოციალისტურ მშენებლობის განსამტკიცებლად.

ძირს სამუშაო საათების გაცდენა!

გაუმარჯოს სოციალისტურ შეჯიბრებას!

კრების პრეზიდიუმი.

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტში მიღებული ცნობით, სოციალისტური შეჯიბრის ჩატარებასთან დაკავშირებით, როსტოვის ლენინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტეხნიკოსების საერთო კრება **იწვევს სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის სტალინის სახელობის ვაგონებისა და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანას.**

სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟ.-ტეხნიკოსებმა სიხარულით მიიღეს გამოწვევა და ამჟამად იხილავენ გამოწვევის პირობებს.

ა.-კ. რკ. გზის გამგეობის თანამშრომელთა შორის შრომის დისციპლინა მოისუსტებს

მსუბუქი კავალერიის გამოკვლევით გამოირკვა, რომ ა.-კ. რკინის გზის გამგეობის თანამშრომელთა შორის შრომის დისციპლინა მეტად მოისუსტებს. შემჩნეულია შემთხვევები, როდესაც თანამშრომლები მახიურად აგვიანებენ სამსახურში, მიდიან სამსახურიდან მუშაობის დამთავრებამდე, სეირნობენ დერეფანში სამუშაო საათებში და სხვა.

ასეთ არანორმალურ მოვლენების აღმოსაფხვრელად გზის გამგეობამ ყველა განყოფილების უფროსებს წინადადება მისცა მიიღონ გადამჭრელი ზომები თანამშრომელთა უდისციპლინობის წინააღმდეგ, შინა წესრიგის ცხოვრებაში მტკიცედ გატარებით.

თანამშრომელთა შორის შრომის დისციპლინის აწევის ღონისძიებების ცხოვრებაში გაუტარებლობისათვის განყოფილებების ნაწილების და ჯგუფების ხელმძღვანელები დაისჯებიან სასტიკად ადმინისტრატიული წესით— მათი სამსახურიდან მოხსნამდე.

შრომის ნაყოფიერება იზრდება

(კვების კომბინატის საკანდიტერო ფაბრიკა)

ფაბრიკაში ითვლება 98 მუშა. 21 თებერვლამდე მუშაობა დღიური იყო, ამიტომ ხშირად ადგილი ჰქონდა სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებას, სამუშაოს ადრე მიტოვებას და სხვ., თებერვლიდან შემოღებული იქნა გამომუშავების ნორმები, რამაც საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

პროდუქციის გამომუშავება იანვრის თვეში საკარამელო საამქროში უდრიდა—17.784 კილოგრ., შოკოლადის დამამზადებელ საამქროში—827 კილოგრ. და საკანფეტოში—1950 კილოგრ. თებერვალში საკარამელო საამქროში გამომუშავებულია 18.165 კილოგრ., შოკოლადის დამამზადებელში—881 კილოგრ. და საკანფეტოში—2.082 კილოგრ. მარტში—საკარამელო საამქროში—25.604 კილოგრ., შოკოლადის დამამზადებელში—875 კილოგრ. და საკანფეტოში—2.397 კილოგრ.

თუმცა პროდუქციის თვითღირებულება გადიდებულია უკანასკნელ ხანებში, მაგრამ ეს აიხსნება არა შრომის ინტენსივობის შემცირებით, არამედ ნედლი მასალის გადიდებით. საგრძნობლად შემცირებულია აგრეთვე სამუშაო დროის გაცდენა. იანვარში გაცდენილი იყო 8,5 დღე, თებერვალში—4 დღე და მარტში კი 3,5 დღე.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ხუთეული, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინეთ იყო ჩამოყალიბებული, **სრულ უმოქმედობას იჩენს.** სუსტია აგრეთვე ქარხკომის მონაწილეობაც საწარმოო საქმიანობაში. იანვრიდან დღემდე მოწვეულია საწარმოო გაერთიანებული თათბირის სხდომა სამჯერ და საამქროს საწარმოო თათბირის სხდომა კი ერთჯერ კედლის გაზეთი დამაკმაყოფილებლათ აშუქებს საწარმოო ცხოვრებას.

ფ.

მუშათა ფართო უპარტიო კონფერენციები

ქალაქის რაიონის მუშათა კონფერენცია

კონფერენციის მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბერაძემ, ბუიანოვმა, ჯანიბეგაშვილმა, ტუგაშვილმა, ვართანოვმა, ბურჭულაძემ, აკოპოვმა, ბერძენიშვილმა, არსენოვმა, სირაძემ, ჯიბლაძემ, ლომაძემ და მელაძემ.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ დღემდე ხელისუფლების და მუშათა კლასის მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო ომისა და რევოლიუციის დროს დაცემულ მრეწველობის აღდგენაზე. ეს მიზანი ამჟამად უკვე მიღწეულია, ამიტომ ჩვენი ყურადღების ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის ბაზისის განმტკიცებაზე. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპის გაძლიერებას, რომ ადგილობრივ შევქმნათ ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები და უზრუნველვყოთ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს უაღრესად დიდ ხარჯებს, რომლებიც არ შეიძლება დაფარული იქნეს მარტო სახელმწიფო საშუალებებიდან; ვინაიდან შეუძლებელია საზღვარგარეთ სესხების მიღება, ხელისუფლება იძულებულია მიმართოს შინაურ სესხს. საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა გულმხურვალეთ გამოეხმაურა მთავრობის ასეთ ნაბიჯს და სახელმწიფო სესხების რეალიზაცია ჩატარებული იქნა დიდი წარმატებით.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს თანხების ხანგრძლივ დაბანდებას. ამჟამად კი შემჩნეულია, რომ ობლიგაციების მეპატრონეთა ნაწილი ცდილობს ობლიგაციების გაყიდვას, უკან იბრუნებს სახელმწიფოსათვის მიცემულ სესხს და ამრიგად აფერხებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით მსვლელობას. საჭიროა მუშა-მოსამსახურეებმა შეიგნონ სესხის დიდი დანიშნულება და ერიდონ ობლიგაციის გაყიდვას.

აღნიშნული იყო, რომ ჩვენი წარმოებების ზოგიერთი მუშები სათანადო შეგნებით ვერ ეპყრობიან თავის მოვალეობას. წარმოებებში ხშირად ადგილი აქვს ავადმყოფობის სიმულიაციას, ლოთობას, სამუშაოს გაცდენას და სხვ. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სერიოზული ყურადღება და მიღებული იქნეს ზომები ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. გ. მგალობლიშვილის საბოლოო სიტყვა.

მოხსენების გარშემო მიღებული იქნა რეზოლიუციის პროექტი, რომელიც დასამუშავებლად გადაეცა პრეზიდიუმს.

დღეს, საღამოს მოსმენილი იქნება შრომის კომისრის მოადგილის ამხ. ათოევის მოხსენება შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ.

26 კომუნარის სახელობის რაიონის მუშათა კონფერენცია

გუშინდელ საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **შახსუვაროვის** მოხსენება შრომის დისციპლინის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე, არის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში ჩვენ ხელს გვიშლის სამუშაო დროის დაუტვირთაობა, ნედლი მასალით წარმოებების არ დაკმაყოფილება თავის დროზე და სუსტი საწარმოვო დისციპლინა. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის როგორც სამეურნეო ორგანოებს, ისე მუშებსაც. ამის შედეგია შრომის ნაყოფიერების დაცემა და პროდუქციის თვითღირებულების ზრდა.. შეიძლება აუარებელი ფაქტების მოყვანა იმის დასასურათებლად, თუ როგორ დაბალ დონეზე სდგას კიდევ შრომის დისციპლინა ჩვენს წარმოებებში, მარტო საქართველოში, სადაც 16.000 მუშა ითვლება, ერთი წლის განმავლობაში მუშების მიერ უმიზეზოდ სამუშაოს გაცდენის გამო მრეწველობას დააკლდა 400.000 მანეთი. ამიტომ მუშების მთავარ ამოცანას შეადგენს ამ ნაკლის კოლექტიურად აღმოფხვრა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ენუქიძემ, მოსესოვმა, სარაჯევმა, მოგილკამ, ჩალაკიანმა, ვოროშილოვმა, სიხარულიძემ, ნოსოვმა, მალხაზოვმა, ზაგრებინმა, აბრამიანმა, კოფცოვმა, ლაპკოვსკაიამ, აბრამიანცმა, ბალაკტინმა და სხვ.

ორატორები უმთავრესად აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი მუშები დაუდევრად ეპყრობიან დაზგებს, ეწევიან სიმულიაციას, ხულიგნობას და ლოთობას, ამავე დროს ადმინისტრაციის დაუდევრობითაც ხშირად წარმოებებში ადგილი აქვს მუშაობის გაცდენას. ხშირია შემთხვევა, როცა ადმინისტრაცია კაპეიკების გამო კონფლიქტებს ქმნის და შემდეგ ეს წარმოებას ასეული და ათასეული მანეთები უჯდება და სხვ.

ამხ. შახსუვაროვის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

ამით დასრულდა კონფერენციის მუშაობა.

ლენინის რაიონის მუშათა კონფერენცია

გუშინ, საღამოს, კონფერენციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. იაშვილის მოხსენება შრომის დისციპლინის შესახებ.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, — ამბობს მომხსენებელი,— დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ხელს შეუწყობთ და განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას წარმოება - დაწესებულებებში. ყოველი მუშა უნდა ცდილობდეს, რომ ნაკლები შრომის დახარჯვით მეტი ღირებულება შექმნას. შრომის დისციპლინის განმტკიცებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით და თვითღირებულების შემცირებით ხელი უნდა შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებას. შრომის დისციპლინის საქმე, რომ არ არის თავის სიმაღლეზე ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში, ამას ამტკიცებს მრავალი ფაქტები. უმეტეს შემთხვევებში სამუშაოს გაცდენა ხდება კვირა-უქმე დღეების შემდეგ. მაგალითად, ტყავის ქარხანაში 2 იანვარს სამუშაოზე არ გამოცხადდა მუშების 24 პროცენტი. რკინის-გზის მთავარ სახელოსნოში მუშების მეტი ნაწილი სამუშაოზე თითქმის ყოველთვის აგვიანებს 10—15 წუთს, სამუშაოს დამთავრებისას საყვირის მიცემამდე მუშაობაზე ხელს იღებენ 5—10 წუთით ადრე, ასე რომ, დღეში თვითეული მუშა აცდენს 20—30 წუთს. თუ ამ გაცდენილ დროს შევაჯამებთ ერთი წლის განმავლობაში, დავინახავთ, რომ სოციალისტურ მშენებლობას უდიდეს ზარალს ვაყენებთ. ხშირად სამუშაო საათებს აცდენენ უმთავრესად მაღალი კვალიფიკაციის მუშები, რომლებსაც არ ეშინიათ უმუშევრად დარჩენისა. ზოგიერთ ქარხნებში არა აქვთ საყვირი და საათი ასეთ ადგილებში მუშამ არ იცის მუშაობის დაწყების ან დამთავრების დრო. ასეთ შემთხვევაში სამუშაო საათების გაცდენა ხდება მუშის თვისდაუნებლიეთ. ადმინისტრაციის მიერ ზოგან არ ეძლევა თავის დროზე ხელფასი მუშებს. მუშას უხდება ხელფასის მისაღებად რიგში ჩადგომა. ეს კი იწვევს სამუშაო საათების გაცდენას.

შრომის დისციპლინის დარღვევას ადგილი აქვს დაწესებულებებშიაც. მაგალითად, ამიერ-კავკასიის რკინის-გზის გამგეობაში ყოველდღიურად 125 კაცი იგვიანებს 10—15 წუთით. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატში 125 მოსამსახურიდან იგვიანებს 54 კაცი. შემჩნეულია, რომ უმთავრესად იგვიანებენ მაღალი თანამდებობის პირები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჯავახიშვილმა, ტორიკაშვილმა, მარჩუკმა, თავშვაძემ, ნაზარბეგოვმა, იუნანოვმა, დოლიძემ, ვარლამოვმა, პარემუზოვმა, ჩიხლაძემ, ხეთაგურმა, გრუშჩენკომ, მარიამიძემ, პოზდეევმა, გუდავაძემ და სხვ.

კამათში გამოსული მუშები უმთავრესად აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ სამუშაო საათების გაცდენის მთავარი მიზეზი არის, რომ ადმინისტრაცია მუშებს დროზე არ აძლევს სამუშაოს, რის გამოც მუშა სამუშაო საათებში არ იტვირთება. შრომის დისციპლინის დაცემას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ მუშების საკმაო ნაწილს კავშირი აქვს სოფელთან. საერთოდ კამათში გამოსული მუშები საჭიროდ სთვლიდნენ, რომ მიღებული იქნეს ყოველგვარი ღონისძიება შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვებისა და რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

1929 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხი

15 აპრილიდან მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო 1929 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხის რეალიზაცია.

სესხი გამოშვებულია ორმოცდაათი მილიონი მანეთის რაოდენობით, ათი წლის ვადით, იგი უპროცენტოა.

სესხის ობლიგაციები ორგვარია: —100 მანეთიანი და 50 მანეთიანი.

ათი წლის განმავლობაში გაიმართება 40 ტირაჟი, ესე იგი (ყოველ წელს ოთხი ტირაჟი) მოგებათა პირველი ტირაჟი მოხდება ამა წლის 30 ივნისს, მეორე—16 სექტემბერს, მესამე — 15 დეკემბერს. შემდეგი ტირაჟები გაიმართება ყოველ სამ თვეში.

რაიმე შეღავათები სესხის გასაღებაში დაწესებული არ არის და ობლიგაციები იყიდება ნაღდ ანგარიშზე.

40 ტირაჟში გათამაშებული იქნება 224.000 მოგება — 42.124.000 მანეთის რაოდენობით.

თითოეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება შემდეგი დიდი მოგებები: ერთი — 100.000 მანეთიანი, ერთი— 50.000 მანეთიანი, ორი—25.000 მანეთიანი, ხუთი —10.000 მანეთიანი, ათი—5.000 მანეთიანი, ორმოცდაათი — 1.000 მანეთიანი.

თითოეული ტირაჟის ჩატარების შემდეგ, მოგების შანსები ობლიგაციების მქონებელთათვის უფრო დიდდება, რადგან მოგებათა რაოდენობა უცვლელი რჩება, ობლიგაციების რიცხვი კი, მათი ტირაჟში სვლის გამო, მცირდება.

ობლიგაციების შეძენა შეიძლება ყველა ბანკებში, შემნახველ სალაროებში და საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებებში.

15-დან 24 აპრილამდე 100 მანეთიანი ობლიგაცია იყიდება — 98 მანეთად, ხოლო 50 მანეთიანი — 49 მანეთად. შემდეგ ფასები იმატებს.

წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა სესხის რეალიზაციისათვის საქართველოში უკვე ჩატარებულია. საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატმა ყველა საფინანსო ორგანოებს თავის დროზე მისცა საჭირო ახსნა-განმარტებები სესხის გასაღების შესახებ და ამჟამად სწარმოებს ობლიგაციების გაყიდვა.

როგორც ფინსახკომში მიღებულ ცნობებიდან ირკვევა, სესხი დიდ ინტერესს იწვევს და მისი გასაღება წარმატებით მიმდინარეობს.

ფლორიდინის ქარხანა

სამთო მრეწველობის ტრესტმა დაასრულა ფლორიდინის გადასამუშავებელი საცდელი ქარხნის აგება და მოწყობა. ქარხანა უკვე შეუდგა ფლორიდინის მადნის გადამუშავებას.

ამავე დროს გუმბრის ფლორიდინის ყველა თვისებათა გამოსარკვევათ სწარმოებს ლაბორატორული ცდები, რომელთაც ხელმძღვანელობს პროფ. ა. თვალჭრელიძე. დღემდე გუმბრის ფლორიდინის გამოსაცდელათ მოახდინეს 650 ანალიზი.

ლაბორატორული ცდების დროს გამოირკვა, რომ გუმბრის ფლორიდინი ნავთის პროდუქტების საწმენდათ უფრო უკეთესია, ვიდრე ამერიკიდან შემოტანილი ფლორიდინი. ნავთის, ბენზინის და მაზუთის გაწმენდის დროს ისარგებლეს ამერიკული და გუმბრის ფლორიდინის ერთი და იგივე რაოდენობით. წმენდის პროცესი უფრო ადრე დამთავრდა გუმბრის ფლორიდინით, ვიდრე

ლითონის ნატეხების შეგროვება

ლითონის ნატეხების შეგროვების გეგმის მიხედვით, მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში ამიერ - კავკასიაში და შუა აზიაში შეგროვილი უნდა იქნეს 68.065 ტონა ნატეხები. პირველი ექვსი თვის განმავლობაში შეგროვილი უნდა ყოფილიყო 32.699 ტონა, ნამდვილად კი შეგროვილია 26.000 ტონა, ე. ი. მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 21 პროც. დანაკლისით.

გეგმის შეუსრულებლობის მიზეზია, უმთავრესად, ლითონის ნატეხების სუსტად ჩაბარება „აზნავთი"-ს მიერ შმიდტის სახელობის ქარხნიდან. „აზნავთი"-ს ყველა წარმოებებს წლის პირველ ნახევარში უნდა შეეგროვებიათ 14.480 ტონა ნატეხები, ნამდვილად კი შეაგროვეს მხოლოდ 11.600 ტონა.

გეგმის შეუსრულებლობის მეორე მიზეზია ის, რომ კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ დააგვიანა იმ გემების ჩაბარება, რომლებიც შეძენილი იყო „რუდმეტალტორგ"-ის მიერ დასაშლელად. კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ 3.000 ტონით ნაკლები ნატეხები ჩააბარა.

იმ მიზნით, რომ გეგმა შეუსრულებელი არ დარჩეს წლის მეორე ნახევარშიაც, ა.-კ. სახ.კომსაბჭოსთან არსებულმა ლითონის ნატეხების შეგროვების ხელის შემწყობმა კომისიამ დაადგინა: წინადადება მისცეს ყველა წარმოებებს, რომლებიც აგვიანებენ ლითონის ნატეხების ჩაბარებას, დაუყოვნებლივ ჩააბარონ ასეთები.

ქრონიკა

ჩაის მეურნეობის გამოკვლევა ამ.-კავკასიაში

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა ჩაის საქმის გამოკვლევის გეგმა და პროგრამა. გამოკვლევა მიზნად ისახავს ჩაის საქმის მდგომარეობის და მისი შემდგომი განვითარების პირობების გამორკვევას; გამოკვლევას ჩაატარებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები მიწსახკომების, ფინსახკომების, ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკის და კოლმეურნეობათა ცენტრის მუშაკების, ღარიბთა ჯგუფების, კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის და სხვ. აქტიური მონაწილეობით. გამოკვლევის ობიექტებათ მიჩნეულია—სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი", საცდელი სადგურები, საბჭოთა მეურნეობები, ჩაის კოლექტიური მეურნეობანი, 30-დე ინდივიდუალური მეურნეობა და ჩაის ფაბრიკები.

გამოკვლევის დამთავრება განზრახულია 1-ლ ივნისისათვის.

კოოპერატიული საბინაო მშენებლობა საქართველოში

მიმდინარე საბიუჯეტო წელში კოოპერატიულ მშენებლობაზე საქართველოში დაიხარჯება 1.005.500 მანეთი, აქედან თბილისში 716.600 მანეთი. პროვინციაში კოოპერატივების მიერ აგებული იქნება 14 ახალი სახლი 360 ოთახით.

საქართველოს ბინათკავშირმა ხელშეკრულება დასდო ცენტრალურ ბინათკავშირთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომლის ძალით აღნიშნული ორგანიზაციები ვალდებული არიან საამშენებლო მასალები მიაწოდონ საბინაო საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს.

სამაზრო ადმინისტრატიული რუკები

გამოვიდა ქუთაისის და შორაპნის სამაზრო ადმინისტრატიული რუკები, შესრულებული ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის მიერ. რუკები დაბეჭდილია ფერადი საღებავებით.

თბ. აღმასკომში

◆ აგურის ქარხნების სამმართველოს უფროსი ამხ. ჯაფარიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ამხ. ბაირამოვი.

◆ მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის საზაფხულო ბანაკის ასაგებად თბ. აღმასკომმა გადასდო 9.877 მან.

◆ **ნატახტარის წყალსადენი.** თბ. აღმასკომის ცნობით, ნატახტარის წყალსადენის გამოსაყვანათ ძირითადი სამუშაოები უკვე დაიწყო. წყალსადენის აგება დამთავრდება 1931 წელს.

ექსკურსიები

◆ 1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეოთხე 9 წლედის და მეათე 10 წლედის უფროსი ჯგუფის მოწაფეები აწყობენ ექსკურსიას ბათომსა და ბაქოში.

◆ გეოგრაფიული საზ-ბა კვირას, 28 აპრილს სოფ. შინდისში აწყობს ექსკურსიას. შეკრება დილის 9 საათზე თავისუფლების მოედანზე.

ჯანმრთ. კომისარიატში

◆ **მომთაბარეთათვის საექიმო დახმარების** გასაწევად ჯანმრთ. კომისარიატმა ბორჩალოს, ახალციხესა და ახალქალაქის მაზრებში გააგზავნა საექიმო რაზმები.

◆ **კბილის საექიმო კაბინეტები.** ჯანსახკომმა დაადგინა მოზრდილ თემებში არსებულ საექიმო პუნქტებთან მოაწყოს კბილის საექიმო კაბინეტები.

სხვადასხვა

◆ **ქარხკომების გადარჩევა.** პროფსაბჭოს დადგენილებით 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე ჩატარებული იქნება ქარხკომების გადარჩევა.

◆ **კენაფის მეურნეებისათვის** სესხად დასარიგებლად საქ. სას.-სამეურნეო ბანკმა გადასდო 3.000 მან.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 28 აპრილს, დილის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საერთო კრება. დღის წესრიგშია: 1) აბჰესში ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების—მ. კასრაძის და კ. ჩხეიძის ხსოვნის აღნიშვნა. 2) ინჟ. თუმანიშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის ელექტროფიკაცია". 3) მიმდინარე საკითხები. შესვლა თავისუფალია.

— **ორშაბათს, 29 აპრილს, სახელმწიფო პოლიტეხნიკური** ინსტიტუტის შენობაში ინჟ. გ. კოჩინაშვილი მოხსენებას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „როგორი უნდა იყოს ჩვენი საგზაო მშენებლობა მომავალი 10 წლის განმავლობაში". შესვლა თავისუფალია. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

—**შაბათს, 27 აპრილს, სახ. უნივერსიტეტის** კლუბში გაიმართება ანტირელიგიური საღამო შემდეგ თემაზე: „მეცნიერება და რელიგია". შესავალ მოხსენებას გააკეთებს პრ. კ. კეკელიძე. მონაწილეობას მიიღებენ: პრ. შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ლექტორები—მ. გოგიბერიძე და კ. ბაქრაძე. დასასრულ—აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ურიელ აკოსტა".** დღეს ქუთაის-ბათომის თეატრის მიერ ოპერის თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება „ურიელ აკოსტა". მთავარ როლში უ. ჩხეიძე.

◆ **„ღვარძლი".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი".

— **დღეს სახ. კონსერვატორიის დარბაზში** გაიმართება პროფეს. ა. ი. თულაშვილის კლასის კონცერტი.

აფხაზეთში

ნაპირების გამაგრება სუსტად მიმდინარეობს

სოხუმი, 26 აპრილი. ამინდის ათბობასთან დაკავშირებით წყლის დონემ კოდორში საგრძნობათ იმატა. 24 აპრილს წყალმა დაჰფარა ორი ჯებირი, რომლებიც ახლა შენდება. მუშაობა მდინარის მარჯვენა ნაპირის გასამაგრებლად სუსტად მიმდინარეობს, რის გამო 7 ახალი ჯებირის აგების გეგმა 1-ლი აპრილისათვის შესრულებული არ იქნა.

23 აპრილისათვის აგებულია მხოლოდ 3 ჯებირი, ორი კიდევ ახლო ხანში იქნება დასრულებული (ადს).

სოხუმის დაწესებულებების გამოკვლევა

სოხუმი, 26 აპრილი. ამ რამდენიმე ხნის წინად მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა სოხუმის 30-დე დაწესებულების სახელდახელო გამოკვლევა. მსუბუქმა კავალერიამ, რომელიც გამოკვლევას ახდენდა, აღმოაჩინა, რომ შრომის დისციპლინა დაწესებულებების უმრავლესობაში ძლიერ მოიკოჭლებს. არ იყო არც ერთი დაწესებულება, სადაც თანამშრომლებს არ დაეგვიანებია.

გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ფინსახკომში 9 საათის შემდეგ სამუშაოზე არ აღმოჩნდა 8 კაცი, აღმასკომში დროზე არ გამოცხადდა 17 კაცი—ყველა თანამშრომელთა 25 პროც., სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში 17 კაციდან დაიგვიანა 6 და სხვ.

სას.-სამ. გადასახადის აკრეფა

სოხუმი, 26 აპრილი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა სუსტად მიმდინარეობს. 15 აპრილისათვის მთელ აფხაზეთში შეკრებილია 203.095 მანეთი ანუ 83 პროცენტი (ადს).

დახვრეტა ბანდიტს

სოხუმი, 26 აპრილი. აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა ცნობილ ბანდიტ ხუხიას, ხელმძღვანელს ბანდისას, რომელიც მთელ რიგ წლების განმავლობაში თავდასხმებს აწყობდა აფხაზეთის სოფლებზე, განაჩენი სისრულეშია მოყვანილი (ადს).

სამუშაო დროის მფლანგველები

სოხუმი, 26 აპრილი. ლენინის სახელობის ტიპო-ლიტოგრაფიაში სამუშაო დროის გაცდენის შემთხვევები თვიდან-თვემდე იზრდება: ოქტომბერში არასაპატიო მიზეზით მუშებმა გააცდინეს ერთი დღე, ნოემბერში—მთელი კვირა, დეკემბერში გაცდენილ დღეების რიცხვი 9-დე ავიდა, იანვარში—13, მარტში—16. ამ გარემოების უმთავრესი მიზეზია—ადმინისტრაციის რბილი დამოკიდებულება სამუშაო დღეების გამცდენელთა მიმართ. კავშირმა წინადადება მისცა ადმინისტრაციას მიიღოს ენერგიული ზომები შრომის დისციპლინის დასაცავად (ადს).

სასამართლო

ქიმიური ფანქარი პურში

დაპატიმრებულნი არიან მუშკოოპის № 311 თორნის მეთორნეები ილია იოსების ძე ომიაძე და შალვა ბაგრატის ძე ტაბუცაძე.

დასახელებულ თორნიდან შეძენილ პურში მოქ. ფირცხალაიშვილმა 7 აპრილს აღმოაჩინა ქიმიური ფანქრის ნამტვრევები.

მეთორნეებს გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო. გამოძიებით დადასტურდა, რომ პურის საცხობში არ იყო დაცული სავალდებულო სანიტარული პირობები, პურის მოზელას არ უწევდნენ ზედამხედველობას პასუხისმგებელი მეთორნეები.

ადგილკომის თავმჯდომარე სასტიკად დაისჯება

(საჩვენებელი პროცესი)

დღეს, საღამოს 5 საათზე, ნავთლუღში ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბში დაიწყება ნავთლუღის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის თავმჯდომარის ალექსანდრე პავლეს ძე ყაზახიშვილის საჩვენებელი საჯარო გასამართლება.

როგორც ვსწერდით, ალექსანდრე ყაზახიშვილმა პირადი კეთილდღეობის წყაროდ გაიხადა ადგილკომის სალარო და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუდამ ავლებდა პროცენტულ ანარიცხებს, ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების ანგარიშში შემოსულ თანხებს.

ყაზახიშვილი ადგილკომში არ აჩაჩნებდა სარევიზიო კომისიას, რადგან „პრინციპიალურად" წინააღმდეგი იყო ყოველგვარი რევიზიის, რომელსაც, მისი სიტყვით, მხოლოდ არევ-დარევა შეაქვს ყოველდღიურ მუშაობაში (!).

ყაზახიშვილს გაფლანგული აქვს 3.600 მანეთი. მისი საჯარო გასამართლება ხდება ნავთლუღის მუშების მოთხოვნით. მუშების ფულის გამფლანგველი სასტიკ სასჯელს მიიღებს.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ვ. ბურკაძე.

„ინფორპუნქტის აგენტი"

— ჩემო მეგობარო, მე განა გიღალატებ! მე ვარ ინფორპუნქტის აგენტი და დავალებული მაქვს განზრახ მოვაწყო თავდასხმები გაძარცვის მიზნით... ამით დავიახლოვებ ყაჩაღებს, ბოროტმოქმედ პირებს და შემდეგ სულ ყველას დავაპატიმრებთ,—ასე შეუჩნდა კომკავშირელი გიორგი იოსების ძე პაპაშვილი თავის მეგობარს იოსებ ვასილის ძე დანელაშვილს, რადგან უნდოდა მისი დათანხმება თავდასხმაში მონაწილეობის მიღებაზე.

— კი მაგრამ, რომ დამაპატიმრონ და მიმახვრიტონ ყაჩაღობისათვის?!—შეყოყმანდა დანელაშვილი.

— ფიქრი ნუ გაქვს. ყოველგვარი პასუხისმგებლობა ჩემზე იყოს. ვინ დაგაპატიმრებს... მე სხვას ვაპატიმრებ, აკი გითხარი აგენტი ვარ მეთქი...

პაპაშვილმა შეატყო ამხანაგს, რომ ის ძლიერ ყოყმანობდა. წაიყვანა რესტორანში, დაათრო და როგორც იქნა საბოლოოდ დაითანხმა თანამონაწილეობაზე, შეაიარაღა და თან წაიყვანა „საიდუმლო დავალების" შესასრულებლად.

პაპაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა პირველად გაეძარცვა გლეხი ჩაფიძე, რომელსაც მის მიერ მიღებულ ცნობით ქირნახულში აღებული ფული ჰქონდა შემონახული.

ამბავი ხდება სოფელ კალაურში (კახეთის მაზრა). გასული წლის 29 სექტემბერს ღამით თავდამსხმელები შეიჭრნენ ჩაფიძის ოჯახში მომარჯვებული რევოლვერებით. პაპაშვილმა დააწვინა ყველანი პირქვე, წაახურა საბნები, უბრძანა არც თვალი გაეხილათ, არც ხმა ამოეღოთ და შეუდგა ძარცვას. თავდამსხმელებმა გაიტაცეს ტანსაცმელები, სხვადასხვა საოჯახო ნივთები, ოქროს ბეჭდები, 15 მანეთი ფული და მიიმალნენ.

„ინფორპუნქტის აგენტი" გამოიცნო ჩაფიძემ და გაძარცვის შესახებ განაცხადა მილიციაში.

ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულ იქნა.

საქმე 12 აპრილს გაარჩია კახეთის სამაზრო სასამართლომ ამხ. გ. ნიკოლაიშვილის თავმჯდომარეობით.

გიორგი პაპაშვილს მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით, დანელაშვილს კი—2 წლით. უკანასკნელს სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით.

ზერ.

თბილისის მუშკოოპში

ფრინველების ბაზა

მუშკოოპის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს თბილისში მოაწყოს ფრინველების ბაზა. ბაზას ექნება საკვები განყოფილება 15.360 ფრინველისათვის. იქვე მოეწყობა ფრინველთა სამკურნალო ბარაკი, სასაკლაო, საცივარი და სხვ.

ბაზის მოსაწყობათ გადადებულია 58.263 მანეთი.

ბაზის აგება დამთავრდება მიმდინარე წლის ოქტომბერში. ამჟამად მოწყობილია დროებითი ბინა, სადაც სწარმოებს ფრინველების დაკვლა და განაწილება. კოოპერატიულ სავაჭროებს შორის.

რკინის გზეზე

ვაგონების აღწერა

საქონლის ვაგონების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 10 მაისს, დილის 9 საათზე ა.-კ. რკინის გზაზე ჩატარებული იქნება ვაგონების აღწერა.

სამტრედიის საცივარის ელექტროფიკაცია

სამტრედიის რკინის გზის ელსადგურში დაიდგა ახალი ას ძალიანი მოტორი, რომელიც ელექტრონის ენერგიას მიაწვდის სამტრედიაში ახლად აშენებულ საცივარს.

ნავთლუღის წყალსაქაჩის ელექტროფიკაცია

ა.-კ. რკინის გზის ელექტრო-ტეხნიკურმა განყოფილებამ ნავთლუღის წყალსაქაჩ სადგურში დაამთავრა საელექტროფიკაციო სამუშაოები. სადგური მთლიანად ელექტროფიკაციაქმნილია.

მალარიასთან ბრძოლა

ა.-კ. რკინის გზაზე შემჩნეულია მალარიასთან ბრძოლის წესების დარღვევის შემთხვევები. მიაქცია რა ყურადღება ამ გარემოებას, გზის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა განყოფილებების უფროსებს მიიღონ ზომები მალარიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა გადაუხრელად გატარებისათვის.

მალარიასთან ბრძოლის წესების დამრღვევსათვის დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

შემთხვევები

აცილებული უბედურება

გუშინ დღისით თავისუფლების მოედანზე ტრამვაის ვაგონ ქვეშ მოჰყვა საბირ გუსეინის ძე მამედოვი (3 წლისა), რომელიც ქუჩაზე გადადიოდა. ვატმანმა—ივანე იოსების ძე მაზნიაშვილმა ვაგონი დროზე გააჩერა და ამრიგად ბავშვი უვნებლად გადარჩა.

„ზაკსელსოიუზის" საწყობის მქურდავთა დაპატიმრება

ა. წ. 29 მარტს გაქურდეს „ზაკსელსოიუზის"—ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირის საწყობი (19 თებერვლის ქ.), წაიღეს 1800 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ნაქურდალი იარაღების ნაწილი აღმოჩენილია.

ხულიგნების დაპატიმრება

ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დააპატიმრა: ორი კვირით—ანტონ იოსების ძე საკაძე, სერგო სერგოს ძე ჯანგულოვი, ნადია ივანეს ასული გლადიშევა, ერთი თვით—გიორგი ბაგრატის ძე ბერიშვილი (იგივე ტორონოვი), მესროფ გრიგოლის ძე მატინოვი; ორი თვით—ნიკოლოზ სოლომონის ძე ჩოჩიელი და ათი დღით—შაქრო ალექსანდრეს ძე იმხანაშვილი.

ქურდების შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა ნატალია გრიგოლის ასული ტაგოევა, ივანე მიხეილის ძე ვარაზოვი, ამაიაკ ალექსანდრეს ძე მურადოვი, ერვანდ მიხეილის ძე სურინოვი, მამუდოვ იარალად-ოღლი (უბინაო) და პირ ანასტასის ძე კალიბრაზი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა.

ქურდობა

გაქურდეს ნიკოლოზ მორბედაძის ბინა (ზესიკის ქ. № 1), წაიღეს 80 მანეთის ნივთები;—გიორგი იაშვილს (მცხ. გერმანელთა ქ. № 75) ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 67 მანეთი;—ზინაიდა ოვატკოვს ბინიდან (ორჯონიკიძის ქ. № 40) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები;—ანასტასია ვასილევას ვიღაც ბოროტმოქმედმა მუშკოოპის მაღაზიაში (საბაჟოს ქ.) ხელიდან გამოსტაცა რედიკული ფულით.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 27 აპრილი

დღეს რადიო-გადამცემი სექტორი, თბილისის რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 5 საათიდან—ოქტომბრელის საათი, ქართულ ენაზე; საუბარი ციკლიდან—„სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის", ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საგლეხო კონცერტი; თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის კონფერენციის ტრანსლიაცია—გადაცემული იქნება ამხ. ალაფუზოს მოხსენება: „თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო საქმიანობა"; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი. კომკავშირელების რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; პოპულიარული მუსიკა; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

დღეს, 27 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ტაჩიკ თარჯიმანიანი, სევასტი კალანდაძე, ილარიონ ხარბედია, ანა ზურაბიშვილი, ვლადიმერ ჯალაღანია, თამარ ელისაბედაშვილი, ოლღა გივიაშვილი, მიხეილ გულიევი, ილარიონ კალანდარაშვილი, ნიკოლოზ გედევანიშვილი, ივანე ჩქარეული, ალექსანდრე ურგებაძე, გიორგი ხითაროვი, კაზიმირ ისტრიჟევსკი, ვასილ ოვჩაროვი, ალექსანდრე ნაუმენკო, ნინო ტერ-ოგანეზოვა, გრიგოლ ჯანელიძე, ვერა ზესელია, ელენე თათარიშვილი, პეტრე ტიმოფეევი, არტემ შავერდოვი, ოლღა კიკნაძე, ნინო თევდორაძე, ბაირამოვი, ვასილ მაისურაძე.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: გალუსტ დანიელიანცი, სტეფანე მინასიანცი, მიხეილ ბაზინოვი, გიორგი აზოტოვი, ფრანც გვინჩი, ორენ შარდინაროვი, მარტიროს ოგანეზოვი, მერაბამიან გიორგი, მოსეს მოსესოვი, არუთინ იახშიევი, თამარ წითლიძე, ვარდო ტატიანი, ნინო იარალოვა, ანა იარალოვა, შუშანა ნიაზოვა, ალისა სავოჩკინა, ვარსენიკ შერეშოვა, არამ ხაჩატუროვი, ანა მელქუმოვა, სუმბატ მელიქ-ოგანეზოვი.

საგარანტიო სექციიდან: დიმიტრი კალანდაძე, დავიდ იზრაელაშვილი, ელიზბარ ოგანეზოვი, ანგელინა ლებედევა, ლევან ონანოვი, პლატონ ფოფხაძე, ბენიამინ ბრეგაძე, სტეფანე კაპრელიანი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი.

მედსექციიდან: ტერ-ოგანეზოვა, კამაროვა, გარდა ამისა სექციას სჭირდება ორი ექიმი—თერაპევტი აფხაზეთში გასაგზავნათ.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სოციალისტური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური მნიშვნელობის ყველა უწყებას:

ა) მიიღოს სათანადო ღონისძიება სოციალური დაზღვევის გადასახადის იმ ვალის გადასახდელად, რაც მასზე ან მის ქვემდებარე სამეურნეო ორგანოზე ამა დადგენილების გამოცემის დროისათვის ირიცხება, ისე რომ აღნიშნული დავალიანება დაფარულ იქნეს არა უგვიანეს სამი თვის ვადისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან;

ბ) დააწესოს სოციალურ დაზღვევის ორგანოებთან ერთად, „ა" პუნქტში აღნიშნული პერიოდის ფარგალში, ზედმიწევნითი ვადები სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვისა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვალის გადახდამ არ უნდა დააბრკოლოს სოციალური დაზღვევის მიმდინარე გადასახადის თავის დროზე შეტანა

3. მეთვალყურეობის გაწევა უწყებათა მიერ ამა დადგენილების ასრულებისათვის—დაეკისროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

5. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოარკვიოს საბიუჯეტო დაწესებულებათა სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანება და შეიმუშაოს საკითხი, თუ რა გზით უნდა იქნეს დაფარული ეს დავალიანება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. აპრილის 2
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ლომთათიძეს (საქ. ფინსახკომი), არამ-ოღლის და სუსლოვს (ა.-კ. სტატისტიკური სამმართველო), გიგინეიშვილს, გაბისონიას, ჩალიანს (ა.-კ. კომ. უნივერსიტეტი), ხომერიკს (არმია) და პონომარენკოს (პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), როგორც რაიკომის მიერ სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პოლიტწრეების გამოშვებაზე მიმაგრებულებს, კვირას, 28 აპრილს, დილის 9 ნახევარ საათზე გამოცხადდნენ მეორე შრომის სკოლის შენობაში (კამოს ქ. № 52) ამხ. მელუასთან.

დღეს, 27 აპრილს, საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. პირველი უჯრედის კრება, რასაც აუცილებლად უნდა დაესწრონ უჯრედის წევრები და კანდიდატები.

საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პარტკოლექტივისა და ა. ლ. კ. კოლექტივის ბიუროები იუწყებიან, რომ კვირას, 28 აპრილს, დილის 10 საათზე დანიშნულია ყველა სახის პოლიტიკური და საგნობრივი წრეების გამოშვება. ამის გამო წრეების ყველა მსმენელებს და ხელმძღვანელებს ევალებათ გამოცხადდნენ დაუგვიანებლად მათი მეცადინეობის ადგილზე (სანაპირო ქ. № 17—მეშვიდე შრომის სკოლა და კამოს ქ. № 52—მეორე შრომის სკოლა).

დღეს, 27 აპრილს 11 საათზე ც. კ.-ს აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება რადიო-კომისიის სხდომა, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მაშკევიჩი, (პროფსაბჭო) კვანტალიანი (ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატი), მიქაძე (პროფსაბჭოს კულტგანყოფილება) სტურუა (რადიო სამმართველო) და ბედია (თბ. კომ.).

დღეს, საღამოს 5 საათზე, შესდგება სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. პირველი უჯრედის ბიუროს სხდომა. გარდა ბიუროს წევრებისა და კანდიდატებისა, სხდომას შეუძლიათ დაესწრონ დაინტერესებული ამხანაგებიც. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: ლ. არჩვაძე, ერ. ახობაძე, გრ. კაპანაძე, კანდელაკი, კავკასიძე, ჯანჯღავა და ი. ბოძაშვილი.

დღეს, დღის 12 საათისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იწვევს საორგანიზაციო თათბირს, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ უჯრედების პასუხისმგებელი და ტეხნიკური მდივნები.

თათბირზე მოწვეული არიან აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: დ. თავდიშვილი, ზაქარიაძე, ნ. მურღულია, რ. არუთინოვი, ალ. ყუფარაძე, ლ. სტურუა, ა. კიკვაძე და ს. ნარიკაშვილი.

მშობლები მატრონე და სიმონი, შვილი ალიოშა, დები: აგრა, ვალია და თამარა იუწყებიან, რომ

კატუშა ნაზაროვას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ქ. ფოთში. 1565

საქ. მიწსახკომის კომუჯრედი და ადგილკომი იუწყება, რომ 23 აპრილს, გარდაიცვალა მანავის საბჭოთა მამულის გამგე, ძველი პარტიის წევრი

ვასო ზუხნიკაშვილი

გამოსვენება 27 აპრილს, 3 საათზე, ბინიდან—ტატიანის ქ. № 1. 1560

თელასის კომუჯრედი და მუშა-მოსამსახურეების ადგილკომი აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 აპრილს, 1929 წ. მოულოდნელათ გარდაიცვალა ჩვენი ყოფილი თანამშრომელი

ამხ. ვასილ გიორგის-ძე ზუხნიკაშვილი

გამოსვენება 27 აპრილს, დღის 3 საათზე—საკუთარ ბინიდან—ტატიანის ქ. № 1. 1564

საბჭოთა მეურნეობების ტრესტი აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 აპრილს გარდაიცვალა მანავის მეურნეობის გამგე

ამხ. ვასილ გიორგის-ძე ზუხნიკაშვილი

დაკრძალვა—27 აპრილს, 3 საათზე, ვერის სასაფლაოზე; გამოსვენება ბინიდან, ტატიანის ქ. № 1. ნ. 2605

მე-19 შრ. სკოლის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეობა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ამავე სკოლის იშვიათი ენერგიით დაჯილდოვებულ მოწაფის

ვერა (ცაციკო) კოზაშვილის

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან (მარტყოფის შესახვევი № 24), 3 საათზე შაბათს 27 აპრილს. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა. 1566

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მაკრინე; შვილები: შალვა, პროკოფი, გრიშა, ქსენია, სოლომონიდა, ლიუბა; რძლები: ნინა, ბუცა, ნინუცა; სიძეები: კაპიტონ ჩხიკვაძე, შერმანდი ცინცაძე, პანტელიმონ რამიშვილი იუწყებიან, რომ 26 აპრილს, გარდაიცვალა დაუვიწყარი

ამბაკო თანიას-ძე მეგრელიშვილი

გამოსვენება 27 აპრილს, 4 ნახ. საათზე. ბინიდან გორის ქ. № 6. სადგურში. დასაფლავება ჩოხატაურში 30 აპრილს. 1558 2—1

ამხანაგები: ე. გაბუნია, ნ. სულიკაშვილი, ვ. გუნია, შალიკაშვილი, ბ. ჩხარტიშვილი, ლ. ჩხიკვიშვილი, მ. ცინცაძე, გ. ფანცულაია, ი. კუჭუხიძე, ს. ბოლქვაძე, ნ. ჯიბუტი, ი. ფირცხალავა, ალ. შჩეტინინი, მესტვირეშვილი, ი. ესაკია, რ. კვიცინაძე, რ. ფირცხელაური, ი. მახარაძე, ნაროუშვილი, ა. სტეფანოვი, პ. ანციშკინი და კ. მაჭარაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ამხ. პრ. მეგრელიშვილის მამის

ამბაკო მეგრელიშვილის

გარდაცვალებას. 1563

დამწუხრებულნი დები: თებრო და კეკე ქმარშვილით და ძმისშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარ

ევგენი გვარამაძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 28 აპრილს, 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1554

თავზარდაცემული მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასული და შვილები: თამარა და ბიჰიკო (ვლადიმერი) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ და საყვარელ

ვლადიმერ ივანეს-ძე ლაშხაურის

მოულოდნელად გარდაცვალებას 25 აპრილს. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, უნივერსიტეტის ქუჩა (ვაკე) № 19 ვეტ. ბაქ. ლაბორატორია. 1544 3—2

მარიამ საყვარელიძე; დარია და ვლადიმერ ყანჩაველები, სოფიო მჭედლიშვილი; ივანე, მიხეილი, მარიამი და ნინო საყვარელიძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი სიძისა და მეგობრის

ლადო ლაშხაურის

უეცრად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე (ვაკე, უნივერსიტ. ქ. № 19, სავეტერინარო ლაბორატორიაში). დაკრძალვა კვირას, შუადღის 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1569

დამწუხრებულნი: მეუღლე ივლიტა; შვილები: მინა ოჯახობით, კონსტანტინე, ვარლამი ოჯახობით, ალექსანდრა და ნიკოლოზ ქოჩიაშვილები, ნათესავები: იოსებ გიუნაშვილი და იოსებ მამაცაშვილი ოჯახობით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

იოსებ ქოჩიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 28 აპრილს, ს. თერჯოლაში. 1555

სახ. აკ. ოპერის თეატრი
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
გასტროლები თბილისში
შაბათს, 27 აპრილს
აბონემენტის გარეშე
ურიელ აკოსტა
პიესა 11 სურათად კ. გუცკოვის თარგ. ვ. გაფრინდაშვილის
დადგმა: გ. სულიაშვილის მხატვ. პ. ოცხელი
კვირას, 28 აპრილს { დილით—კაკალ გულში
საღამოთი—ყვარყვარე თუთაბერი
ორშაბათს 29 აპრილს—კაკალ გულში
ბილეთები იყიდება
დასაწყისი სალ. 8 ნახ. საათზე

შაბათი 27 აპრილს
რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი
რაჭა-ლეჩხუმის მაზრის ბარის თემის საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება
გრანდიოზული საღამო-კონცერტი
სამი დიდი განყოფილებით
მონაწილეობას ღებულობენ სახ. ოპერის და დრამის ცნობილი მსახიობები.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში
დასაწყისი საღ. 9 საათზე
1562
მომწყობი კომისია

რუსთაველის თეატრი
დღეს, შაბათს, 27 აპრილს
ღია წარმოდგენა
საზოგადოებისათვის
„ღვარძლი"
პ. იარცევის
დრამა 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელისა ❦ კ. პატარიძის მხატვ. ნ. პელიონკინი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში
2—2 ნ. 2598

ჩვენს სამხეცეში ჩამოყვანილია
მეტად იშვიათი მხეცები
სუმატრის ვეფხები
იჩქარეთ ნახვა—სამხეცე მალე წავა
ნ. 2586 3—3

28 აპრილს, დილის 11 საათზე, სარეწაო კოოპერაციის კლუბში (პლეხანოვის პრ. 66)

დანიშნულია

ქ. თბილისის შინამრეწველ ხელოსნების საკრედიტო-კოოპერატიული ამხ-ბის რწმუნებულთა საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება 1927—28 საოპერაციო წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ და საინფორმაციო ცნობა მიმდინარე მუშაობის შესახებ,
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მოგების განაწილება,
4. ახალ წესდებაზე გადასვლისა და დიფერენციალური პაის შემოღების შესახებ,
5. 1928—29 წლის ხარჯთ-აღრიცხვა,
6. მიმდინარე საქმეები ა) აეროპლანის აგება, ბ) ქონების დაზღვევა, გ) ურთიერთ დამხმარე კასაში წევრათ შესვლის შესახებ.
7) არჩევნები: გამგეობის, სარევიზიო კომისიის, კულტკომისიის და საბჭოსი.

1448 გამგეობა

Судебный Исполн. Башкичетского Народного Суда
ИВАН СЕРГЕЕВИЧ ДЗАМОЕВ

объявляет, что им будет ПРОДАН 3-го мая с|года в сел. Арухло Эмир-Асанского теми, Люксембургского района одно здание из двух комнат размером 13×5 метров, под комнатами подвал. Означенное здание принадлежит Мамеду Молла Кара оглы и продается в удовлетворение претензии Т-ва „Бирлик", на осн. суд. пр. из Суда 2 р-на г. Тифлиса от 19 Февраля 1927 г. за № 1164. Здание оценено в три тысячи (3000) рублей, с каковой цены и начнется торг, в случае если торги не состоятся, вторые торги будут 10-го мая с. г. и начнутся с предложенной цены.

желающие торговаться, обязаны в день торгов представить 10 проц. с оценочной суммы.

1559

ნახეთ დღეს კინოებში
განთიადი
არფასტო
სოლეი
აპოლო
მინიონი
კალახი
დარბაზი
პროლეტარი
მეშვიდე თანამგზავრი
მსოფლიო ფილმი
ჩანგ
მხატვრული სურათი „მეჟრაბპომ ფილმის"
ქალაქში შესვლა არ შეიძლება
რეჟ. ჟელიაბუჟსკი
უცხოეთის მხატვრ. სურათი
დონნა ჟუანა
გრაფი მონტე-კრისტო
3 და 4 სერია
აბრეკ-ზაური ბესტაევის მონაწ.
კვირას კინო სოლეიში კინო-სეანსები დღისით
0—21

ორშაბათიდან
კინო მინიონში
მონოპოლიურად
აზიის გული
(ავღანისტანი)
„ამ ფილმში მსოფლიო პირველად ხედავს იმ ქვეყანას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაკეტილი იყო „ურწმუნო" ევროპიელებისათვის".
ნ. 2604

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის

კონტრაგენტი ქ. ზუგდიდში კონსტანტინე ხვიჩიას ძე პილასონია მოხსნილია სამუშაოდან

და მას „კომუნისტი"-ს გავრცელებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მოქ. პილასონიაზე გაცემული მოწმობები და მასთან დადებული ხელშეკრულება გაუქმებულია

0—2 „კომუნისტი"-ს გამომცემლობა

კურორტთა მთავარი სამმართველო

იწვევს დამდეგი საკურორტო სეზონისთვის სანატორიუმების მთავარ ექიმებს, ორდინატორებს, ლაბორანტებს, რენდგენოლოგებს და პოლიკლინიკის კონსულტანტებს. მსურველთ უნდა მიმართონ სათანადო განცხადებით კურორტთა მთავარ სამმართველოს 15 მაისამდე. ექიმების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით.

საშუალო და უმცროსი პერსონალი შერჩეული იქნება ადგილობრივ კურორტებზე, მზარეულები კი მთავარ სამმართველოში (თბილისი, ძნელაძის ქ. № 30).

საშუალო და უმცროს პერსონალმა განცხადებებით უნდა მიმართონ უშუალოდ ადგილობრივ სამმართველოებს. ნ. 2603

სახელმწიფო სააქციონერო საზოგადოება
„საქართველოს ნედლ-უტილი"
თბილისი, კომუნალური ქუჩა, № 44, ტელეფონი № 11—81 აცხადებს გლეხთა, მკერვალთა სახელოსნოების, საზოგადო ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებების, წარმოებების კერძო პირთა ❦ მეწვრილმანეთა საყურადღებოთ, რომ ის
იძენს, როგორც ნაღდ ფულზე, აგრეთვე საწარმოო საქონლის გადაცვლით, რაოდენობის განუსაზღვრელათ, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში, ნედლეულს, როგორიც არის:
ჩვარი: ბამბეული, ნაყარი, მატყლის, ნაქსოვი, როგორც ქარხნის ნაწარმოები აგრეთვე სოფლის, კუსტარული წესით დამზადებული ძველი მაუდი, სხვადასხვა წარმოებების ნარჩენი, ძველი სპეც ❦ სამხედრო ტანსაცმელი.
ჯემებისა და სათევზაო მოწყობილობა: კანაფის ყოველგვარი ნაჭრები, ბაწარი, უვარგისი ბადეები და ბრეზენტი.
ნაქერავის ნარჩენი ნაჭრები: შალეულობა, ბამბა ნარევი, ბამბეული და სხვადასხვა ამ გვარი ქსოვილები.
ძველი რეზინა: ავტო-ველოშინები და კამერები, ძველი კალოშები და სხვა.
მაკულატურა: არქივის ძველი ქაღალდი, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ეტიკეტები, სტამბის ქაღალდის და გაზეთების ჩამონაჭრები, საქმეების ყდები, ტელეგრაფის ლენტები და რკინის გზის ყოველგვარი გადასაყარი საბუთები.
ძვალი: ძეხვის, სასადილოსი, მინდორში ნაყარი („ცევკა" და ტრუბკა), რქა, ჩლიქი და სხვადასხვა რქის ნარჩენი.
ტყავეულობის ჩამონაჭერი და ნარჩენი: ლანჩის, იუფტის, ხრომის, შევროს, მეზდრა, საქონლის ბალანი, ტყავეულობის ამონაფხეკი და სხვა.
ზემოაღნიშნული საუტილ მასალის მიღება სწარმოებს საქართველოს, „ნედლ-უტილის" საწყობში, როგორც უშუალოდ, აგრეთვე ნაწილობრივ მომგროვებელთაგან, მეწვრილმანეთაგან რაოდენობის განუსაზღვრელათ. (ფასები დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახკომისარიატის მიერ).
პროვინციის ყველა სამაზრო ქალაქებში არსებობს სპეციალური საკუთარი დამამზადებელი პუნქტები.
ნ. 2597
დირექცია.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯუღაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25|1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ლოთილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ❦ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს)" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: | დილის 7—8 ნახ.
საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

დავკარგე: ა. ლ. კ. კ. წევრობის მოწმობა № 54000 შალვა ისიდორის ძე ჩიხრაძეს სახელზე. ჩ. გ. ნ. 2497

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 6424 ალექსანდრა იოსების ასული თურქესტანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1561

დავკარგე: „ზაკტპო"-ს წიგნაკი № 184—ლევან ფაღავას სახელზე, ჩ. გ. 1557

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ნიკოლოზ შოშიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1556

დავკარგე ქორწინების მოწმობა მე-3 უბნის მმაჩის მიერ გაცემული მარიამ ციხნოვას ასული დავითიძის სახელზე ჩ. გ. 1568

დავკარგე: პროფკავშირის წიგნაკი № 444, გაცემული ფოთის სატრანსპორტო კავშირის მიერ, დავითი სილიბისტროს ძე ორაგველიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 2606

დავკარგე: მატრიკული № 1645 ნიკოლოზ გობრონიძის სახელზე, ჩ. გ. 1570

დავკარგე: პროფკავშირის წიგნაკი № 222 გრიგოლ სილიბისტროს ძე მგელაძის სახელზე, ჩ. გ. 156

ტირაჟი—39.197
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.